

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მამუკა ხოშტარია

ალკოჰოლური სასმელების ტექნოლოგიის
თპტიმიზაცია მუხის კასრების ეფექტური ალტერნატივების
გამოყენებით

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: მანქანათმცოდნეობა, მანქანათმშენებლობა
და საწარმოო ტექნოლოგიური პროცესები - 0408

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
ივნისი, 2016 წელი

საავტორო უფლება © 2015, “მამუკა ხოშტარია“
თბილისი 2016

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, გავეცანით მამუკა ხოშტარიას მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: “ალკოჰოლური სასმელების ტექნოლოგიის ოპტიმიზაცია მუხის კასრების ეფექტური ალტერნატივების გამოყენებით” და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის“ სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი:

ხელმძღვანელი: პვების ინდუსტრიის დეპარტამენტის
პროფესორი, ტ.მ.დ. ზურაბ ჯაფარიძე

რეცენზენტი: სს “სარაჯიშვილის” მთავარი ტექნოლოგი, ტ.მ.დ.
პროფესორი დავით აბზიანიძე

რეცენზენტი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის,
პვების ინდუსტრიის დეპარტამენტის
პროფესორი, ტ.მ.დ. მარიამ ხოსიტაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
წელი 2016

ავტორი: მამუკა ხოშტარია
დასახელება: ალკოპოლური სასმელების ტექნოლოგიის ოპტიმიზაცია
მუხის კასრების ეფექტური ალტერნატივების გამოყენებით
ფაკულტეტი: სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის
ხარისხი: დოქტორის აკადემიური ხარისხი
სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ
ზემოთმოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით
მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა
და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ
უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც
მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების
გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია
ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებულ საავტორო
უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა
(გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ
სპეციალურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს
მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა
მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ალკოჰოლური სასმელების ტექნოლოგიის ოპტიმიზაცია მუხის კასრების ეფექტური ალტერნატივების გამოყენებით. მამუკა ხოშტარია. - 135 გვ, ილუსტრაცია 35, ცხრილი 10, დანართი 17.

კონიაკის წარმოებაში მუხის კასრი შეუცვლელი ჭურჭელია, რომელშიც აწარმოებენ საკონიაკე სპირტის დაძველებას. რამოდენიმე ციკლის შემდეგ (15-20 წელი) ხდება კასრის გამოფიტვა იმ ექსტრაქციული ნივთიერებებისაგან, რომლებიც სპირტს ანიჭებენ საბოლოო პროდუქტისათვის დამახასიათებელ თვისებებს. გამოფიტვის მიუხედავად კასრი ინარჩუნებს ერთ ძალზე მნიშვნელოვან თვისებას - დაძველების პროცესში მიმდინარე უანგვითი პროცესებისათვის საჭირო უანგბადის ბუნებრივ მიღებას. ამრიგად, თუ გამოფიტულ კასრში რომელიმე მეთოდით შევიყვანთ ექსტრაქტულ ნივთიერებებს, დაძველების პროცესი წარიმართება ჩვეულებრივ რეჟიმში და გახანგრძლივდება მისი ტექნოლოგიური სამსახურის ვადა. ეს ძალზე მნიშვნელოვანია წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის ასამაღლებლად, თუ გავითვალისწინებთ მუხის კასრების დეფიციტურობას და მათ მაღალ ღირებულებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში არ მოიპოვება ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორია მუხის კასრების გამოყენების ოპტიმალური ვადა და ციკლების რაოდენობა დვინისა და კონიაკის (ბრენდის) წარმოებისას. თუმცა კვლევები ჯერ ისევ მიმდინარეობს და მიღებული შედეგების, ასევე, სამარკო დვინოებისა და კონიაკის მწარმოებელი სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე დადგენილია კასრებში სასმელის ჩასხმების ფარდობითი რაოდენობაც და კასრების გამოყენების ვადაც: დვინის დაყოვნებისათვის მუხის კასრების მაქსიმალური ვადა (მერქნის გამოფიტვის მომენტამდე) შეადგენს 6-12 წელს, კონიაკის სპირტების დაყოვნების დრო კი შეადგენს 16-18 წლამდე.

ამრიგად, მუხის კასრში კონიაკის სპირტის მესამედ ჩასხმის შემდეგ, ეს კასრი გადადის ძველი კასრების კატეგორიაში, ხოლო მექქსე და მეშვიდე ციკლის შემდეგ კასრების ტაქტების შიდა ზედაპირები გამოფიტულია 90%-მდე.

კონიაკის და სხვა მაღალხარისხოვანი სპირტიანი სასმელების წარმოება შეუძლებელია მუხის კასრებში დაძველების გარეშე, რადგან მუხის ხესოან ურთიერთობის გარეშე კონიაკი დაკარგავდა განსაკუთრებულ შარმს, რომელი არომატების თაიგულს და პოტენციალს.

ბოლო ათწლეულების კრიზისმა მკვეთრად გამოვლინა ახალი კასრების მწვავე დეფიციტი. საწარმოები იძულებულები არიან გამოიყენონ ძველი კასრები, რომელთა ასაკი 20-25 წელი, ან უფრო მეტია, რაც ვერ უზრუნველყოფს მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებას. ამიტომ, მთელს მსოფლიოში, ხარისხიანი ალკოჰოლური სასმელების წარმოების შესანარჩუნებლად მიმდინარეობს მუხის კასრების ალტერნატივების ძიება მუხის მერქნის გამოყენების ხარჯზე.

მუხის კასრის ტექნოლოგიური რესურსის გაზრდის საჭიროებამ განაპირობა ალტერნატივების ძიების აუცილებლობა. ეს ალტერნატივებია: 1. მუხის ხის ფქვილი; 2. სხვადასხვა ზომის

ბურბუშელა და ნახერხი (ეგრეთწოდებული „ჩიფსები“); 3. სხვადასხვა ზომის ტკეჩები; 4. მცირე ზომის ხის კუბები; 5. მუხის ხის ლარტყები; 6. მუხის ხისგან დამზადებული სპირალები; 7. საეციალურად პროფილებული ხის ლარტყები; 8. მერქნის ექსტრაქტები და სხვა.

მიუხედავად ჩატარებული მრავალი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, მუხის ხის კომპონენტების ალტერნატივების ოპტიმიზაცია გამოფიტული კასრების ტექნოლოგიური რესურსის ამაღლების მიზნით ჯერ კიდევ არ არის სრულად შესწავლილი და კვლევების გაგრძელება ამ მიმართულებით **აქტუალური საკითხია.**

ნაშრომის მიზანია გამოფიტული მუხის კასრების ტექნოლოგიური რესურსის გაზრდის მაღალეფებური მეთოდების ძიება და კვლევა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეა მუხის ხის დეტალების ორიგინალური გეომეტრიული კონფიგურაციის დამუშავება, მათი კასრში განლაგების მეთოდების და ოპტიმალური პარამეტრების თეორიული და ექსპერიმენტული დასაბუთება.

ნაშრომის პრაქტიკულ დირექტულებას წარმოადგენს ის, რომ შემუშავებული რეკომენდაციები მეღვინეობის საწარმოებს საშუალებას მისცემს გამოფიტული მუხის კასრების გამოყენებით მიიღონ მაღალი ეკონომიკური ეფექტი.

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია საკასრე მუხის ხის კომპონენტების გამოყენების მეთოდები როგორც გამოფიტულ კასრებში, ასევე მომინანქრებულ რეზერვუარებში. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე დამუშავებულია ორიგინალური გეომეტრიული კონფიგურაციის საექსტრაქციო ნამზადები. განისაზღვრა საკონტაქტო ეფექტური ზედაპირის მაქსიმუმი, ნამზადის ფიქსირებული გეომეტრიული პარამეტრების საზღვრებში, დამუშავების და გამოყენების სფეროში არსებული ტექნოლოგიური შეზღუდვების გათვალისწინებით. ნიმუშები დამზადდა ლაზერული ტექნოლოგიის გამოყენებით.

სამუშაოს თეორიულ ნაწილში შესწავლილია მუხის კასრში სპირტის დაძველების ექსტრაქციული პროცესის კინეტიკა, მიღებულია პროცესის განმსაზღვრელი კონსტანტას მნიშვნელობა და ექსპონენციალური განტოლება, რომლითაც დადგენილია დროში მიზნობრივი ნივთიერების ექსტრაქციის კანონზომიერება.

მერქნის აგებულებისა და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით განისაზღვრა სპირტთან კონტაქტის ეფექტური ზედაპირები. მერქანში სითხის მოძრაობის ფიზიკური მოდელის დამუშავების საფუძველზე განისაზღვრა მუხის კაპილარებში სითხის მოძრაობის კანონზომიერება კაპილარული ძალების გავლენით და დადგინდა ვერტიკალურად განლაგებულ ნამზადებში, დროის შედარებით მცირე მონაკვეთში, სპირტის ასვლის მაქსიმალური სიმაღლე.

სამუშაოს ექსპერიმენტულ ნაწილში დამზადდა მუხის ხის ნიმუშების ოთხი ვარიანტი, მათი ძირითადი მახასიათებელი მაჩვენებლის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ტორსული ზედაპირის ფარდობას ნიმუშის მასასთან. აღნიშნული ნიმუშები მოთავსებული იყო 1 ლ ტევადობის ქილებში, რომლებიც შევსებული იყო 65%-იანი ახალგაზრდა საკონიაკე სპირტით.

ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა სპირტში მთრიმლავი ნივთიერებების ექსტრაქციის დინამიკის დადგენა განსხვავებული პარამეტრების ნიმუშებისთვის. ექსტრაქციის ხანგრძლივობად განისაზღვრა 4 კვირა. ყოველი კვირის ბოლოს კეთდებოდა ანალიზი და განისაზღვრებოდა მთრიმლავი ნივთიერებების მასური წილი ექსტრაქტში გ/დმ³. ყოველი ნიმუშისათვის განისაზღვრა ექსპონენციალური პროცესის კონსტანტები, აიგო შესაბამისი განტოლებები და დადგინდა მათი ოპტიმალური პარამეტრები, კერძოდ, საუკეთესო შედეგი იყო მიღებული ნიმუშისათვის, რომლის განივი ჭრილის სიგანე შეადგენდა 0,6 მმ და ტორსული ზედაპირის ფარდობა ნიმუშის მასასთან 10,4 სმ²/გ. ასეთი ნიმუშიდან ოთხი კვირის განმავლობაში გამოიყო 2,85 გ/დმ³ მთრიმლავი ნივთიერება, საწყისი შემცველობის 73%, გარდა ამისა საერთო ექსტრაქტმა შეადგინა 3,96 გ/დმ³. ჩატარებულმა ექსპერიმენტულმა კვლევებმა საშუალება მოგვცა პროცესის დინამიკაში შეგვედარებინა სხვადასხვა პარამეტრების მქონე ნიმუშები და შეგვერჩია მათ შორის ოპტიმალური.

სამუშაოს დასკვნით ნაწილში, კვლევის შედეგების პრაქტიკული რეალიზაციისათვის, გაკეთდა მუხის მერქნის საექსტრაქციო ნამზადების სანედლეულო ბაზის ტექნიკურ-ექონომიკური დასაბუთება. გაანგარიშებულია ხვედრითი დანახარჯები, რომლებმაც 1 ლ საკონიაკე სპირტის დასაძველებლად შეადგინა 0,03 აშშ დოლარი.

Abstract

Optimization of the technology of alcoholic beverages using an effective alternative of oak barrel. Mamuka Khoshtaria. 135 P, illustration 35, Table 10, Annex 17.

Production of cognac in oak casks are irreplaceable vessel, which produce alcohol cognac aging. After a few cycles (15-20 years) is made of a barrel depletion of the extractive substances, which are attached to the alcohol product traits. Despite weathering barrel keeps one very important feature - the aging process of the oxidative processes required for the adoption of natural oxygen. Thus, if any of the empty barrel method entered extractive substances, the aging process will be conducted in the usual mode and extended its technological service life. This is very important for the production of economic efficiency, given the deficiency of oak barrels and their high cost.

The scientific literature does not contain accurate information about what is the optimal use of oak barrels for wine and cognac and the number of cycles (brand) production. However, studies are still being carried out and the results obtained, as well as vintage wines and cognac manufacturer of various countries based on practical experience determined barrels beverage pouring relative amounts of the barrel using the term: Wine delayed oak barrels maximum term (timber exhaustion point) is 6-12 in Cognac alcohols response time of 16-18 years.

Thus, oak barrel after pouring cognac alcohol for the third time, it goes into the barrel of an old barrel in the sixth and seventh cycles barrel staves inner surfaces depleted up to 90%.

Brandy and other alcoholic beverages can not be without aging in oak barrels. Because the oak tree, without losing its special charm cognac, complex bouquet of aromas and potential.

The crisis dramatically over the past decade has revealed a new barrel of acute shortage. Enterprises have to make the old barrels, aged 20-25 years, or more. That is why, throughout the world, in order to maintain the production of high-quality spirits began to oak barrel alternatives in the use of oak wood expense.

Oak barrel technological resources to increase the necessity of the need for alternatives. The alternatives are: 1. oak wood flour; 2. various sizes shavings and sawdust; (The so-called "chips") 3. staves of various sizes; 4. The small wooden cubes; 5. oak wooden bars; 6. oak wood spirals; 7. Specially profiled wooden bars; 8. The timber extracts and other.

Despite the many scientific research, alternatives to optimize the components of oak wood barrels weathered technological resources in order to increase has not yet been fully explored and studies continue in the direction of the relevant matter.

The work aims weathered oak barrel increase technological resources in search of effective methods and research.

Scientific novelty of the geometric configuration of the original details of the oak wood processing, and methods for their deployment in the barrel with the optimum parameters of the experimental and theoretical justification.

The practical value of this is that our recommendations will allow the wine-making enterprises weathered oak barrels in a high economic effect.

Dissertation work studied and analyzed barrel oak wood components using methods as empty barrels, and enamel tanks. Computer technology has developed the original geometric configuration spudzvel extraction blanks. Effective contact surface

defined maximum billet fixed geometric borders, processing and use of existing constraints. The samples were prepared using laser technology.

The theoretical part of the work of the oak barrel aging alcohol extractive process kinetics, accepted process for determining a constant and exponential equation, which is established by the time of the target substance extraction pattern.

Timber structure and physico-mechanical properties of the determined spirit of effective contact surfaces. Model based on the physical movement of the fluid timber processing identified oak capillaries flow pattern and the influence of the capillary forces established vertically disposed in the blanks, in a relatively short period of time, alcohol ascents maximum height.

Experimental part of the work was made of oak wood samples from the four options, the main features of the indicator, which represents the ratio of the butt end surface of the sample mass. The samples were placed in a 1 liter capacity jars, which was filled with 65% of young cognac spirit.

The aim of the experiment alcohol tannic substances extraction dynamics of the different parameters of the samples. Extraction length was determined 4 weeks. Every weekend made analysis and determined by tannic substances mass share extract g/dm^3 . Each sample was determined using the exponential constants, built in the appropriate equations to determine their optimal parameters, in particular, the best results were obtained from samples of the cross-section width of 0.6 mm and a butt end surface of the sample mass ratio of $10.4 \text{ cm}^2/\text{g}$. Such samples from four weeks allocated $2.85 \text{ g}/\text{dm}^3$ tannic substance, from the content of 73%, in addition to the extract was $3.96 \text{ g}/\text{dm}^3$. In experimental studies have allowed us to compare the various options with the dynamics of the samples and choose the best among them.

შინაარსი

შესავალი	14
1. ლიტერატურის მიმოხილვა	18
1.1. მუხის მერქანი კონიაკის წარმოებისათვის	18
1.2. მუხის მერქნის აგებულება და ფიზიკურ-მექანიკური თვისებები	22
1.3. მუხის მერქნის ქიმიური შემადგენლობა	25
1.4. მუხის მერქნის გავლენა მეღვინეობის პროდუქციის ხარისხზე	26
1.5. მუხის კასრების ტექნოლოგიური რესურსის გაზრდის არსებული მეთოდები და ალტერნატიული საშუალებები	29
1.6. მცენარეული მასალების ექსტრაქციის პროცესის თეორიული საფუძვლები	41
1.7. I თავის დასკვნები	49
2. შედეგები და მათი განსჯა	51
2.1. მუხის კასრში სპირტის დამველების ექსტრაქციული პროცესის კინეტიკა	51
2.2. საკონიაკე სპირტის დასაძველებელი მუხის კასრების ტექნოლოგიური რესურსის გაზრდა	55
2.3. საექსტრაციო სპირალური ზედაპირების ოპტიმიზაცია გეომეტრიული მოდელირების გამოყენებით	59
2.4. საექსტრაქციო მუხის ნამზადებში სპირტის შეღწევის პროცესის თეორიული კვლევა	67
2.4.1. მერქანში სითხის მოძრაობა მოლეკულური ძალების გავლენით	68
2.5. მუხის საექსტრაქციო ნამზადების ექსპერიმენტული კვლევა სპირტის დამველების პროცესში	72
2.5.1. ექსპერიმენტული კვლევის პროგრამა და მეთოდიკა	72
2.5.2. ექსტრაქტში მორიმლავი ნივთიერებების განსაზღვრის მეთოდიკა	76
2.5.3. მუხის ხის საექსტრაქციო ნამზადებში მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრის მეთოდიკა	85
2.5.4. ექსპერიმენტული კვლევის შედეგები	86
2.6. მუხის საექსტრაქციო დეტალების სანედლეულო ბაზის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება	95
2.6.1. მუხის ნარჩენებიდან საექსტრაქციო დეტალების გამოყენების შედარებითი უფექტიანობა	107
2.6.2. მუხის კასრების ალტერნატივების გამოყენებისას მიღებული ეკონომიკური გვაქტი	109
3. დასკვნები	112
გამოყენებული ლიტერატურა	115
დანართი	118

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. მუხის მერქნის ქიმიური შემადგენლობა	25
ცხრილი 2. საექსტრაქციო ნიმუშების ძირითადი პარამეტრები	74
ცხრილი 3. გაზომვათა დიაპაზონი, განმეორადობის მაჩვენებლების მნიშვნელობები, შედეგები და სიზუსტე ალბათობით $P=0,95$	76
ცხრილი 4. გაზომვათა დიაპაზონი, განმეორადობის ზღვრების მნიშვნელობები, შედეგები და სიზუსტე ალბათობით $P=0,95$	77
ცხრილი 5. ექსპერიმენტული კვლევის შედეგები	86
ცხრილი 6. ნიმუშების კონსტანტების მნიშვნელობები	87
ცხრილი 7. საერთო ექსტრაქტის გამოსავალი ნიმუშების მიხედვით	92
ცხრილი 8. ნიმუშების მასები ექსპერიმენტის დაწყებამდე და შემდეგ	94
ცხრილი 9. მუხის ნიმუშებში სპირტის შეღწევის სიდიდე	94
ცხრილი 10. კასრების და მუხისგან დამზადებული ალტერნატივების შედარებითი ფასები	109

ნახაზების ნუსხა

ნახ.1.	მერქნის ჭრილის მიკროსკოპული ხედი	22
ნახ.2.	მუხის ხის ნაჭერი ელექტრონული მიკროსკოპის ქვეშ	23
ნახ.3.	ტკეჩების შტაბელებად დაწყობის სქემა	31
ნახ.4.	რეზერვუარში ტკების შტაბელების განლაგების სქემა	31
ნახ.5.	1500 დალ ტეგადობის მომინანქრებულ რეზერვუარში მუხის ტკების განლაგების და არმატურის სქემა	34
ნახ.6.	მუხის მერქნის ნატურალური კომპონენტები	38
ნახ.7.	მუხის მერქნის ნატურალური კომპონენტების ექსტრაქციული გრაფიკები	39
ნახ.8.	მუხის ხის კასრებში საექსტრაქციო ნამზადების განლაგების ვარიანტები	41
ნახ.9.	მუხის კასრში მიმდინარე ექსტრაქციის პროცესის ფიზიკური მოდელი	53
ნახ.10.	მუხის კასრში მთრიმლავი ნივთიერებების ექსტრაქციის კინეტიკური გრაფიკი	54
ნახ.11.	მუხის ხის ნამზადების გეომეტრიული კონფიგურაციის ვარიანტები	56
ნახ.12.	კასრში ხისტ დეროზე ჩაკიდებული მუხის დეტალები	57
ნახ.13.	კასრში მოქნილ ბაგირზე ჩაკიდებული მუხის დეტალები	57
ნახ.14.	კასრში საექსტრაქციო ნამზადების შესაძლო განლაგების სქემა	57
ნახ.15.	მუხის ხის ნამზადების პარამეტრების საანგარიშო სქემა	58
ნახ.16.	კომპანია “The Barrel Mill”-ის ინფუზიური სპირალი	60
ნახ.17.	ჰელიკოიდი	62
ნახ.18.	ინფუზიური სპირალის მოდელი (AutoCAD 2014)	63
ნახ.19.	75 ვატის სიმძლავრის ლაზერით დამუშავებული ექსპერიმენტული საექსტრაქციო სპირალი	64
ნახ.20.	ლაზერული ჭრის სისტემა Helix-24 (Epilog laser)	65
ნახ.21.	ლაზერული დანადგარის სპეციალური მოწყობილობა ცილინდრული დეტალებისათვის	65
ნახ.22.	კაპილარებში მენისკის წარმოქმნის სქემები	68
ნახ.23.	ნამზადის კაპილარებში სპირტის მოძრაობის საანგარიშო სქემა	70
ნახ.24.	ექსპერიმენტული მუხის ხის ნიმუშები	73
ნახ.25.	ნიმუშების მახასიახებლების $F_{\delta\text{ორ.}} / G_{\text{ნიშ.}}$ და $F_{\delta\text{ორ.}} / F_{\delta\delta}$ დამოკიდებულება ჭრილების δ სიგანეზე	75
ნახ.26.	საცდელი ნიმუშები ქობილისის კონიაკის ქარხნის ლაბორატორიაში	76
ნახ.27.	მთლიანი ნიმუშის ექსტრაქციის ექსპონენციალური გრაფიკი	88
ნახ.28.	1 მმ ჭრილებიანი ნიმუშის ექსტრაქციის ექსპონენციალური გრაფიკი	88
ნახ.29.	ლაზერით დამუშავებული 0,6 მმ ჭრილებიანი ნიმუშის ექსტრაქციის ექსპონენციალური გრაფიკი	89

ნახ.30. 3,2 მმ ჭრილებიანი ნიმუშის ექსტრაქციის ექსპონენციალური გრაფიკი	89
ნახ.31. $F_{\text{ტორ.}} / G_{\text{ნია.}}$ სმ ² /გ სიდიდის გავლენა ექსტრაქციული პროცესის ინტენსივობაზე	92
ნახ.32. საერთო ექსტრაქტის გამოსავლის დამოკიდებულება ნიმუშების $F_{\text{ტორ.}} / G_{\text{ნია.}}$ მაჩვენებელზე ოთხკვირიანი ექსტრაქციის დროს	93
ნახ.33. $F_{\text{ტორ.}} / G_{\text{ნია.}}$ სმ ² /გ სიდიდის გავლენა მუხის ნიმუშებში სპირტის შეღწევის სიდიდეზე ოთხკვირიანი დაყოვნების შემდეგ	95
ნახ.34. მუხის მერქნიდან კასრების გამოსავლიანობის ილუსტრაცია	97
ნახ.35. მუხის ხის მორის გამოსავლიანობა კასრების დამზადებისას	110

ავტორი გამოხატავს მადლიერებას სააქციო საზოგადოება
“სარაჯიშვილის” მთავარი ტექნოლოგის, ტექნიკის მეცნიერებათა
დოქტორის, პროფესორ დავით აბზიანიძის მიმართ ექსპერიმენტულ
კვლევებში გაწეული დიდი დახმარებისათვის.

შესავალი

საქართველოში მევენახეობას და მეღვინეობას უხსოვარი დროიდან მისდევდნენ. აქ აღმოჩენილი არქოლოგიური თუ პალეობოტანიკური კვლევების საფუძველზე დადასტურებულია, რომ საქართველოში ღვინო 8000 წლის წინ უკვე მზადდებოდა. ეს კულტურული მევენახეობის და მეღვინეობის უძველესი ნაშთებია და ამის გამო საქართველოს დამსახურებულად უწოდებენ „ღვინის სამშობლოს“.

ამ 8000 წლის განმავლობაში იყო პერიოდები, როდესაც მევენახეობა-მეღვინეობა ძლიერდებოდა და საქართველო ღვინით მეზობელ ქვეყნებსა და მთელ მცირე აზიას ამარაგებდა. იყო პერიოდები, როდესაც ვენახები იჩეხებოდა და ნადგურდებოდა, მაგრამ არ ყოფილა წყვეტა და ქართული ღვინო, შეიძლება ითქვას „8000 მოსავლის წელს“ ითვლის.

მევენახეობას და მეღვინეობას, რომელსაც საქართველოში დრმა ისტორიული ფესვები გააჩნია, ქართველი მკვლევარების აზრით მხოლოდ მე-XIX საუკუნის 80-იან წლებში შევიდა კაპიტალისტური განვითარების სტადიაში. მანამდე მეურნეობის დარგს კუსტარული ხასიათი ჰქონდა.

ალკოჰოლური პროდუქციის თანამედროვე მსოფლიო ბაზარი ხასიათდება მუხის ტარაში დაძველებულ ღვინოსა და კონიაკზე სტაბილურად მაღალი მოთხოვნილებით. ასეთი ღვინისა და კონიაკის პროდუქციის ხარისხის ფორმირების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს მათი გამდიდრება მუხის მერქნის კომპონენტებით სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური პროცესების მიმდინარეობის საფუძველზე – მერქნის მაღალმოლექულური ნივთიერებების (განინი, ლიგლინი და სხვა) ჟანგვითი და ჰიდროლიზური გარდაქმნებით დაბალმოლექულურ კომპონენტებად.

მუხის მერქნის შერჩევას და მომზადებას აქვს გადამწყვეტი როლი მეღვინეობისთვის ღირებული კომპონენტების ფორმირებაში. ასეთი მერქანი უზრუნველყოფს ღვინისა და კონიაკის პროდუქციის მომწიფების დაჩქარებას და ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

მუხლის კასრში დაძველებული კონიაკის სპირტის ხარისხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ტარის გამოყენების დროსა და ციკლების რაოდენობაზე. სრული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორია კასრის გამოყენების ოპტიმალური ვადები და ციკლების რაოდენობა სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად მოიპოვება.

ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით სამარკო ღვინოების და კონიაკის წარმოებაში, სისტემური კრიზისის გამო არსებობს ახალი მუხლის კასრის ტარის მწვავე დეფიციტი, რომელიც იფარება მხოლოდ 3-5%. ამიტომ, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში საწარმოები იძულებული არიან გამოიყენონ ძველი კასრები, რომელთა ასაკი შეადგენს 20-25 წელზე მეტს. ეს გარემოება აყენებს ახალი კასრის ალტერნატივის საკითხს მუხლის გადამუშავების პროდუქტების გამოყენებით.

კონიაკის წარმოებაში მუხლის კასრი შეუცვლელი ჰურჭელია, რომელშიც აწარმოებენ საკონიაკე სპირტის დაძველებას. რამოდენიმე ციკლის შემდეგ (15-20 წელი) ხდება კასრის გამოფიტვა იმ ექსტრაქციული ნივთიერებებისაგან, რომლებიც სპირტს ანიჭებენ საბოლოო პროდუქტისათვის დამახასიათებელ თვისებებს. გამოფიტვის მიუხედავად კასრი ინარჩუნებს ერთ ძალზე მნიშვნელოვან თვისებას - დაძველების პროცესში მიმდინარე ჟანგვითი პროცესებისათვის საჭირო ჟანგბადის ბუნებრივ მიღებას. ამრიგად, თუ გამოფიტულ კასრში რომელიმე მეთოდით შევიყვანო ექსტრაქტულ ნივთიერებებს, დაძველების პროცესი წარიმართება ჩვეულებრივ რეჟიმში და გახანგრძლივდება მისი ტექნოლოგიური სამსახურის ვადა. ეს ძალზე მნიშვნელოვანია წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის ასამაღლებლად, თუ გავითვალისწინებოთ მუხლის კასრების დეფიციტურობას და მათ მაღალ ღირებულებას.

ამრიგად მუხლის კასრების ტექნოლოგიური რესურსის გაზრდა აქტუალური საკითხია კონიაკის მწარმოებელი მრავალი ქვეყნისათვის, რომელებიც ამ პრობლემის გადასაჭრელად იყენებენ რამოდენიმე მეთოდს. ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და ეფექტური მეთოდია კასრში, სამომსახურებლო ნახვრეტიდან (რომლის დიამეტრის ზომაც სტანდარტით შეზღუდულია) სათანადო თვისებების მქონე მუხლის

მასალისაგან დამზადებული დეტალების შეტანა, თხევადი და მყარი ფაზების საჭირო თანაფარდობის გათვალისწინებით. რამდენადაც დეტალების განივი ზომა შეღუდულია კასრის ნახვრეტის ზომით, ამდენდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დეტალების მასისა და სპირტოან საკონტაქტო ფართის მაქსიმალურ გამოყენებას, აგრეთვე მათი დამზადების ტექნოლოგიის სიმარტივეს და ეკონომიკურობას.

ნაშრომის მიზანია გამოფიტული მუხის კასრების ტექნოლოგიური რესურსის გაზრდის მაღალეფექტური მეთოდების ძიება და კვლევა.

კვლევის ობიექტი: ორიგინალური კონსტრუქციის მუხის ხის საექსტრაქციო ნამზადები და მათი საკონიაკე სპირტოან ურთიერთქმედების შედეგად მიღებული მიზნობრივი ნივთიერებები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეა მუხის ხის დეტალების ორიგინალური გეომეტრიული კონფიგურაციის დამუშავება, მათი კასრში განლაგების მეთოდების და გეომეტრიული პარამეტრების თეორიული და ექსპერიმენტული დასაბუთება. კომპიუტერული პროგრამირების საშუალებით ორიგინალური ფორმის მქონე მუხის ხის ალტერნატივების კონსტრუქციის შექმნა. ნამზადების ფორმიდან გამომდინარე ექსტრაქციული პროცესის ტექნოლოგიური რეჟიმების დასაბუთება.

ნაშრომის პრაქტიკულ დირექტულებას წარმოადგენს ის, რომ შემუშავებული რეკომენდაციები მეღვინეობის საწარმოებს საშუალებას მისცემს გამოფიტული მუხის კასრების გამოყენებით გაახანგრძლივონ მათი ტექნოლოგიური რესურსი და მიიღონ მაღალი ეკონომიკური ეფექტი.

სამუშაოს შესასრულებლად დასახული ამოცანები.

ნაშრომის მიზნის მისაღწევად დასმული იყო შემდეგი ამოცანები:

- ლიტერატურული ანალიზის საფუძველზე გამოფიტული მუხის კასრების გამოყენების აქტუალობის შესწავლა და მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტის დასაბუთება;
- “მყარი სხეული – სითხე” სისტემის (მუხის კასრი – საკონიაკე სპირტი) ექსტრაქცირების პროცესის ფიზიკური მოდელის შექმნა და თეორიული დასაბუთება;

- ექსტრაქციის პროცესის განმსაზღვრელი ცალკეული პარამეტრების გავლენის შესწავლა მიზნობრივი კომპონენტის გამოყოფის სიჩქარეზე;
- მყარი, ფორმვანი სტრუქტურის მასალიდან მიზნობრივი კომპონენტის ექსტრაჰირების პროცესის კინეტიკის ანალიზური გამოკვლევა;
- მუხის ხის საექსტრაქციო დეტალების ოპტიმალური გეომეტრიული კონფიგურაციის დამუშავება;
- მუხის ხის საექსტრაქციო დეტალების ექსპერიმენტული გამოკვლევა ლაბორატორიულ პირობებში და რეკომენდაციების შემუშავება;
- მუხის მერქნის საექსტრაქციო ნამზადების სანედლეულო ბაზის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

1. ლიტერატურის მიზონილება

1.1. მუხის მერქანი კონიაკის წარმოებისათვის

ევროპის, აზიის, ამერიკის და აფრიკის ტერიტორიაზე ცნობილია მუხის თოხასამდე სახე. ყოფილ საბჭოთა კავშირში კი გავრცელებული იყო მუხის ცხრამეტამდე სახე, ამათგან, შორეულ აღმოსავლეთში გვხვდება ორი სახე, ყირიმში -- 2 და კავკასიაში 17 სახე.

ამიერკავკასიის ტყეებში მუხნარს მნიშვნელოვანი ფართობი უკავია, მაგალითად; სომხეთის ტყის 302112 ჰექტარიდან მუხნარს უკავია 80 000 ჰექტარი, რაც შეადგენს ტყით დაფარული ტერიტორიის 26,6%. აზერბაიჯანის ტყით დაფარული ტერიტორიის 23,4% დაკავებული აქვს მუხნარს. საქართველოში მუხნართა ფართობი შედარებით შემცირებულია და საერთო ტყის 7,5% შეადგენს. საქართველოში გავრცელებულია მუხის 8 სახე, რომლიდანაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვს 4 ან 5 სახეს; ქართული ანუ ივერიის მუხა – **Quercus iberica**, აღმოსავლეთის ანუ მაღალი მთის მუხა -- **Quercus Macranthera**, გრძელყუნწა ანუ ჭალის მუხა -- **Quercus Longipes**, იმერეთის მუხა **Quercus Imeretina** და ნაწილობრივ შავი ზღვისპირას გავრცელებული **Quercus Hartwissiana**. კავკასიის მუხის მერქანი შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. შეიძლება ითქვას, რომ უკეთეს სამშენებლო მასალას იძლევა **Quercus Iberica**, **Quercus Macranthera**, და **Q. Hartwissiana**. შედარებით ნაკლებად მკვრივია **Quercus longipes**, **Quercus Macranthera** ტიპიური მაღალი მთის მუხაა, რომელიც კარგად ხარობს 1000-2400 მეტრის სიმაღლეზე. ქსეროფიტული სინათლის ჯიშია, სიმაღლით იზრდება 20 მეტრამდე და კარგად იტანს სიმშრალეს. **Quercus Iberica** ვრცელდება მთისძირა სარტყელზე და მის კალთებზე, დაწყებული 300 მეტრიდან 1300 მეტრამდე. ძლიერი ზრდის ხემცენარეა 30 მეტრის სიმაღლის. **Quercus Longipes** გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში, ალაზნის პირზე, ძირითადად ცალკეული ხეების სახით, იზრდება 40-50 მეტრის სიმაღლის. **Quercus**

Imeretina გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს ტენიან რაიონებში, იზრდება 10-20 მეტრის სიმაღლის.

ქართული მუხა (Quercus iberica) მუხებს შორის ყველაზე ფართოდაა გავრცელებული იგი მთისწინეთსა და მთის ქვედა სარტყელში მთელ საქართველოში გვხვდება. ეს მცენარე კავკასიის გარდა არსად არ იზრდება, ანუ იგი კავკასიის ენდემია. იგი საშუალო სიმაღლის (10–12 მ–მდე, იშვიათად 20–25 მ–მდე). მისი ნაყოფი–რკო უყუნწოა, ან უუნწი ძალიან მოკლე აქს, კვირტები და ზრდასრული ფოთლები შიშველია, რომლებიც ქვემოდან უფრო მკრთალია. ქართულ მუხას დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქს, მისი მერქანი საუკეთესო ხარისხისაა. სწორედ ამის გამო იგი საფრთხის წინაშეა, საუკეთესო ინდივიდები განადგურებულია.

ჭალის მუხა (Quercus pedunculiflora) სიმაღლით ყველა ჩვენს მუხას აღემატება. იგი ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული. მდინარეების მტკვრის, არაგვის, ქსნის, ლიახვის, ივრის, ალაზნის ჭალებში. მუხის ეს სახეობა ადვილად გამოსარჩევია სხვა სახეობებისგან იმით, რომ რკოს უნწი გრძელი აქს. ამის გამო მას გრძელყუნწიან მუხასაც ეძახიან. განირჩევა აგრეთვე ფოთლითაც: 3–4 წევილნაკვთიანი ფოთლები ტყავისებურია, ზემოდან მუქი, ქვემოდან კი დია ლეგა და თან ბუსუსიანი. იგი კავკასიის ენდემია და თან უძველესი რელიქტური სახეობაა. შეტანილია წითელ წიგნში.

კოლხური ანუ ჰარტვისის მუხა (Quercus hartwissiana) ჩვენში მხოლოდ დასავლეთ საქართველოს დაბლობებსა და მთის ქვედა სარტყელში იზრდება. იგი უფრო ხშირად სხვა ტიპის ტყეებშია შერეული. ქუთაისის, ვანის და აჯამეთის ახლოს, იმერულ მუხასთან ერთად, კოლხური მუხა შესანიშნავ ტყეებს ქმნის. ეს მუხა სხვა მუხებისგან იმო განსხვავდება, რომ მისი ფოთლის ფირფიტის ბოლო მესამედი გაფართოებულია, თვით ფირფიტა კვერცხისებური და მოკლე ნაკვთებიანია, ქვედა მხრიდან ფოთოლი განსაკუთრებით ძარღვების გაყოლებაზე ბეწვიანია, ყუნწი 4სმ. სიგრძისა. თვით ხე საშუალოდ 25მ–მდე სიმაღლისაა. იგი იშვითი სახეობაა და შეტანილია წითელ წიგნში.

იმერული მუხა (Quercus imeretina) დასავლეთ საქართველოს იშვიათი ენდემია და ძირითადად მდინარე რიონისა და მისი

შენაკადების ჭალებშია გავრცელებული. უფრო იშვიათად აფხაზეთში, გურიასა და მდ. ხობის ჭალებში. მისი ფოთლები უყუნწოა ან ძალიან მოკლე ყუნწიანი. ფოთლის ფირფიტა მეტწილად ძალიან ღრმად დანაკვთულია, თხელია, მოყვანილობით მოგრძო-კვერცხისებური. ზემოდან მუქია, ქვემოდან კი უფრო მკრთალი, ნაყოფის წერილი ყუნწი 8–10სმ სიგრძისაა, ხე სიმაღლით 30 მ–მდეა. შეტანილია წითელ წიგნში.

მაღალმთის ანუ აღმოსავლური მუხა (*Quercus marganthera*) ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან 1700–2200 მ ფარგლებში გვხვდება, სადაც ზოგან მეჩხერ ტყეებს ქმნის. იგი 15–20 მ სიმაღლის იზრდება. მისი ყლორტები, ფოთლის ყუნწი და ძარღვები ქვედა მხრიდან მოკლე ხშირი ბუსუსითაა სქლად მოფენილი, ხოლო თანაფოთლები გრძელი ბეწვებითაა დაფარული. 2–5 რკო ერთად ტოტების ბოლოებშია განლაგებული. მათი ყუნწი ძალიან მოკლეა და ხშირი ბუსუსითაა მოფენილი. ნაყოფის ბუდის ქვედა ქერქლები ბუდის კედლებზე კი არაა მიწოდილი, როგორც მრავალი ჩვენებური მუხისა, არამედ, პირიქით გადმოწეულია. მაღალმთის მუხა წინა აზია-კავკასიის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა [2]. ეს სახეობაც შეტანილია წითელ წიგნში.

მუხის მერქანს დიდი გამოყენება აქვს მეღვინეობაში. ის წარმოადგენს ღვინის სათავსოების, კასრების, კოდების და სხვა ინვენტარის ძირითად მასალას, აგრეთვე საკონიაკე სპირტის საძველო ტარის ერთადერთ მასალას. საკონიაკე სპირტი მრავალი წლის განმავლობაში ძველდება მხოლოდ მუხის ტკეჩებისაგან დამზადებულ კასრებში. დროთა განმავლობაში კასრის ტკეჩიდან ხსნარში გადადის მუხის ექსტრაქტი (უმთავრესად მთრთიმლავი ნივთიერებანი და ლიგნინის კომპონენტები), თანდათანობით აძლევს სპირტს კონიაკისათვის შესაბამის ფერს, სპეციფიკურ გემოსა და ბუპეტის შემადგენელ ზოგიერთ კომპონენტს. ყველა მუხა, მიუხედავად მისი მერქნის სიმაგრისა ერთნაირად არ აუმჯობესებს სპირტის ხარისხს. ერთი მუხის კასრში დაძველებული სპირტი თუ მეტად ნაზი და სასიამოგნო სასმელია, იგივე სპირტი დაძველებული მეორე მუხის კასრში, შეიძლება იქნეს უხეში და უფრო ნაკლებ სრულყოფილი. ამიტომაა, რომ კონიაკის მწარმოებელ ტიპიურ ქვეყნებში მთაგარ

ეურადღებას აქცევენ იმ მუხის სახესა და რაიონს, რომლიდანაც დამზადებულია საკონიაკე სპირტის დასაძველებელი კასრი.

კონიაკის წარმოების თვალსაზრისით შესწავლილია საქართველოში გავრცელებული მუხის ისეთი სახეები, რომლებსაც სამრეწველო პერსპექტიული მნიშვნელობა აქვს მედვინეობის და კერძოდ, კონიაკის წარმოებაში.

მეცნიერების მიერ საკვლევ ობიექტად აღებული იყო წითელწყაროს მაღალი მთის 50-60 წლის *Quercus Macranthera*-ს მერქანი, ცოვგომბორის მთიდან 50-60 წლის *Quercus Iberica*-ს მერქანი, ალაზნის ველიდან 60-65 წლის *Quercus Longipes* მერქანი, აჯამეთის ტყიდან 50-60 წლის *Quercus Imeretina*-ს მერქანი.


შესწავლილია თითოეული სახის მერქნის ანატომიური აგებულება, ფიზიკური თვისებები, ქიმიური შედგენილობა; დამზადდა მუხის ტკები, რომელიც შრებოდა ჰაერზე 4 წლის განმავლობაში. მათგან მზადდებოდა კასრები, რომლებშიც ათავსებდნენ საკონიაკე სპირტს და 6 წლის განმავლობაში ატარებდნენ დაკვირვებას. იმის გამო, რომ კონიაკის წარმოებაში იხმარება მუხის მხოლოდ მერქანი, ამიტომ დაგმაყოფილდნენ მუხის ანატომიური ნაწილებიდან შეესწავლათ მხოლოდ მერქანი.

მერქანში წყლის გადანაცვლებით იქმნება ვაკუუმი, რის შედეგადაც კაპილარებში შემოდის ჰაერი, იუანგება უჯრედში მყოფი ტანინი, ლიგნინი და მერქნის სხვა ელემენტები. დაუანგვის პროცესები ინტენსიურად ხის ცენტრში 4-12 წლის ქსოვილში მიმდინარეობს, რის შედეგადაც გროვდება მთრიმლავი ნივთიერება და სადენები თილანებით იხურება. წყლისა და პლასტიკურ ნივთიერებათა გატარებას ცენტრის გარშემო მდებარე ახალგაზრდა კაპილარები აგრძელებს. ცენტრში მყოფი ტრაქეიდებიდან მთრიმლავი ნივთიერება გაზაფხულზე გამოირცხება და გაიჟონება მოსაზღვრე უჯრედის გარსში, რადიუსული და ტანგენსური მიმართულებებით შეღებავს ტრაქეიდების მოსაზღვრე შრეს და აქცევს მას რეზერვუარად. ამრიგად, მერქნის ელემენტები თანდათან აყვითლებს მოსაზღვრე ქსოვილებს და მიიწევს ცენტრიდან პერიფერიისკენ. მცენარისათვის ამ პროცესს აქვს

ფიზიოლოგიური მნიშვნელობა; მუხის მოჭრის და მისი მერქნიდან კასრების დამზადების შემდეგ ის ღებულობს სამეურნეო მნიშვნელობას.

12. მუხის მერქნის აგებულება და ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

მუხის მერქანი, ისევე როგორც სხვა ფოთლოვან მცენარეთა ჯიშები, შედგება სხვადასხვა სახის ელემენტების კომპლექსისაგან, მათ შორის: გამტარი ელემენტები (ძარღვები, კაპილარები, ტრაქეიდები); მექანიკური ელემენტები – ბოჭკოები; დამგროვებელი ელემენტები – პარენქიმური ქსოვილები. ნახ.1-ზე წარმოდგენილია მუხის მერქნის აგებულების მიკროსკოპული სქემა



ნახ.1. მერქნის ჭრილის მიკროსკოპული ხედი:

A -განივი ჭრილი; B-რადიალური ჭრილი; C - ტანგენციალური ჭრილი; tr - ტრაქეიდები; Sp - გაზაფხულის მერქანი; Sm - შემოდგომის მერქანი; ar -წლიური რგოლები; wr - გულგულა სხივები; p - ფორები. II მუხის მერქნის ჭურჭელი; h - ფორები; f - გულგულა სხივებთან დაკავშირებული ფორები;


III მერქნის ბოჭკოს განივი ჭრილი; ბაცი - ცელულოზა; მუქი - ლიგნინის რგოლები.

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა მუხის მერქნის ანატომიური აგებულების შესახებ გვიჩვენებს, რომ მერქანი

წარმოადგენს მეტად წვრილი ძარღვების კაპილარულ კონებს. ეს კონები ურთიერთშორის დაკავშირებულია როგორც მთელ სიგრძეზე, ისე ჰორიზონტალური მიმართულებითაც.

კაპილარული ძარღვები შეიძლება იყვნენ სხვადასხვა ფორმის, მსხვილი და წვრილი. მერქნის მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ლიბრიფორმი. პარენქიმური უჯრედები ყველაზე ხშირად წარმოქმნიან გულის ძარღვებს, აგრეთვე მერქნის პარენქიმს. საშუალოდ მუხის ბოჭკოები შეადგენენ 43,5-48% მერქნის საერთო მოცულობიდან, კაპილარები – 16,22%, გულის ძარღვები – 21,5-28%, მერქნის პარენქიმა – 8-13,5%. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემები არის საკმაოდ პირობითი, რამდენადაც მუხის ჯიშისა და ასაკის მიხედვით ანატომიური ელემენტები შეიძლება საგრძნობლად განსხვავდებოდნენ.

კაპილარულ ძარღვებს აქვთ უნარი გაატაროს სიოხე და პლასტიკური ნივთიერებანი მთელ სიმაღლეზე მეტად ინტენსიურად, რადიუსული და ტანგენსური მიმართულებებით კი - რამდენჯერმე ნაკლები ინტენსივობით.



ნახ.2. მუხის ხის ნაჭერი ელექტრონული მიკროსკოპის ქვეშ

მრავალწლიანი მუხის მერქანი, რომელსაც იყენებენ კასრების დასამზადებლად ძირითადად შედგება ბირთვისაგან (ხის ტანის მუქი ნაწილი). მერქნის ცილა (მერქნის ნათელი ფერის ნაწილი) შეადგენს სულ რამოდენიმე სანტიმეტრს მერქნის ქერქთან მიახლოებულ ფენებში.

მას, როგორც წესი, ხის გადამამუშავებელ საწარმოებში აშორებენ ქერქთან ერთად.

მერქნის მნიშვნელოვან თვისებებს შორის, რომლებიც გამოიყენება კონიაკის წარმოებაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტენიანობას, სიმკვრივეს (მოცულობით მასას), ტენ და წყალგამტარობას.

ახლადმოჭრილი მაგარი ჯიშის ხეების, მათ შორის მუხის ტენიანობა შეადგენს 33-37% წლის დროისაგან დამოკიდებულებით. გამშრალი მერქნის ტენიანობა საშუალოდ შეადგენს 15%-ს, მაგრამ იგი დამოკიდებულია გარემოზე და შესაძლებელია მნიშვნელოვნად მერყეობდეს.

მერქნის მოცულობის დიდ ნაწილს შეადგენს ფორები, მთელი მოცულობის 50...80%. ა. ლაშების მონაცემებით [13] საქართველოში გავრცელებული მუხის სახეობების ფორების მოცულობა შეადგენს 48,5...62,8%. ფორების მოცულობისგან დამოკიდებულებით იცვლება მერქნის სიმკვრივე (მოცულობითი მასა), რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ტექნიკურ მახასიათებელს, რამდენადაც ყველაზე ხშირად მერქანს ზომავენ მოცულობით. გარდა ამისა, მერქნის მიერ სითხის შთანთქმის სიდიდე (მათ შორის კონიაკის სპირტის) მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ მაჩვენებელზე. რამდენადაც სიმკვრივეზე გავლენას ახდენს ტენიანობა, ამიტომ გადაანგარიშება ხდება 15%-იანი ტენიანობით.

მერქნის სიმკვრივე, მათ შორის მუხის, დამოკიდებულია მის ჯიშზე და ზრდის გარემოზე. მუხის სიმკვრივე მერყეობს $0,51\ldots1,04$ გ/სმ³. ა.ლაშების მონაცემებით [13] საქართველოში გავრცელებული მუხის სახეობების სიმკვრივე მერყეობს $0,577\ldots0,798$ გ/სმ³. საშუალოდ მუხის მერქნის სიმკვრივე აბსოლუტურ მშრალ მდგომარეობაში ტოლია $0,52\ldots0,68$ გ/სმ³.

ცდებით დაგენილია, რომ საშუალოდ 1 კგ აბსოლუტურად მშრალი მერქანი იწოვს 0,8 ლ კონიაკის სპირტს. სითხის გადაადგილება ორთქლის სახით არ არის დამოკიდებული მერქნის სიმკვრივეზე, მაშინ როდესაც წყალგამტარობა უკუდამოკიდებულია ამ მაჩვენებელზე. წყალგამტარობა დამოკიდებულია ბოჭკოების

მიმართულებაზე. ეს მაჩვენებელი ბოჭკოების გრძივად გაცილებით მეტია, ვიდრე განივი მიმართულებით.

მერქნის სხვა ფიზიკური თვისებებიდან, ომლებსაც მნიშვნელობა აქვს კონიაკის წარმოებისათვის, აღსანიშნავია თბური გაფართოების კოეფიციენტი. ბოჭკოების გრძივად ის ძალიან მცირეა ($5\text{-}6$ ჯერ უფრო მცირეა, ვიდრე რკინისა და სპილენძის). მუხის მერქნისათვის თბური გაფართოების კოეფიციენტი ბოჭკოების გრძივად ტოლია $6 \cdot 10^{-6}$, ხოლო ბოჭკოების განივად $40 \cdot 10^{-6}$, ანუ თითქმის 7-ჯერ უფრო მეტი.

საცავში, სადაც ინახება კასრები კონიაკის სპირტით, ტემპერატურის მკეთრი მომატებით ან შემცირებით ხდება ტკების ზომების არათანაბარი გაფართოება ან შემცირება, კასრი დეფორმირდება და ხდება გაჟონვა, რაც იწვევს სპირტის მნიშვნელოვან დანაკარგებს.

1.3. მუხის მერქნის ქიმიური შემადგენლობა

მუხის მერქნის ქიმიური შემადგენლობა მნიშვნელოვნად მერყეობს. საშუალო მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1

მუხის მერქნის ქიმიური შემადგენლობა

ძირითადი კომპონენტები	ნივთიერებათა %-ული შემადგენლობა აბსოლუტურად მშრალი მერქნის მიმართ
ცელულოზა	23-30
გემიცელულოზა	15-30
ლიგნინი	17-23
მთრთიმლავი და ფენოლური	2-10
ნივთიერებები	
ფისისებური ნივთიერებები	0,3-0,6

ცხრილში 1 მოყვანილია საშუალო მაჩვენებლები. ამერიკული თეთრი მუხა შეიცავს დაახლოებით 50% ცელულოზას, 32% ლიგნინს,

ხოლო ფრანგული მუხა – დაახლოებით 40-45% ცელულოზას, 20-35% გემიცელულოზას, 25-30% ლიგნინს და 8-15% ტანიდებს [10].

მუხის მერქნის ელემენტური შემადგენლობა საშუალოდ შემდეგია: C - 49,4, H - 6,1 და O - 44,5 %.

მეღვინეობაში მუხის ტარის ფართო გამოყენების ერთერთი მთავარი მიზეზი არის მასში ფისისებური ნივთიერებების დაბალი შემცველობა (0,3-0,6%).

მუხის მერქნის ქიმიური შემადგენლობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნივთიერებას წარმოადგენს ლიგნინი. ლიგნინი ძირითადად შედგება არომატული შენაერთებისაგან, რომელიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან და ნახშირწყლებთან. ბუნებრივი ლიგნინი წარმოადგენს განშტოებულ პოლიმერს მოლეკულური მასით დაახლოებით 7000-10000. მაგრამ, მერქნიდან გამოყოფილი ლიგნინის პრეპარატების მოვლი რიგი ხასიათდება გაცილებით ნაკლები მოლეკულური მასით – 400-700.

1.4. მუხის მერქნის გავლენა მეღვინეობის პროდუქციის ხარისხზე

მუხის კასრში საკონიაკე სპირტის მოთავსებით ტკეჩის შიგნითა ფენიდან სპირტი მოსაზღვრე ფენისაკენ გადაინაცვლებს და მთელ კაპილარებსა და ფორებს სპირტი ან მისი ორთქლი იკავებს. იგი აკავშირებს კასრის შიგნითა სპირტსა და გარეთა ჰაერს. ტემპერატურის ცვალებადობა ფორებს ხან მთლიანად სპირტით ავსებს, ხან კიდევ გაკუუმს ჰქმნის. ამით ჰაერის უანგბადი გარედან შიგნით ფორებში შედის, ფორებიდან კასრში დაბრუნებულ სპირტს კი თან შეაქვს დაუანგული ტანინი, ლიგნინი და მერქნის სხვა ელემენტები. ეს უკანასკნელი ერევა კასრში მოთავსებულ სპირტში. ფორებში კი შედის სპირტის ახალი ულუფა. ფორებში მერქნის ელემენტების თანდასწრებით ჰაერის სპირტთან შეხება განუწყვეტლივ გრძელდება. ჰაერზე გამომშრალი მუხის ტკეჩის 1 სმ³-ში პირველი თვის განმავლობაში 0,4-0,6 მლ სპირტი თავსდება. თუ ვიანგარიშებთ, რომ მუხის მერქანი შეიცავს მეტად ბევრ ძარღვს, პერფორირებულ მილებს,

ტრაქეიდებს და სხვებს, რომლებშიაც შედის სპირტი და გადავიანგარიშებთ ამ მიღების შეხების ხვედრით ზედაპირს, დავინახავთ, რომ 1 სმ³ მუხის მერქანზე მოდის 200-300 კვადრატული სანტიმეტრის ფართობი. ამ ფართობზე განაწილებულია 0,4-0,6 მლ სპირტი. ეს უკანასკნელი ეხება ასეთი ფართო ზედაპირიან მუხის მერქანს, ხარბად ითვისებს მისგან მერქნის ელემენტებს და ახორციელებს მის შემდგომ გარდაქმნას. რაც უფრო ხშირია წვრილი კაპილარები, მით უფრო დიდი იქნება ხვედრითი ზედაპირი და ამით მაღალი იქნება მერქნის მოქმედების ეფექტიც.

ამ მოსაზრებათა სასარგებლოდ ლაპარაკობს სხვა მკვლევართა შეხედულებებიც. კენიგის შეხედულებით, მუხის კასრის ფორმებში შესული საკონიაკე სპირტი განიცდის ცვლილებებს. ასე წარმოიშვება ძმრის ალდგვიდიდან ძმრის მჟავა, რომელიც სპირტთან იძლევა რთულ ეთერებს და მასთან ერთად წარმოიშობა მთელი რიგი სხვა ნივთიერებანი, რომლებიც აძლევს საკონიაკე სპირტს არომატს.

გ. აღაბალიანცის შეხედულებით საკონიაკე სპირტის დაძველების არსი მეტად რთული და მრავალფეროვანია. ის დაკავშირებულია დაუანგვით პროცესებთან, ძირითადად - მუხის ექსტრაქტულ ნივთიერებათა დაუანგვასთან, ეთერიფიკაციასთან, აცეტალების წარმოებასთან და სხვა ქიმიურ რეაქციებთან, აგრეთვე ფიზიკურ-ქიმიურ მოვლენებთან (დიფუზია, კაპილარობა და სხვა). როგორც ჩანს, ეს პროცესი მიმდინარეობს ძირითადად მუხის ტკეჩის ფორმებში, რომლებშიც ერთი მხრიდან პაერის ჟანგბადი შედის, ხოლო მეორე მხრიდან საკონიაკე სპირტი. შეხების ფართო ზედაპირი პაერის ჟანგბადის განუწყვეტელი ნაკადით ფორმებში უზრუნველყოფს მიმდინარე რეაქციის ინტენსივობას ექსტრაქტულ ნივთიერებებთან (პირველ რიგში პოლიფენოლების), საკონიაკე სპირტის კომპონენტებთან. ღრმა გარდაქმნის პროდუქტები შენახვის პერიოდში დიფუნდირდება საკონიაკე სპირტში და იწვევს მის დაძველებას.

მუხის მერქნის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან კომპონენტებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ პროდუქტის გემოზე, ფერზე და არომატზე, წარმოადგენენ ლიგნიური და ტანინური ბუნების ნივთიერებები. ტანინებს ხსნარში აქვთ მომწარო გემო, მაგრამ

პიდროლიზური ტანინების არსებობა, რომლებიც ადვილად იქანგებიან დაძველების პროცესში, პროდუქტს ანიჭებენ სიმსუბუქეს და სრულ გემოვნებას. მერქნის სხვა ჯგუფის ფენოლურ ნივთიერებებს წარმოადგენენ ლიგნინის ბიოსინთეზის თანმხლები პროდუქტები – ბენზოინური რიგის არომატული მჟავები და შესაბამისი ალდეჰიდები. მათ შორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვანილინს. ის ახდენს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ზემოქმედებას დაძველებული პროდუქტის ბუკეტზე. სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს, რომლებიც აგრეთვე ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ბუკეტის წარმოქმნაში, წარმოადგენენ ლაქტონები და აქროლადი ფენოლური შენაერთები. აქროლად ფენოლებს შორის, რომლებსაც უნარი შესწევთ იმოქმედონ პროდუქტის ბუკეტზე, წარმოადგენენ ევგენოლის, გვაიაკოლის, კრეზოლის და ფენოლის წარმოებული ნივთიერებები. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ აგრეთვე ფურანოიდული რიგის ნივთიერებები, რომლებიც ძირითადად წარმოიქმნებიან მერქნის თერმული დამუშავების დროს.

ღედამიწაზე არსებულ ყველა მცენარეს შორის მედვინეობის პროდუქტების დასაძველებლად ირჩევენ მხოლოდ მუხას. პირველ რიგში მისი მერქანი მდიდარია ექსტრაქციული ნივთიერებებით, გარდა ამისა, ის ძალიან მკვრივი მასალადა და კასრიდან სითხის გაუონვა არ ხდება, მაგრამ ატარებს გაზებს. ეს მისი ოვისება განაპირობებს ჟანგვა-აღდგენით ბუნებრივ, რთულ პროცესებს, რაც აუცილებელია მასალის დასაძველებლად. მუხის მერქნის შედარება სხვა ჯიშის მცენარეებთან გვიჩვენებს, რომ მისი ექსტრაქტული ნივთიერებები შეიცავენ უფრო ნაკლებ მომწარო გემოს ნივთიერებებს. კასრების დასამზადებლად გამოიყენება 100 წლამდე ასაკის მუხა.

მუხის კასრების სამშობლოდ ითვლება საფრანგეთი, რომელიც დღეისათვის აწარმოებს 500 ათას კასრზე მეტს წელიწადში. მუხა საფრანგეთში წარმოადგენს ყველაზე უფრო დირებულ მერქანს. მაგრამ 400-ზე მეტი მუხის ჯიშისაგან მეღვინეობისათვის გამოსადევია მხოლოდ რამდენიმე უვროპაში გავრცელებული *Quercus petraea* და *Quercus robur*), აგრეთვე ამერიკული თეთრი - *Quercus alba*.

1.5. მუხის კასრების ტექნოლოგიური რესურსის გაზრდის არსებული მეთოდები და ალტერნატიული საშუალებები

მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების ანგარიშებში მოცემულია მუხის კასრებში კონიაკის სპირტის დაყენების შემთხვევაში ამ კასრების გამოფიტვის დინამიკა. თუმცა კვლევები ჯერ ისევ მიმდინარეობს და მიღებული შედეგების, ასევე, სამარკო ლვინოების და კონიაკის მწარმოებელი სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე დადგენილია კასრების გამოყენების ვადა. ლვინის დაყოვნებისათვის მუხის კასრების მაქსიმალური ვადა (მერქნის გამოფიტვის მომენტამდე) შეადგენს 6-12 წელს, კონიაკის სპირტების დაყოვნების დრო კი განისაზღვრება 16-18 წლამდე.


სარისხოვანი მუხის კასრების მაღალი ღირებულების და საკასრე მასალების შეზღუდული მარაგების გამო, მწვავედ დგას საკითხი ამ ღირებული მასალის ალტერნატიული წყაროების მოსაძიებლად. ამ პრობლემის ერთ-ერთ კარგ გადაწყვეტას წარმოადგენს მერქნის გადამუშავების ისეთი პროდუქტების გამოყენება როგორიცაა მუხის ტკენი (ნაფოტი), ბურბუშელა, მუხის მერქნის ფხვნილი და სხვა. ეს პროდუქტები ხელმისაწვდომია, ადვილია გამოსაყენებლად და ეკონომიურია. ყურძნისა და ლვინის საერთაშორისო ორგანიზაციამ დაუშვა სპეციალურად მომზადებული მუხის ტკენის გამოყენება მედვინეობის პროდუქციის წარმოებაში. აღნიშნული ტექნოლოგიური მეთოდი მიმართულია ლვინისა და კონიაკის პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების ასამაღლებლად. მუხის ტკენი მზადდება გამორჩეული მერქნისაგან (*QUERCUS SESSILIS*), რომელიც მზადდება საფრანგეთში და მიიღება კასრების წარმოების ნარჩენებისაგან.

მუხის ტკენის ამზადებენ სპეციალური ტექნოლოგიით. აქუცმაცებენ დაახლოებით 10X5X3 მმ ზომის ნაწილაკებად. დაქუცმაცებას აწარმოებენ რადიალური, მერქნის ბოჭკოების მიმართულებით. ტკენის აშრობენ ორი მეთოდით – ბუნებრივი და ხელოვნური. ხელოვნური შრობის უპირატესობა გამოიხატება პროცესის დაჩქარებასა და რეგულირებაში, მაგრამ ასეთი მასალით დამზადებული

კასრების ხარისხი მნიშვნელოვნად ნაკლებია და პრაქტიკულად არ გამოიყენება მაღალხარისხოვანი დგინოებისა და მაგარი სასმელების დასამზადებლად.


მუხის კასრების მასალის დეფიციტურობა და ლირებულება განაპირობებს ალტერნატიული საშუალებების ძიებას და მეცნიერულ დასაბუთებას. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში, რამდენადაც ჩვენი რესპუბლიკის მედვინეობაში, კერძოდ კონიაკის წარმოებაში ბოლო 25 წელია, რაც მუხის კასრების წარმოება არ მიმდინარეობს და დეფიციტის შევსება ხდება ძვირადლირებული უცხოური კასრებით. ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროდუქციის თვითდირებულებაზე. ქ. თბილისის კონიაკის ქარხანა “სარაჯიშვილში” დაგროვილია სხვადასხვა ტევადობის მუხის კასრების დიდი რაოდენობა. მათი ტექნოლოგიური რესურსის გაზრდა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს მოუტანს წარმოებას. ზემოთადნიშნულიდან გამომდინარე, გამოფიტული კასრების ეფექტური ალტერნატივების მოპოვება მოითხოვს შემდგომ მეცნიერულ კვლევას.

ერთადერთი ნაკლოვანი მხარე რაც ახასიათებს მუხის კასრებში სპირტის დაძველებას არის სპირტის დანაკარგები მისი აორთქლების შედეგად. ცნობილია, რომ მუხის მერქანი არ ატარებს სითხეს, მაგრამ ატარებს აირებს, როგორც გარედან ბუნებრივი ჟანგბადის სახით, ასევე შიგნიდან წყალ-სპირტის ორთქლის სახით. სწორედ ეს უკანასკნელი იწვევს სპირტის დანაკარგებს. ამიტომ, ცნობილი სპეციალისტის გ. აღაძე აღინიშნა მუხის კასრების ერთ-ერთ ალტერნატივად წამოყენებული იყო საკონიაკე სპირტის მომინანქრებულ ჭურჭელში დაძველება, რომელშიც თხევადი და მყარი მასის საჭირო თანაფარდობით აწყობენ წინასწარ დამუშავებულ მუხის ტაქჩებს. ტაქჩებს თავიდან ამუშავებენ ცხელი წყლით, შემდეგ 1 სთ-ის განმავლობაში ცხელი კალცირებული სოდის 1%-იანი ხსნარით, 1-2 სთ-ის განმავლობაში 2%-იანი გოგირდმუვათი, რის შემდეგ ტაქჩებს რეცხავენ ცხელი და ცივი წყლით. ტაქჩებს აწყობენ შტაბელებად, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ.3-ზე, ხვედრითი ზედაპირის და სპირტის მოცულობის ოპტიმალური თანაფარდობით 80-90 სმ²/ლ.



ნახ.3. ტკეჩების შტაბელებად დაწყობის სქემა

შემდეგ ტკეჩის შტაბელებს ათავსებენ ემალირებულ რეზერვუარებში, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ.4-ზე. რეზერვუარის ზედა ნაწილში ტოვებენ საჰაერო ბალიშს, სადაც პერიოდულად მიეწოდება ჟანგბადი. ეს მეთოდი ცნობილია ქ. კრასნოდარის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახელით.



ნახ.4. რეზერვუარში ტკეჩის შტაბელების განლაგების სქემა

ი. პლატონვაძა [25] გამოიკვლია აღნიშნული მეთოდით დაძველებული კონიაკის სპირტის ქიმიური შემადგენლობის ცვლილება. მისი მონაცემებით ზოგიერთი აქროლადი კომპონენტის შემცველობის მხრივ რეზერვუარში და მუხის კასრში დაძველებულ სპირტებს შორის არსებითი განსხვავება არ აღნიშნულა.

ძალზე არსებითია, რომ ი. პლატონვაძა დაასაბუთა ის, რომ ტკეჩის როგორც წინასწარი დამუშავების დროს, ასევე სპირტის

დაძველების პროცესში ცვლილება განიცადა მხოლოდ ტკუნის თხელმა ზედაპირულმა ფენამ 2-3 მმ სიღრმემდე.

ა. სირბილაძემ და დ. ნიკოლაიშვილმა გამოიკვლიეს უანგბადის რეჟიმი ქ. კრასნოდარის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეთოდით კონიაკის სპირტის დაძველების პროცესში. ამისათვის ერთ რეზერვუარში პერიოდულად აწვდიდნენ უანგბადს, ხოლო მეორეში – არა, მაგრამ არსებითი ცვლილება OB -პოტენციალის და rH_2 სიდიდეების არ აღნიშნულა 18 თვიანი დაძველების დროსაც კი. საღებულებაციო მახასიათებლებიც ასევე უმნიშვნელოდ განსხვავდებოდა (სულ 0,1 ბალის სხვაობა).

ი. ქადეიშვილის წინადადებით, ქ. კრასნოდარის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეთოდით სპირტის დაძველების პროცესში უანგბადის მიწოდება განხორციელებული იყო შტაბელებად დაწყობილი მუხის ტკებებში გაკეთებული ნახვრეტებიდან. ნახვრეტები ერთმანეთთან შეერთებული იყო მილის ზღუდარებით.

ამჟამად ქ. კრასნოდარის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტექნოლოგია რამდენადმე სახეშეცვლილია, კერძოდ ტკებების დამუშავება ცხელი სოდით და მუავათი შეცვლილია ცივი წყლით და 20-30 წთ-იანი დამუშავებით მწვავე ორთქლით [31].

ლ. ჯანფოლადიანის, ე. მნჯოიანის და ს. ზარობიანის [10] წინადადებით კონიაკის სპირტების მისაღებად გამოიყენება სპეციალურად დამუშავებული მერქანი: მუხის ხის ნაჭრებს ცივი და ცხელი წყლით გარეცხვის შემდეგ აშრობენ 10-12% ტენიანობამდე და ცხელი ჰაერის ნაკადით აწარმოებენ მაღალ ტემპერატურულ თერმულ დამუშავებას $115-140^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე 3-7 დღის განმავლობაში. დამუშავებულ მერქანს 1:1 შეფარდებით ურევენ თერმიულად დაუმუშავებელთან და ტვირთავენ ჰიდრავლიკურ სარეცხელაში. სვეტის თავში უშვებენ კონიაკის სპირტს, ხოლო ძირში პერიოდულად აწვდიან უანგბადს. ასეთი მეთოდით მიღებულ კონიაკის სპირტს შემდგომში აძველებენ მუხის კასრებში 1,5 წლის განმავლობაში. ზემოთაღწერილი თერმიული დამუშავებით შესაძლებელია აგრეთვე ისეთი მუხის ტკებების დამუშავებაც, რომლებსაც თერმიულად დაუმუშავებლებთან

ერთად, 1:1 შეფარდებით, შტაბელებად აწყობენ ემალირებულ რეზერვუარში და ასხავენ კონიაკის სპირტს. სპირტს აძველებენ 20-25°C ტემპერატურაზე და რეზერვუარის საჭარო კამერაში პერიოდულად შეჭყავთ ჰაერი ან ჟანგბადი.

ბ. ნილოვის და ი. სკურიხინის [20] მიერ შემოთავაზებული იყო ემალირებულ რეზერვუარებში კონიაკის სპირტების დაჩქარებული მომწიფების მეთოდი, რომელიც განსხვავდება იმით, რომ მუხის მერქანს წინასწარ ამუშავებენ სუსტი სოდიანი ხსნარით დაბალ ტემპერატურაზე. შემდგომი კალიფებით [21,30] დაზუსტდა მუხის მერქნის წინასწარი დამუშავების პარამეტრების რიგი და კონიაკის სპირტის დაძველების პირობები. დღეისათვის ეს ტქმოლოგია ცნობილია “მაგარაჩის” ტექნოლოგიის სახელწოდებით. მუხის მერქანს წინასწარ ამუშავებენ 0,3-0,6%-იანი მწვავე ნატრიუმით, ან 0,5-1,0%-იანი მწვავე კალიუმით 10-15°C ტემპერატურაზე 2-6 დღე-დამის განმავლობაში პიდრომოდულში არანაკლებ 1:5 [30], შემდეგ სოდის მოცილების შემდეგ რამოდენიმეჯერ რეცხავენ წყლით.

იმის გათვალისწინებით, რომ სანგრძლივი დაძველების დროს სპირტი მერქანში აღწევს 8-11 მმ-მდე და არსებითი ცვლილებები მუხის ტემპერატურის მიმდინარეობს 2-3 მმ სიღრმეზე, რეკომენდებული იყო თხელი მუხის ტკეჩების გამოყენება სისქით 10 მმ-მდე [21].


თხელი ტკეჩის გამოყენებას აქვს რიგი უპირატესობანი:

- თხელი ტკეჩი წარმოებაში გაცილებით იაფია;
- ერთი და იგივე ხვედრითი ზედაპირის მისაღებად რეზერვუარებში ჩატვირთვის დროს თხელი ტკეჩის საჭირო რაოდენობა გაცილებით ნაკლებია სტანდარტულთან შედარებით;
- თხელი ტკეჩის გამოყენების შემთხვევაში სპირტის დანაკარგები გაჯერებაზე რამდენიმეჯერ ნაკლებია;
- უმჯობესდება რეზერვუარის მოცულობის გამოყენება.

ნახ. 5-ზე წარმოდგენილია 1500 დალ ტევადობის მომინანქრებულ რეზერვუარში მუხის ტკეჩების განლაგების და არმატურის სქემა.

ტკეჩების შტაბელებს 12 აწყობენ რეზერვუარის 1 ზედა ნაწილში, რაც აუმჯობესებს ნივთიერებათა ექსტრაქციას ტკეჩიდან. ტკეჩებს

აწყობენ მუხის საყრდენ ძელაკებზე 13 ისე, რომ მათ შესაძლოდ მინიმალურად გადაფარონ ერთმანეთი. ძელაკებზე 13 დაწყობილი შტაბელების რეზერვუარში სათანადო ფიქსირებისათვის გამოიყენებენ თხელ ტკეჩებს 14 და 15. რეზერვუარის ჟანგბადით კვება ხორციელდება ბალონიდან 11. არმატურა შეიცავს: რეზინა-ქსოვილის შლანგები 2,3, გამომშვები ნახვრების ონკანი 6, საჭაერო ნიპელი 7, ტუმბო 8, ტუმბოს ჩამომშვები ონკანი 9, ჟანგბადის მიმწოდი ფრქვევანა 10, რეზერვუარის ყელი 4 და მომსახურების ლიუკი 5.



ნახ.5. 1500 დალ ტევადობის მომინანქრებულ რეზერვუარში მუხის ტკეჩების განლაგების და არმატურის სქემა

რეზერვუარს ავსებენ კონიაკის სპირტით მისი მოცულობის 1-2%-ით ნაკლები სიდიდით და წელიწადში ორჯერ დოზატორის დახმარებით აწვდიან ჟანგბადს. ამასთან, ხორციელდება სპირტის მორევა, რაც დადებითად მოქმედებს მომწიფებაზე.

ისევე როგორც სპირტის რეზერვუარული დაძველების სხვა მეთოდების შემთხვევაში, ჟანგბადის შემცველობა უნდა შეადგენდეს 10-15 მგ/ლ. დაძველების ოპტიმალური ტემპერატურაა $20-25^{\circ}\text{C}$.

მერქნის ოპტიმალური რაოდენობა დამოკიდებულია მისი დამუშავების მეთოდზე, დაძველების ტემპერატურაზე და ხვედრით საკონტაქტო ზედაპირზე, რომელიც შეადგენს $15-90 \text{ სმ}^2/\text{ლ}$.

კონიაკის სპირტის დაძველების განხილული რეზერვუარული მეთოდების ძირითად ნაკლოვან მხარეს წარმოადგენს ის, რომ ლითონის რეზერვუარს არ შეუძლია ჟანგბადის ბუნებრივი მიწოდება ჟანგვითი პროცესების მიმდინარეობისათვის. ამიტომ საჭირო ხდება ჟანგბადის ხელოვნური, დოზირებული მიწოდება ავტომატიკის

ელემენტების გამოყენებით, რაც ართულებს პროცესის მიმდინარეობას და საერთოდ რეზერვუარების ტექნიკურ მომსახურებას.

გარდა ამისა ხარისხობრივი მაჩვენებლების თვალსაზრისითაც არ არის ერთგვაროვანი შეფასება. მეცნიერების და სპეციალისტების დიდი ნაწილი თვლის, რომ მუხის კასრში იქმნება სპირტის მომწიფებისათვის საჭირო უაღრესად ხელსაყრელი ბუნებრივი აურა, რაც დადგებითად აისახება მზა პროდუქტის ხარისხზე.

თუ გავითვალისწინებთ საწარმოებში გამოფიტული კასრების დიდ რაოდენობას, ცხადია, რომ მათი სამსახურში ჩაყენება უდავოდ დადებითად აისახება საწარმოს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

ამრიგად, საკითხის გადაწყვეტისადმი სწორი მიღვომა იქნება ისეთი მეთოდების დამუშავება და კვლევა, რომლებიც უზრუნველყოფენ მუხის კასრების ტექნოლოგიური რესურსის ამაღლებას და მათი სამსახურის ვადის გახანგრძლივებას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოფიტული კასრების ეფექტური ალტერნატივების მოპოვება მოითხოვს შემდგომ მეცნიერულ კვლევას.

ცნობილია, რომ სპირტის შეღწევადობა კასრის მერქანში არ არემატება 7...10 მმ-ს, მაშინ როდესაც კასრის კედლის სისქე მისი ტევადობისაგან დამოკიდებულებით აღწევს 35 მმ-მდე. გამოდის, რომ მერქნის დაახლოებით 70% რჩება გამოუყენებელი. ამიტომ, ერთ-ერთი მეთოდის მიხედვით, კასრის მასალის სრულად გამოყენების მიზნით აწარმოებენ მის დაშლას, გამოფიტული ფენის მოხსნას და ხელახლა აწყობას, რაც უაღრესად რთული პროცესია. მაგალითად, ქ. ოდესის კონიაკის ქარხანაში გამოფიტულ კასრებს შლიან და ტკეჩებზე ხსნიან 2-3 მმ ფენას, შემდეგ მათ კვლავ აწყობენ და ალაგებენ იარუსებად.

ჩრდილოეთ-კავკასიის მებაღეობისა და მევენახეობის ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ დამუშავდა გამოფიტული მუხის კასრების შიგა ზედაპირის მუხის ექსტრაქტით აღდგენის მეთოდი მექანიკური დამუშავების გარეშე. კასრების დამუშავება ხდებოდა შემდეგნაირად: კასრები ივსებოდა მუხის ექსტრაქტის 1,0-1,5%-იანი $40-45^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის სუსტი წყალ-სპირტიანი ხსნარით. დაყოვნება ხდებოდა 14 დღე-დამის განმავლობაში

პერიოდული მორევით. შემდეგ ხსნარს კვლავ აცხელებდნენ 40-45°C ტემპერატურამდე და აყოვნებდნენ 14 დღე-დამის განმავლობაში. შემდეგ ხდებოდა კასრების გამოვლება შერბილებული წყლით და მათი შევსება 65,8%-იანი ახალგაზრდა სპირტით. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კასრის შიგა ზედაპირმა განიცადა გუხის ექსტრაქტის სორბირება და წარიმართა სრულყოფილი ქიმიური, ფიზიკურ-ქიმიური და ბიოქიმიური პროცესები [Р.А.Сула и др. Применение дубового экстракта для обработки коньячных бочек].

მაგრამ ასეთ მეთოდებს მოაქვს მხოლოდ ლოკალური შედეგი და არ წყვეტს პრობლემას მთლიანად. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია კონიაკის სპირტების მომწიფების დაჩქარებული ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც დაფუძნებულია სპირტზე სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიური საშუალებებით ზემოქმედებაზე, აგრეთვე კონიაკის სპირტში მუხის ხისაგან დამზადებული ექსტრაქტების შეტანა, როგორც მომწიფების დამაჩქარებელი საშუალებების. ამ გზით შესაძლებელია გამოფიტული კასრების ექსტრაქციული ნივთიერებების დაფიციტის შეგსება.

ცნობილია მუხის ექსტრაქტების წარმოების მრავალი მეთოდი. ერთ-ერთი მეთოდის თანახმად წყალ-სპირტის ხსნაში შეაქვთ მუხის ხის ბურბულება ან ნაფოტი და პერიოდული მორევით აწარმოებენ ექსტრაქციას. გამოიყენება “*Quercus robur*” მუხის ბურბულება ან ნაფოტი, რომლის ასაკი არ უნდა იყოს 80 წელზე ახალგაზრდა. ამასთან გამოიყენება ხის ტანის მხოლოდ შუა ნაწილი. ექსტრაქტის მოსამზადებლად იყენებენ 1,0-1,5 სმ ზომის ნაფოტებს 5-6 მმ სისქით ან რგოლების სახით დახვეულ ბურბულებას 10-20 მმ დიამეტრით და 10-20 მმ სიგრძით.

ექსტრაქციის პროცესში ნარევზე პერიოდულად ზემოქმედებენ აკუსტიკური გელით, 22-50 კილოპერცი რხევის სიხშირით და რხევის ინტენსივობით 4-40 ვტ/სმ² 10...20 წო-ის განმავლობაში. ექსტრაქციის პროცესი მიმდინარეობს 1-3 დღე-დამე, აკუსტიკური გელის ზემოქმედების პერიოდულობით – 1-3-ჯერ. მუხის ბურბულებას ან ნაფოტს იყენებენ 50 გ-დან 0,5 კგ-დე 1 დმ³ წყალ-სპირტის ნარევზე.

სხვა ტექნოლოგიით კონცენტრატს ამზადებენ მუხის მერქნის კომპონენტებისაგან წყლით ექსტრაქციით საექსტრაქციო დანადგარებზე. შემდგომში აწარმოებენ მიღებული დიფუზიური წვენის გამოორთქვლას და გამოშრობას კრისტალურ მდგომარეობამდე. შემდეგ მუხის ფხვნილისებურ პრეპარატს ასხავენ დარბილებულ წყალს და მორევით ხსნიან მის წყალშისნად ნაწილს, ხოლო ნალექს აშორებენ ცენტრიფუგირებით. წყალ-სპირტის მუხის ექსტრაქტის მისაღებად წყლის ექსტრაქტს სპირტავენ და ფილტრავენ.

ამ მეთოდის ნაკლოვან მხარეს წარმოადგენს ის, რომ მუხის ფხვნილისებური პრეპარატის მიღების დროს, დიფუზიური წვენის გამოორთქვლით და გამოშრობით მიღებული მასა კარგავს მუხის მერქნის ლირებულ არომატის წარმომქმნელ კომპონენტებს, რის გამოც ასეთი ექსტრაქტებიდან მიღებულ სასმელებს აქვთ დაბალი ორგანო-ლეპტიკური თვისებები.

ცნობილია წყალში ხსნადი მთრიმლავი ნივთიერებების ექსტრაქციის პროცესი, სადაც მუხის ტკენის ბურბუშელას ათავსებენ შერბილებული წყლით შევხებულ რეზერვუარში და ამუშავებენ ულტრაბგერით რხევის სიხშირით და ინტენსივობით შესაბამისად 18-20 კილოჰერცი და 2-3 ვტ/სმ³ 60 წთ-ის განმავლობაში [18]. ულტრაბგერის მოცემული პარამეტრების ზემოქმედებით ხარისხოვან მუხის მერქანზე, სპირტის განსაზღვრული კონცენტრაციით, შესაძლებელია მაღალი ტექნოლოგიური უფექტის მიღება.

ამ მეთოდის ნაკლია სპირტის გამოყენება არასაკმაო კონცენტრაციით, რაც არ იძლევა მაღალი ხარისხის მუხის ექსტრაქტის მიღების შესაძლებლობას. გარდა ამისა, გართულებულია ხსნარზე ულტრაბგერის გადაცემის პირობები.

მუხის კასრების ტექნოლოგიური რესურსის ასამაღლებლად გარდა ექსტრაქტებისა, ფართოდ გავრცელებულია მერქნის ნატურალური კომპონენტების გამოყენება, ისეთები როგორიცაა: მუხის ხის ფხვნილი და მცირე ზომის ნაფოტები (ნახ.6,ა); მუხის ხის ჩიფსები (ნახ.6,ბ); მუხის ხის ჯუბები (ნახ.6,გ); მუხის ხის ე.წ. დომინო (ნახ.6,დ); მუხის ხის ბლოკები (ნახ.6,ე); მუხის ხის სპირალების ჯაჭვი(ნახ.6,ვ);



δ)



δ)



δ)



δ)




δ)



δ)



θ)




θ)

ნახ.6. მუხის მერქის ნატურალური კომპონენტები

მუხის ხის ტკეჩები (ნახ. 6,ბ); დიდი ზომის ავზებში ჩასალაგებელი მუხის ხის ტკეჩები (ნახ. 6,თ) [40].

ნახ.7-ზე წარმოდგენილია მუხის მერქნის ნატურალური კომპონენტების ექსტრაქციული გრაფიკები, რომლებიც სრულად აქვემდებარებიან ლოგიკურ ექსპონენციალურ კანონზომიერებებს. როგორც გრაფიკებიდან ჩანს ყველაზე ადრე (დაახლოებით 2 კვირა) ექსტრაქციულ პიკს აღწევენ ე.წ. ჩიფსები და მუხის კუბიკები. კასრში ჩალაგებული მუხის ჯაჭვებისათვის ეს დრო შეადგენს დაახლოებით 3 თვეს, ხოლო მომინანქრებულ ავზებში ჩაწყობილი ტკეჩებისათვის ექსტრემუმი შეადგენს დაახლოებით 4 თვეს. ამ ჩამონათვალში არ არის მოყვანილი ფხვნილი და მცირე ზომის ნაფოტები. სავარაუდოდ ამ კომპონენტებისათვის ექსტრაქციის პიკი სხვა კომპონენტებთან შედარებით დადგება გაცილებით მოკლე დროში, რამდენადაც ისინი მიეკუთვნებიან მცირე დისპერსიულ მასალებს, რომლებსაც გააჩნიათ შეუდარებლად დიდი საკონტაქტო ფართი ექსტრაგენტთან და შესაბამისად ექსტრაქციული პროცესების მიმდინარეობის სიჩქარეც მაღალია [39].



ნახ.7. მუხის მერქნის ნატურალური კომპონენტების ექსტრაქციული გრაფიკები

ყველაზე ძლიერ ექსტრაქტს შედარებით მცირე დროში იძლევა მერქნის ფხვნილი და ნახერხი, მაგრამ მათი გამოყენება ართულებს შემდგომ პროცესს, რაც დაკავშირებულია მაღალი სისუფთავის ფილტრაციასთან.

გარკვეული სირთულე კასრების მომსახურების თვალსაზრისით ახასიათებს აგრეთვე მცირე ზომის ნამზადების გამოყენებასაც როგორებიცაა, მაგალითად, ჩიფსები, ნაფოტები, კუბიკები და სხვა, რომლებიც კასრებში შეაქვთ ერთმანეთთან დაუკავშირებელი ნაფარი მასალის სახით და მათი შემდგომი გადმოტვირთვა კასრიდან მოითხოვს გარკვეულ დროით დანახარჯებს, მითუმეტეს როდესაც საქმე გვაქვს დიდი რაოდენობის კასრებთან.

ასევე არაეკონომიურია მცირე ზომის სწორი გეომეტრიული ფორმის ნამზადების გამოყენებაც, რომლებიც მიიღება მექანიკური დამუშავების შედეგად, ეს კი დაკავშირებულია მნიშვნელოვან მატერიალურ და დროით დანახარჯებთან, ასევე დირექტული ნივთიერებების დანაკარგებთან.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი სასმელების დასაძველებლად არის მუხის ხის ნაფოტების (ჩიფსების) გამოყენება (ნახ. 6,ბ). ეს ინგრედიენტი შეიძლება დაემატოს, მაგალითად, დვინის წარმოებას სხვადასხვა ეტაპზე, ჯერ კიდევ ფერმენტაციის დასაწყისში, როდესაც ხდება საწარმოო ტევადობების შევსება. დვინის წარმოებაში როდესაც დებულობენ ჩიფსებს, მათ წინასწარ გამოწვავენ ცეცხლზე, შემდეგ გაჟღენთავენ წყლით. ცეცხლისა და წყლის ზემოქმედებით ჩიფსები დებულობენ კვამლის მდგრად სუნს, კარამელის და შებოლილის არომატებს. ჩიფსების დამატება იძლევა საშუალებას არსებითად გაიზარდოს დვინოსთან მერქნის კონტაქტის ფართი, რომელიც აჩქარებს დაძველების პროცესს, ხოლო წყლით გაჟღენთვა ამცირებს ტანინების ინტენსივობას.

უფრო ნაკლებად გავრცელებული ვარიანტია მუხის ფქვილის (ნახ. 6,ა) დამატება ჯერ კიდევ დაუწურავ ყურძენში, რათა გაიზარდოს სამომხმარებლო დვინის ხარისხი. ამ ტექნოლოგიის გამოყენება საშუალებას იძლევა დვინო გამდიდრდეს მუხის მჩატე არომატით. ასევე არსებობს აზრი, იმის შესახებ, რომ მუხის ფქვილის დამატება ამცირებს გოგირდის შენაერთების რაოდენობას, როგორც კონსერვანტი ელემენტისა. მესამე ვარიანტია მუხის ხის ძელაკების (ნახ. 6,ზ,ო) ჩალაგება დვინით სავსე რეზერვუარებში. სხვადასხვა მწარმოებლები

ალაგებენ სხვადასხვანაირად, ზოგი ვერტიკალურად კიდებს, ზოგი კი ალაგებს რეზერვუარის ფსკერზე (ნახ. 8).



ნახ.8. მუხის ხის კასრებში საექსტრაქციო ნამზადების
განლაგების გარიანტები

ეს პროცესი საშუალებას იძლევა ვაკონტროლოთ პროცესი და ნებისმიერ დროს ამოვიდოთ ეს ძელაკები რათა არ მოხდეს ზედმეტად დვინის გაჯერება მუხის ბუკეტით. ასევე გამოიყენება მუხის ხის ექსტრაქციის როგორც დვინის მრეწველობაში ასევე მაგარი ალკოჰოლური სასმელების დამზადებისას.

1.6. მცენარეული მასალების ექსტრაქციის პროცესის თეორიული საფუძვლები

უჯრედოვანი სტრუქტურის მქონე მყარი მასალებიდან ნივთიერებათა ექსტრაჟირება რთული ფიზიკურ-ქიმიური პროცესია, რომელსაც საფუძვლად უდევს ნივთიერებათა მასაცვლა და მასაგადაცემა. აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფენ ნივთიერების გადატანას მაღალი კონცენტრაციის ფაზიდან დაბალი კონცენტრაციის ფაზაში. კონკრეტული პროცესისაგან დამოკიდებულებით, მასაცვლა “მყარი სხეული-სითხის” სისტემაში, შეიძლება იყოს განსხვავებული. მცენარეული წარმოშობის მასალებში ექსტრაჟციის პროცესში მიმდინარეობს ურთიერთმოქმედება სითხესა და ფორიან სხეულს

შორის, რომლიც შეიცავს ხსნად ნივთიერებებს ფორების კედლებზე ან ხსნარს ფორების შიგნით [36, 37, 38].

მცენარეული მასალების, მათ შორის მუხის კასრებში, ექსტრაქციული პროცესი მიმდინარეობს სელექციური თხევადი გამხსნელით (საკონიაკე სპირტით), რის შედეგადაც მიიღება ღირებული მიზნობრივი პროდუქტები. მუხის კასრებში მიმდინარე ექსტრაქცია მიეკუთვნება ორფაზიანი (მყარი სხეული-სითხე) ექსტრაქციონური პროცესს, რომელშიც მონაწილეობს სამი ნივთიერება: მიზნობრივი პროდუქტის მატარებელი მყარი ფაზა; მიზნობრივი პროდუქტის გამხსნელი თხევადი ფაზა და თვით მიზნობრივი ნივთიერება, რომელიც გადადის ერთი ფაზიდან მეორეში. ნივთიერების მოძრაობა ფაზებს შორის დამოკიდებულია მის კონცენტრაციაზე ორივე ფაზაში, წონასწორობის პირობის დაცვით.

მასაცვლის პროცესის თეორიის საფუძველზე ნივთიერების გადატანა შესაძლებელია ორი გზით – მოლებულური და კონვექციური დიფუზიით. ორივე შემთხვევაში პროცესის მამოძრავებელი ძალა არის ფაზებს შორის კონცენტრაციათა სხვაობა.

მოლებულური დიფუზია წარმოადგენს ნივთიერების თავისუფალ გადატანას მაღალი კონცენტრაციის ფაზიდან დაბალში, ანუ პროცესი მიმდინარეობს კონცენტრაციის გრადიენტის არსებობის შემთხვევაში.

მოლებულური დიფუზიის მათემატიკური ფორმულირება გამოისახება ა. ფიკის პირველი კანონის საფუძველზე

$$M = -DF \frac{dc}{dx} \tau, \quad (1)$$

სადაც M - დიფუნდირებული ნივთიერების რაოდენობა, კგ;

D - დიფუზიის კოეფიციენტია, $\text{მ}^2/\text{წ}$;

F - ზედაპირის ფართია დიფუზიის მიმართულების

მართობულად, მ^2 ;

dc/dx -კონცენტრაციის გრადიენტია x მიმართულებით;

τ - დიფუზიის დროა, წ.

განტოლებაში ნიშანი “მინუსი” მიუთითებს, რომ პროცესი მიმდინარეობს კონცენტრაციის შემცირების მიმართულებით.

ექსტრაქციის პროცესის მიმდინარეობაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დიფუზიის D კოეფიციენტს, რომელსაც (1) განტოლების თანახმად აქვს $\theta^2/\sqrt{\delta}$ განზომილება. აქედან გამომდინარეობს ამ კოეფიციენტის ფიზიკური არსი, რომელიც გვიჩვენებს ნივთიერების რა რაოდენობის მასა გადის დროის ერთეულში ერთეულ ფართში ერთის ტოლი კონცენტრაციის გრადიენტის დროს. იგი წარმოადგენს მოცემული ნივთიერების ფიზიკურ კონსტანტას, რომელიც ახასიათებს მის უნარს შეაღწიოს უძრავ არეში და არ არის დამოკიდებული პროცესის მიმდინარეობის ჰიდროდინამიკურ პირობებზე.

დიფუზიის კოეფიციენტის მნიშვნელობას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავენ ექსპერიმენტული მონაცემებით ან თეორიული და ნახევრად ემპირიული განტოლებებით.

მოლეკულური დიფუზიის პროცესში განსახილველი არეს ნებისმიერ წერტილში კონცენტრაცია წარმოადგენს კოორდინატების და დროის ფუნქციას

$$C = f(x, y, z, \tau)$$

ა. ფიკის მეორე კანონის მიხედვით მოლეკულური დიფუზიის დიფერენციალურ განტოლებას აქვს შემდეგი სახე

$$\frac{\partial C}{\partial \tau} = D \left(\frac{\partial^2 C}{\partial x^2} + \frac{\partial^2 C}{\partial y^2} + \frac{\partial^2 C}{\partial z^2} \right) \quad (2)$$

იგი ახასიათებს დიფუნდირებული ნივთიერების კონცენტრაციის ცვლილებას სისტემის მოცემულ წერტილში, როგორც დროის ფუნქციას.

ნივთიერების კონცენტრაციის ცვლილება ელემენტარულ მოცულობაში, τ დროის განმავლობაში აღიწერება განტოლებით

$$\frac{dc}{d\tau} = \frac{\partial c}{\partial \tau} + \omega_x \frac{\partial c}{\partial x} + \omega_y \frac{\partial c}{\partial y} + \omega_z \frac{\partial c}{\partial z}, \quad (3)$$

სადაც ω_x , ω_y , ω_z - ნაკადის სიჩქარეებია კოორდინატთა შეესაბამისი დერძების მიმართულებით.

(2) და (3)-ის გათვალისწინებით დიფუზიის დიფერენციალური განტოლება იღებს შემდეგ სახეს

$$\frac{\partial c}{\partial \tau} + \omega_x \frac{\partial c}{\partial x} + \omega_y \frac{\partial c}{\partial y} + \omega_z \frac{\partial c}{\partial z} = D \left(\frac{\partial^2 c}{\partial x^2} + \frac{\partial^2 c}{\partial y^2} + \frac{\partial^2 c}{\partial z^2} \right) \quad (4)$$

სტაციონარული პროცესებისათვის, სადაც $\partial c / \partial \tau = 0$, განტოლება (4) გარდაიქმნება კონვექციური დიფუზიის დიფერენციალურ განტოლებად

$$\omega_x \frac{\partial c}{\partial x} + \omega_y \frac{\partial c}{\partial y} + \omega_z \frac{\partial c}{\partial z} = D \left(\frac{\partial^2 c}{\partial x^2} + \frac{\partial^2 c}{\partial y^2} + \frac{\partial^2 c}{\partial z^2} \right)$$

კონვექციური დიფუზიისათვის დამახასიათებელია ნივთიერების გადატანა მოძრავ გარემოში, სადაც ადგილი აქვს მოლეკულური და კონვექციური დიფუზიების კომბინირებულ მოქმედებას. კონვექციური დიფუზია ძირითად დამოკიდებულია ფაზათა კონტაქტის ფარდობით სიჩქარეზე, ანუ რაც უფრო ინტენსიურია ფაზათა ურთიერთმოძრაობა, მით უფრო მეტია დიფუნდირებული ნივთიერების რაოდენობა.

მაღალი ინტენსივობის საექსტრაქციო აპარატებში მოლეკულური და კონვექციური დიფუზიები მიმდინარეობს ერთდროულად. ასეთ შემთხვევაში მასათა გადაცემის პროცესი მათემატიკურ გამოსახულებას აქვს შემდეგი სახე

$$M = K \cdot F \cdot \Delta C \cdot \tau$$

სადაც M - ერთი ფაზიდან მეორეში გადასული ნივთიერების რაოდენობაა;

K - მასათა გადაცემის კოეფიციენტია;

F - ფაზათა გამყოფი ზედაპირის ფართია;

ΔC -ფაზათა კონცენტრაციების სხვაობაა, ანუ პროცესის მამოძრავებელი ძალა;

τ - დროა.

კავშირი მასათა გადაცემის კოეფიციენტსა და ყველა სახის დიფუზიის კოეფიციენტს შორის გამოისახება შემდეგი განტოლებით

$$K = \frac{1}{\frac{2r}{nD_a} + \frac{\delta}{D} + \frac{1}{\beta}},$$

სადაც $2r$ - მცენარეული ნედლეულის ნაწილაკის სისქეა;

n - შემასწორებელი კოეფიციენტია, რომელიც დამოკიდებულია მცენარის მორფოლოგიურ აგებულებაზე;

D_₃-შიგა დიფუზიის კოეფიციენტია;

δ - დიფუზიური სასაზღვრო ფენის სისქეა;

D - მოლეკულური დიფუზიის კოეფიციენტია;

β - კონვექციური დიფუზიის კოეფიციენტია.

იმ ფაქტორებიდან, რომლებიც გავლენას ახდენენ მიზნობრივი პროდუქტის გამოყოფის სისრულესა და სიჩქარეზე და მათი რეგულირებით შესაძლებელია პროცესის სასურველი მიმართულებით შეცვლა, ძირითადია: ექსტრაგენტის შერჩევა, ნედლეულის დაჭუცმაცების ხარისხი, კონცენტრაციათა სხვაობა, ტემპერატურა, ექსტრაგენტის სიბლანტი; გამოყოფის ხანგრძლივობა და პიდროდინამიკური პირობები.

როგორც აღვნიშნეთ, ფაზის შიგნით ნივთიერების გადატანა შესაძლებელია განხორციელდეს ან მხოლოდ მოლეკულური დიფუზიით ან კონვექციური და მოლეკულური დიფუზიებით ერთდროულად. ტურბულენტურ ნაკადში მოლეკულური დიფუზიის ფაქტორი მაღალია ფაზების საზღვრის სიახლოვეს. ასეთი რეჟიმის დროს წარმოიქმნება ნაკადის სიჩქარის არარეგულარული პულსაციები, რომელთა მოქმედებით, ნაკადის საერთო მოქმედებასთან ერთად, ხდება ნაწილაკების გადაადგილება ყველა მიმართულებით. ნივთიერების კონვექციურ გადატანას, რომელიც ხორციელდება ტურბულენტური პულსაციით, ხშირად უწოდებენ ტურბულენტურ დიფუზიას. ამ შემთხვევაში მოლეკულური დიფუზიის როლი უმნიშვნელოა.

ნივთიერების გადატანა ფაზების გაყოფის ზღვარზე ხასიათდება მასაგაცემით. ა. შჩუპარევის მიერ შემოთავაზებული მიზნობრივი პროდუქტის ხსნადობის ხარისხის კანონზომიერების საფუძველზე მასაგაცემის განტოლებას აქვს შემდეგი სახე

$$M = \beta(C_{\delta} - C_{\tau})F,$$

სადაც *M* - დროის ერთეულში გახსნილი ნივთიერების რაოდენობაა,
კგ/წ³;

β - მასაგაცემის კოეფიციენტია, მ/წ³.

C_₃ - ფაზების გაყოფის ზღვარზე გაჯერებული ხსნარის

კონცენტრაციაა, კგ/მ³;

C_τ - ნაკადში ნივთიერების ფაქტიური კონცენტრაციაა დროის

მოცემულ მომენტში, $\text{გგ}/\text{მ}^3$;

F - ფაზათა გაყოფის ზედაპირის ფართია, მ^2 ;

მასაგაცემის კოეფიციენტი β ახასიათებს ნივთიერების გადატანას ერთდროულად როგორც კონგექციით, ასევე დიფუზიით, ამიტომ აღნიშნული კოეფიციენტი დამოკიდებულია დინების პიდროდინამიკურ პირობებზე.

ს. ბერტენევის მიერ შემოთავაზებულია დიფუზიის დიფერენციალური განტოლების ამოხსნა არასტაციონარული რეჟიმისათვის

$$\frac{\partial c}{\partial \tau} = D \frac{\partial^2 c}{\partial x^2}.$$

ავტორი თვლის, რომ ექსტრაქციის მრუდი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ექსპონენტის სახით. მის მიერ წარმოდგენილ განტოლებას აქვს შემდეგი სახე

$$C_{\text{სა.}} = \frac{C_{\text{აქტ.}}}{1-N} e^{-k\tau} + (C_\tau - \frac{C_{\text{აქტ.}}}{1-N}) e^{-\frac{k\tau}{N}},$$

სადაც $C_{\text{სა.}}$ -საწყისი მასალის ფენაში საშუალო კონცენტრაციაა;

$$N = kR\delta / D;$$

R - მასალის ფენის სისქეა;

δ - ფაზათა შორის სასაზღვრო დიფუზიური ფენის სისქეა;

D - დიფუზიის კოეფიციენტია;

$C_{\text{აქტ.}}$ - ექსტრაქტის კონცენტრაციაა;

k - პროცესის კონსტანტაა;

τ - მიმდინარე დროა.

როგორც განხილული თეორიული მოდელებიდან ჩანს ექსტრაპირების პროცესის ძირითად განმსაზღვრელ პარამეტრებს წარმოადგენენ დიფუზიის და მასათა გადაცემის კოეფიციენტები. პირველი ახასიათებს ნივთიერების გადატანის სიჩქარეს მყარი სხეულის შიგნით, ხოლო მეორე – მყარი სხეულის ზედაპირიდან საექსტრაქციო სითხეში.

საექსტრაქციო ნივთიერების დიფუზიის კოეფიციენტი მყარ სხეულში დამოკიდებულია ამ სხეულის აგებულებასა და ფიზიკურ თვისებებზე, საექსტრაქციო ნივთიერების ფიზიკურ თვისებებზე, ტემპერატურასა და კონცენტრაციაზე და არ არის დამოკიდებული ფაზების გამყოფი ზედაპირის პირობებზე.

იმის გამო, რომ აღნიშნული კოეფიციენტები შედიან პროცესის საანგარიშო განტოლებებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ სწორად, მაღალი სიზუსტით განსაზღვრას, რომელიც მიიღწევა ექსპერიმენტული გზით.

ფართოდ არის გავრცელებული ფოროვან სტრუქტურებში ნივთიერების დიფუზიის კოეფიციენტის გაზომვის რამოდენიმე მეთოდი: საექსტრაქციო მასალის ფენებად დაყოფის, მემბრანული და ექსტრაქციული.

ფენებად დაყოფის მეთოდს ახასიათებს ის თავისებურება, რომ ექსპერიმენტში არ მონაწილეობს საექსტრაქციო სითხე, ამიტომ გაზომვის სიზუსტეზე არ მოქმედებს გარე დიფუზიური წინააღმდეგობა. ექსპერიმენტი ითვალისწინებს შესასწავლი ნივთიერების სხვადასხვა კონცენტრაციის მქონე ორი ბრტყელი ნიმუშის მჯიდრო კონტაქტს გარკვეული დროისა და ტემპერატურის პირობებში, რის შემდეგაც ხდება მათ ფენებში კონცენტრაციათა განსაზღვრა.

მემბრანული მეთოდით საზღვრავენ დიფუზიის ეფექტურ კოეფიციენტს (ანუ დიფუზიის კოეფიციენტს კაპილარულ-ფოროვან სხეულებში). ამისათვის იყენებენ მცენარეული ქსოვილის მემბრანით გაყოფილ ჭურჭელს. ჭურჭელში, მემბრანის ორივე მხარეს ათავსებენ განსხვავებული კონცენტრაციის სითხეებს. თიხრის ორიგე მხარეს C_A და C_B კონცენტრაციათა ცვლილების მიხედვით საზღვრავენ τ დროში მემბრანაში გასული ნივთიერების Δm რაოდენობას და ა. ფიკის კანონის განტოლებებით ანგარიშობენ დიფუზიის ეფექტურ კოეფიციენტს

$$D = \frac{\Delta m h}{\tau F(C_A - C_B)},$$

სადაც h - მემბრანის სისქეა, ხოლო F - მისი ფართი.

აღსანიშნავია, რომ დიფუზიის და მასათა გადაცემის კოეფიციენტების ექსპერიმენტული გაზომვა ხდება ფიქსირებული პარამეტრების პირობებში და ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება ექსტრაქციის პროცესის კინეტიკის განმსაზღვრელი ყველა ძირითადი რეჟიმული პარამეტრის გათვალისწინება.

გარდა ამისა, ექსტრაქციის კინეტიკის განტოლებების განმსაზღვრელ ერთერთ ძირითად პარამეტრს წარმოადგენს ფაზათა გაყოფის ფართი, რომლის განსაზღვრა ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია, განსაკუთრებით წვრილდისპერსიული სტრუქტურის საექსტრაქციო მასალებისათვის, რაც ზოგჯერ ართულებს თეორიული მოდელების გამოყენებას პრაქტიკული გაანგარიშებების დროს.

მცენარეული მასალების ექსტრაქციის პროცესების პვლევისათვის არ არსებობს უნივერსალური თეორიული მოდელი. კვლევები დამყარებულია მასათა ცვლის და მასათა გადაცემის კლასიკურ თეორიულ პრინციპებზე, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვენ სპეციალურ თეორიულ ანალიზს.

1.7. I თავის დასკვნები

- ლიტერატურული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია საკითხის დასმის აქტუალობა და გამოფიტული მუხის კასრების ალტერნატიული საშუალებების მოხმარების შედეგად მიღებული დადებითი ტექნოლოგიური და ეკონომიკური ეფექტი;

- ჩატარებული სამეცნიერო კვლევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კონიაკის სპირტის დასამველებლად შესაძლებელია მუხის კასრების ალტერნატივად გამოყენებული იყოს დიდი ტევადობის მომინანქრებული რეზერვუარები, მათში ჩაწყობილი კასრის ანალოგიური მუხის მასალით. ასეთ პირობებში საჭირო ხდება რეზერვუარებში ჟანგბადის ხელოვნური მიწოდება ჟანგვითი პროცესების წარმართვისათვის, რისთვისაც რეზერვუარები აღჭურვილი უნდა იყოს სათანადო არმატურით და ავტომატური რეგულირების ელემენტებით, რაც ართულებს რეზერვუარების მომსახურებას. გარდა ამისა, საწარმოში გამოფიტული კასრების დიდი პარკის არსებობის პირობებში საჭირო ხდება დამატებითი რეზერვუარების შეძენა, რაც აისახება პროდუქციის თვითდირებულებაზე.

- გამოფიტულ კასრებში მუხის მერქნის ზოგიერთი კომპონენტის შეტანა, მიუხედავად მათი მაღალი ექსტრაქციული თვისებებისა არ იძლევა დადებით შედეგს, მაგალითად, ნახერხის სახით მუხის ფხვნილის გამოყენება შემდგომში საჭიროებს მაღალი სისუფთავის როლ ფილტრაციის პროცესს.

- მცირე ზომების, სწორი გეომეტრიული ფორმის, მერქნის კომპონენტების გამოყენება, რომლებიც კასრებში შეაქვთ ნაყარი მასალის სახით, ართულებს კასრების მომსახურებას, მათი გამოტვირთვის პროცესში.

- მუხის ხის ექსტრაქტების მომზადების პროცესში, განსაკუთრებით მშრალ ექსტრაქტებში დიდია არომატული ნივთიერებების დანაკარგი. ამიტომ, ასეთი ექსტრაქტების შეტანა გამოფიტულ კასრებში ვერ უზრუნველყოფს პროდუქტის მაღალ ხარისხს.

- გამოფიტული კასრების დაშლა და მათი შიგა ზედაპირიდან ნამუშევარი ფენის მოხსნა და მათი კვლავ აწყობა იძლევა მხოლოდ

ლოგილურ ეფექტს და ამ მეთოდის მასიურად გამოყენება დიდი სიმძლავრის საწარმოებში პრაქტიკულად შეუძლებელია.

- მცხნარეული წარმოშობის მასალების ექსტრაქციის პროცესების თეორიული კვლევისათვის არ არსებობს უნივერსალური მოდელი. კვლევები დამყარებულია მასათა ცვლის და მასათა გადაცემის კლასიკურ თეორიულ პრინციპებზე, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვენ სპეციფიკურ მიღებას. ასეთი კვლევები შედეგიანია მხოლოდ ექსპერიმენტული მონაცემების ბაზის არსებობის შემთხვევაში.

ამრიგად, ლიტერატული მიმოხილვის და ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მუხის მერქნის საქსტრაქციო კომპონენტების ალტერნატიული ნიმუშების ოპტიმალური გეომეტრიული პარამეტრების დასაბუთება და მათი გამოყენება მუხის კასრების ტექნოლოგიური რესურსის გაზრდის მიზნით აქტუალური საკითხია.

2. შედეგები და მათი განსჯა

2.1. მუხის კასრში სპირტის დაძველების ექსტრაქციული პროცესის კინეტიკა

მუხის კასრში სპირტის დაძველება წარმოადგენს ექსტრაქციულ პროცესს. ამ დროს სპირტი აღწევს მუხის შრეში და გამოაქვს სპირტში ხსნადი მიზნობრივი ნივთიერებები, რომლებიც პროდუქტს ანიჭებენ მისთვის დამახასიათებელ გემოს, არომატს, ფერს და სხვა.

ორფაზიანი (მყარი სხეული-სითხე) ექსტრაქციების პროცესში მონაწილეობს სამი ნივთიერება: მიზნობრივი პროდუქტის მატარებელი მყარი ფაზა; მიზნობრივი პროდუქტის გამხსნელი თხევადი ფაზა და თვით მიზნობრივი ნივთიერება, რომელიც გადადის ერთი ფაზიდან მეორეში. ნივთიერების მოძრაობა ფაზებს შორის დამოკიდებულია მის შემცველობაზე ორივე ფაზაში, კონცენტრაციული წონასწორობის პირობის დაცვით.

მასაცვლის პროცესის თეორიის საფუძველზე ნივთიერების გადატანა შესაძლებელია ორი გზით – მოლეკულური და კონვექციური დიფუზიით. ორივე შემთხვევაში პროცესის მამოძრავებელი ძალა არის ფაზებს შორის კონცენტრაციათა სხვაობა.

არსებული თეორიული მოდელებიდან ცნობილია, რომ ექსტრაჰიტის პროცესის ძირითად განმსაზღვრელ პარამეტრებს წარმოადგენენ დიფუზიის და მასათა გადაცემის კოეფიციენტები. პირველი ახასიათებს ნივთიერების გადატანის სიჩქარეს მყარი სხეულის შიგნით, ხოლო მეორე – მყარი სხეულის ზედაპირიდან საექსტრაჰიტიო სითხეში [9].

მყარი ფაზის ზონაში (შეღწევადობის შრე) დიფუზიური ნაწილაკები გამყოფი ზედაპირისაკენ მოძრაობენ სტოქასტიკურად. მათი გადასვლა ექსტრაგენტში მოხდება გარანტირებულად, როდესაც ისინი აღმოჩნდებიან გამყოფ ზედაპირზე.

გამომშრალი ნედლეულის (მოცემულ შემთხვევაში მუხის კასრში) ექსტრაჰიტის პროცესში აღინიშნება შემდეგი სტადიები: ექსტრაგენტის შეღწევა კასრის კედელში (შეღწევადობის შრე), რომელიც

მიმდინარეობს კაპილარული ძალების მოქმედებით; უჯრედებში არსებული მიზნობრივი ნივთიერებების დასველება და გახსნა; ნივთიერებათა გამორეცხვა გახსნილი ფორებიდან; ნივთიერებათა მასაგადატანა მოლეკულური დიფუზიით სასაზღვრო ზედაპირიდან ხსნარში.

ექსტრაქციული პროცესები ხასიათდებიან ექსპონენციალური კანონზომიერებებით, რაც გულისხმობს მყარ და თხევად ფაზებს შორის კონცენტრაციული წონასწორობის დამყარებას დროში, რომლის შემდეგ მიზნობრივი ნივთიერებების გადასვლა მყარი ფაზიდან თხევადში წყდება და პროცესი პრაქტიკულად მთავრდება [7, 9].

ნახ. 9-ზე წარმოდგენილია მუხის კასრში მიმდინარე ექსტრაქციული პროცესის ფიზიკური მოდელი.

მუხის კასრში მიმდინარე ექსტრაქციული პროცესის კინეტიკა შესაძლებელია წარმოვადგინოთ ექსპონენციალური განტოლებით

$$C = \frac{C_{\text{ა.ფ.}}^0 V_{\text{ა.მ.}} - C_{\text{ო.ფ.}}^0 V_{\text{ო.მ.}}}{V_{\text{ა.მ.}} + V_{\text{ო.მ.}}} (1 - e^{-k\tau}) \quad \partial/\partial^3, \quad (5)$$

სადაც C - თხევად ფაზაში (სპირტში) მიზნობრივი ნივთიერების მიმდინარე კონცენტრაციაა, $\text{გგ}/\text{მ}^3$;

$C_{\text{ა.ფ.}}^0$ - მყარ ფაზაში მიზნობრივი ნივთიერების საწყისი კონცენტრაციაა, $\text{გგ}/\text{მ}^3$;

$V_{\text{ა.მ.}}$ - შეღწევადობის შრის მოცულობაა, მ^3 ;


$C_{\text{ო.ფ.}}^0$ - თხევად ფაზაში მიზნობრივი ნივთიერების საწყისი კონცენტრაციაა, $\text{გგ}/\text{მ}^3$;

$V_{\text{ო.მ.}}$ - კასრში მოთავსებული თხევადი ფაზის (სპირტის) მოცულობაა, მ^3 ;

k - ექსტრაქციის პროცესის კონსტანტაა;

τ - მიმდინარე დროა.

(5) განტოლებაში ($C_{\text{ა.ფ.}}^0 - C_{\text{ო.ფ.}}^0$) პროცესის მამოძრავებელი ძალაა.



ნახ.9. მუხის კასრში მიმდინარე ექსტრაქციის
პროცესის ფიზიკური მოდელი

რამდენადაც საწყის მომენტში თხევად ფაზაში მიზნობრივი ნივთიერებების კონცენტრაცია ნულის ტოლია, ე.ო. $C_{m,g}^0 = 0$, ამიტომ (5) განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს

$$C = \frac{C_{a,g}^0 V_{a,g}}{V_{a,g} + V_{m,g}} (1 - e^{-kt}) \quad \partial/\partial^3. \quad (6)$$

კასრში მიმდინარე პროცესის ადგვატური აღწერისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება k კონსტანტას სწორად შეფასებას, რომელიც რამოდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზეა დამოკიდებული. ჩვენი შეფასებით და ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე, k -ს მნიშვნელობა შესაძლებელია განისაზღვროს შემდეგი ემპირიული ფორმულით:

$$k = \frac{C_{a,g} \cdot \exp[-(C_{a,g} - C_{a,b})/C_{a,g}^{1,1}] \cdot p \cdot k_V \cdot k_v \cdot k_\ell \cdot \psi}{\mu_{a,b}} \quad 1/\text{წ}, \quad (7)$$

სადაც $C_{a,g}$ - მყარ ფაზაში მიზნობრივი ნივთიერებების საწყისი მასური

კონცენტრაციაა, კგ/კგ;

$C_{a,b}$ - მყარ ფაზაში მიზნობრივი ნივთიერებების საწყისი,


მინიმალური, მასური კონცენტრაციაა, კგ/კგ;

p - კასრში მიმდინარე ჟანგვითი პროცესის შედეგად გამოწვეული

სპირტისა და წყლის აირების წნევაა, კპა;

$k_V = V_{\text{ა.მ.}} / V_{\text{თ.ფ.}}$ - შეღწევადობის შრის მოცულობის ფარდობაა
 თხევადი ფაზის მოცულობასთან, $\text{მ}^3/\text{მ}^3$;
 $k_v = v_{\text{გან.}} / v_{\text{გრ.}}$ - მყარ ფაზაში ხსნადი ნივთიერებების მოძრაობის
 სიჩქარეთა ფარდობაა ბოჭკოების განივად და გრძივად;
 k_ℓ - მუხის მასალაში ნივთიერების გამტარი კაპილარების
 განივი და გრძივი ზომების შეფარდებაა, $\text{მ}/\text{მ}$;
 ψ - მუხის მასალის ფორიანობის კოეფიციენტია;
 $\mu_{\text{ა.მ.}}$ - კაპილარებში გახსნილი მიზნობრივი ნივთიერების
 დინამიკური სიბლანტეა, კპა.წმ.

(7) განტოლებიდან მიღებულ k -ს მნიშვნელობისათვის (6)
 ფორმულიდან ვსაზღვრავთ მყარიდან თხევად ფაზაში მიზნობრივი
 ნივთიერების, მაგალითად ტანიდების გადასვლის კინეტიკას, რომელიც
 გამოისახება ექსპონენციალური გრაფიკის სახით (ნახ.10).



ნახ.10. მუხის კასრში მთრიმლავი ნივთიერებების ექსტრაქციის
 კინეტიკური გრაფიკი

გრაფიკის ასაგებად მიღებული გვაქვს შემდეგი საწყისი
 მონაცემები:

ტანიდების მინიმალური შემცველობა 12-15% ტენიანობის მუხის
 მასალაში, ლიტერატურული მონაცემებით [29] - $C_{\text{ა.მ.}} \approx 2\ldots 10\%$ მთლიან

მასასთან მიმართებაში; $C_{\text{ა.ვ.}}=C_{\text{ა.ხ.}}=0,02$ კგ/კგ; $V_{\text{ო.ფ.}}=0,4 \text{ } \delta^3$; $p \approx 0,15$ კპა; კასრის კედელში ოხევადი ფაზის შეღწევადობის შრის საშუალო სისქე - $\delta=3,0$ მმ, შესაბამისად შეღწევადობის შრის მოცულობა 40 დალ ტევადობის კასრისთვის - $V_{\text{ა.ვ.}}=0.00831 \text{ } \delta^3$; $k_v=0,006$; $k_\ell=0,01$; $\psi=0,5$; $\mu_{\text{ა.ხ.}}=0,05$ კპა.წმ; საკასრე მუხის მასალის მოცულობითი მასა - $\gamma \approx 700$ კგ/ δ^3 .

ამ მონაცემებისათვის, მიზნობრივი ნივთიერების წონასწორული კონცენტრაცია (6) განტოლების მიხედვით შეადგენს $0,28 \text{ } \delta^3$. ამავე განტოლებით გამოითვლება მიმდინარე კონცენტრაცია. (7) განტოლებიდან კონსტანტას მნიშვნელობა შეადგენს - $k = 36 \cdot 10^{-9}$.


22. საკონიაკე სპირტის დასაძველებელი მუხის კასრების ტექნოლოგიური რესურსის გაზრდა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების ინდუსტრიის დეპარტამენტში ჩვენს მიერ დამუშავდა საკონიაკე სპირტის დასაძველებელი მუხის კასრების ტექნოლოგიური რესურსის გაზრდის პრობლემის რამდენიმე ტექნიკური გადაწყვეტა, რომლებიც წარმოდგენილია ნახ. 11, 12, 13-ზე. ეს ტექნიკური გადაწყვეტა ითვალისწინებს კასრის სამომსახურებლო ნახვრეტიდან სათანადო თვისებების მქონე მუხის მასალისაგან დამზადებული დეტალების შეტანას

დეტალების გეომეტრიის შერჩევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი ზედაპირების ფართობების თანაფარდობის სწორად შერჩევას. კერძოდ საჭიროა, რომ ტორსული და გვერდული ზედაპირების ფარდობა იყოს მაქსიმალურად დიდი. ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ ექსტრაქტის გამოყოფა ტორსული ზედაპირიდან 7-8 – ჯერ უფრო ინტენსიურია ვიდრე გვერდითიდან.

კასრის ზომებიდან და მყარი და ოხევადი ფაზების საჭირო თანაფარდობიდან გამომდინარე დეტალები კასრში შესაძლებელია შეუვანილი იყოს მთლანი ნამზადების სახით, როგორც ეს ნაჩვენებია

ნახ.11-ზე, ან მოქნილ ბაგირზე ანაკრების სახით, რომელიც იძლევა მათი რაოდენობის სასურველ სიდიდემდე გაზრდის შესაძლებლობას (ნახ.13).



ნახ.11. მუხის ხის ნამზადების გეომეტრიული კონფიგურაციის ვარიანტები:


- ა- ხრახნული; ბ- წრიული რგოლებით; გ- გრძივი დარებით;
 - დ- ჭადრაკულად განლაგებული ღრმულებით და შვერილებით.
- 1- კასრი; 2-საცობი; 3- ნამზადი

ნახ.12-ზე მოცემულ სქემაზე კასრის 1 ტორსულ კედლებში ნახვრეტისადმი სიმეტრიულად, პერმეტულად ჩამაგრებულია მცირე დიამეტრის (5...7 მმ) ხისტი დერო 2, რომელზედაც სამომსახურეო ნახვრეტიდან დაეკიდება U-სებრი ფორმის მუხის დეტალები საჭირო რაოდენობით. დეტალების ჩაკიდება, მათი განაწილება დეროს სიგრძეზე და ამოღება შესაძლებელია მარტივი სამარჯვის გამოყენებით.


ნახ. 13-ზე ნაჩვენებ სქემაზე კასრის 1 ტორსულ კედლებში ხისტი დეროს ნაცვლად ჩამაგრებულია მოქნილი ბაგირი 2. მორიგი დეტალის 3 კასრიდან ამოღების დროს მოქნილი ბაგირის დახრილობა უზრუნველყოფს მომდევნო დეტალების თვითნებურ გადაადგილებას ნახვრეტის ცენტრისაკენ სპეციალური სამარჯვის გამოყენების გარეშე და ამარტივებს მათ ამოღებას.

ნახ. 11-ზე წარმოდგენილი ვარიანტებიდან ტექნოლოგიური და ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე ყურადღებას იმსახურებს "ა" და "დ" სქემები. ამ უკანასკნელის პარამეტრების საანგარიშო სქემა მოცემულია ნახ. 15-ზე. წარმოდგენილი სქემის მიხედვით ნამზადზე თანმიმდევრულად, ჭადრაკისებურად განლაგებულია ღრმულების


(ჭრილების) და შეერილების ერთობლიობა. შესაძლებელია განვსაზღვროთ ამ ნამზადის გეომეტრიული ზომების გავლენა მისი მოცულობის (შესაბამისად მასის) გამოყენების კოეფიციენტზე და აგრეთვე ტორსული და გვერდითი ზედაპირების თანაფარდობაზე.



ნახ. 12. კასრში ხისტ დეროზე ჩაკიდებული მუხის დეტალები



ნახ. 13. კასრში მოქნილ ბაგირზე ჩაკიდებული მუხის დეტალები



ნახ. 14. კასრში საექსტრაქციო ნამზადების შესაძლო განლაგების სქემა

კგადრატული კვეთის ნამზადის საწყისი მოცულობა $V_0 = a^2 h$, ხოლო დრმულებით (ჭრილებით) წარმოქმნილი სიცარიელეთა ჯამური მოცულობა ტოლი იქნება

$$V_1 = \frac{h}{l} a^2 h_1 \text{ ან } V_1 = \frac{h}{l_1 + h_1} a^2 h_1,$$

სადაც a - კგადრატული კვეთის ნამზადის გვერდის სიგრძეა;

h - ნამზადის სიგრძეა;

h_1 - დრმულის სიგანეა;

l - ჭრილებს შორის ბიჯია;


l_1 -შევრილის სიმაღლეა.

მოცულობის (შესაბამისად მასის) გამოყენების კოეფიციენტი ტოლი იქნება

$$K_V = \frac{V_0 - V_1}{V_0} = 1 - \frac{h_1}{l_1 + h_1} \quad (8)$$

დრმულებით შექმნილი ჯამური გვერდითი ფართობი ტოლი იქნება

$$\sum F_{\text{ტოლ.}} = \frac{2h}{l} a^2 = \frac{2h}{l_1 + h_1} a^2.$$



ნახ. 15. მუხის ხის ნამზადების პარამეტრების საანგარიშო სქემა

ნამზადის გვერდითი ზედაპირების ჯამური ფართობი (დრმულების გამოკლებით)

$$\sum F_{\text{გვ}} = 4ah - \frac{h}{l}3ah_1 = ah(4 - \frac{3h_1}{l}) = ah(4 - \frac{3h_1}{l_1 + h_1})$$

ნამზადის ტორსული და გვერდითი ზედაპირების ფართობების ფარდობა იქნება

$$K_F = \frac{\sum F_{\text{გვ}}}{\sum F_{\text{გვ}}} = \frac{2a}{4l_1 + h_1} \quad (9)$$

(8) და (9) ფორმულებში l_1 სიღიდე (შვერილების სიმაღლე) მუდმივი სიღიდეა და იგი მიიღება თხევადი ფაზის (ექსტრაგენტის) მყარ ფაზაში მაქსიმალური შეღწევადობის ორმაგი სიღიდის ტოლი. ამაგვ ფორმულებიდან ჩანს, რომ დრმულის სიგანე h_1 არის K_V და K_F კოეფიციენტების განმსაზღვრელი. კერძოდ h_1 სიღიდის შემცირებით K_V და K_F კოეფიციენტების მნიშვნელობები იზრდება, რითაც იზრდება ექსტრაქციის პროცესის ინტენსივობა. თავის მხრივ, h_1 სიღიდის მინიმალური მნიშვნელობა შეზღუდულია ნამზადის დრმულების გავლით მოლეკულური დიფუზიური პროცესის მიმდინარეობით.

2.3. საექსტრაციო სპირალური ზედაპირების ოპტიმიზაცია გეომეტრიული მოდელირების გამოყენებით

ზემოთ განხილული მუხის კასრების ტექნოლოგიური რესურსის გაზრდის ალტერნატივების ძირითადი დანიშნულებაა მუხის კასრების შიდა სივრცეში მუხის მერქნის მოცულობის (მასის) და ზედაპირის ფართობის შეფარდების გაზრდა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. წრიული კვეთის ნამზადებისთვის სპირალურ პროფილს აქვს გარკვეული ტექნიკური უპირატესობა, რაც გამოიხატება ლაზერული ტექნოლოგიით დამზადების სიმარტივეში და მასალის მცირე დანაკარგებაში. თუმცა ტექნოლოგიური თვალსაზრისით იგი დიდად არ განხილულია მაგალითად, ნახ. 11,ბ და ნახ. 11,დ ნიმუშებისაგან. გარდა ამისა, წრიული კვეთის ნიმუშების დამზადება დაკავშირებულია მასალის ზედმეტ დანახარჯებთან. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნიმუშის პროფილის შერჩევის დროს გარდა

ტექნოლოგიური მოსაზრებებისა უნდა ვიხელმძღვანელოთ მუხის მერქნის რაციონალური გამოყენების თვალსაზრისითაც, რამდენადაც მუხის მერქანი მიეკუთვნება ძვირადღირებულ ნედლეულს.

ინფუზიური სპირალები კარგად არის გამოცდილი უცხოელი მწარმოებლების მიერ. როგორც ისინი ამტკიცებენ საკმარისია სპირალებზე ღვინის ან სპირტის ექვსი კვირის განმავლობაში დაყენება ნეიტრალურ ჭურჭელში, რომ ეს პროცესი ახალ კასრებში სასმელის სამწლიანი დაყოვნების სრულ ანალოგიურ ეფექტს იძლევა (რგაჯერ უფრო სწრაფად ვიდრე ტრადიციული მეთოდები). ექვსი კვირის განმავლობაში მუხის ხის სპირალების ყველა არომატი (flavours) გადადის ღვინოში ან სპირტში და ეს სპირალები შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი ხდება.



ნახ. 16. კომპანია “The Barrel Mill”-ის ინფუზიური სპირალი

სპირალური კონფიგურაცია წარმოადგენს ფუნდამენტურ მორფოლოგიურ მახასიათებელს ბუნების სისტემის ორგანიზაციისა მათ სხვადასხვა სტრუქტურულ დონეზე. სპირალურ ფორმებს შეიძლება დაგაკვირდეთ როგორც ბიომაკრომოლეკულურ ისე კოსმიურ დონეებზე.

ინტუიციური ხედვით შესაძლებლად მიგვაჩნია წარმოვიდგინოთ ინფუზიური სპირალების (Infusion spiral) პრინციპული კონფიგურაციის ოპტიმიზაცია გეომეტრიული მოდელირების გამოყენებით აუცილებელი შეზღუდვების გათვალისწინებით [11, 14, 17].

1. კონცეპტუალურად (სიტყვიერად/ვერბალურად):

საკონტაქტო “ეფექტური” ზედაპირის მაქსიმუმი, ნამზადის ფიქსირებული გეომეტრიული პარამეტრების საზღვრებში, დამუშავების და გამოყენების სფეროში არსებული ტექნოლოგიური შეზღუდვების გათვალისწინებით.

2. პრინციპული (განზოგადებული) მათემატიკური მოდელი მპგიმიზაციის ამოცანის კანონიკური ფორმით:

$$S = CvSv + ChSh \rightarrow \max \quad (10)$$

როცა:

$$\begin{aligned} Sv &\leq Fv(L, D, N); \\ Sh &\leq FH(L, D, N); \\ N &= Fp(L, \varphi). \end{aligned} \quad (11)$$

სადაც: (10) მიზნის ფუნქცია (კრიტერიუმი, ფუნქციონალი);
 (11) - შეზღუდვების სისტემა (უზოლობები, ტოლობა);
 S - ჯამური “ეფექტი”, დაყვანილი ზედაპირი;
 Sv და Sh - შესაბამისად საკონტაქტო ზედაპირები ბოჭკოების
 გასწორივ და მართობულად;
 Cv და Ch - შესაბამისად მიმართულების ზედაპირების
 ფასეულობა;
 Fv და FH - ზედაპირების ფუნქციონალური დამოკიდებულება
 ნამზადის გეომეტრიულ გაბარიტებთან და სპირალური ბრუნვის
 რიცხვთან;
 N - სპირალის ბიჯის შეფარდება ნამზადის საანგარიშო
 სიგრძესთან;

φ - სპირალური ხაზის ასვლის კუთხე;
 L, D - ნამზადის გეომეტრიული პარამეტრები;
 1. კლასიკური მათემატიკური მოდელი დაიყვანება პელიკონის
 ზედაპირის გაანგარიშებაზე.

$$x = r \cos \varphi, \quad y = r \sin \varphi, \quad z = b \varphi, \quad 0 < r \leq a, \quad 0 \leq \varphi < 2\pi.$$

$$\text{რადგან, } x'_r = \cos \varphi, \quad x'_{\varphi} = r \sin \varphi, \quad y'_r = \sin \varphi, \quad y'_{\varphi} = r \cos \varphi, \quad z'_r = 0, \quad z'_{\varphi} = b,$$


ვდებულობთ (11) ფორმულით;

$$E = \cos^2 \varphi + \sin^2 \varphi = 1,$$

$$G = r^2 \sin^2 \varphi + r^2 \cos^2 \varphi + b^2 = r^2 + b^2,$$

$$F = -r \cos \varphi \sin \varphi + r \sin \varphi \cos \varphi + 0.b = 0,$$

ზემოთ მოყვანილი მეტრული კოეფიციენტები E, G, F განსაზღვრავენ არა მარტო მრუდის სიგრძეებს, არამედ საერთოდ ყველა გაზომვის შედეგს ზედაპირის შიგნით (კუთხეები, ფართობები, სიმრუდე და ა.შ.). რაც შეეხება მეტრულს, ის განეკუთვნება მხოლოდ შიდა გეომეტრიას.



ნახ.17. ჰელიკოიდი

r-არის ჰელიკოიდის რადიუსი.


b -არის ხრახნის ბიჯი (ასევე *b* - არის ფუნქცია და არგუმენტი და ისინი შეიძლება ერთმანეთის ტოლად ჩაითვალოს მცირე კუთხეების შემთხვევაში).

F - არის ბადის ელემენტარული ნაწილი. აქედან გვაქვს ჰელიკოიდის ზედაპირის ფართობი

$$\begin{aligned} |\Omega| &= \iint_{\Delta} \sqrt{1.(r^2 + b^2) - 0} dr d\varphi = \int_0^{2\pi} d\varphi \int_0^a \sqrt{r^2 + b^2} dr = \\ &= \pi(a\sqrt{a^2 + b^2} + b^2 \ln \frac{a + \sqrt{a^2 + b^2}}{b}) \end{aligned}$$

1. გეომეტრიული მოდელირება განხორციელდა Autodesk-ის პროგრამული პაკეტის AutoCAD-ის (თანამედროვე ვერსიების) გამოყენებით. (ჭეშმარიტი 3D მოდელის ფორმათ-წარმოქმნის

ინსტრუმენტარიის მეშვეობით: Helix, Sweep, Extrude, გ.წ. ბულის ლოგიკური ოპერაციები და სხვა).



ნახ.18. ინფუზიური სპირალის მოდელი (AutoCAD 2014)

საძიებელი მაჩვენებლები ითვლება ე.წ. ციფრობრივი პროცესის (სპირალური ბრუნვის ზედაპირების - ტურბოსომების) განხილვის შედეგად.

ინფუზიური სპირალების (Infusion spirals) ზომებია: სიგრძე - 9“ (228.6 მმ) და დიამეტრი $1\frac{1}{2}$ “ (38.1 მმ). მასზე მოჭრილია ერთშესვლადი ხრახნი (ბიჭი 7,7მ) რომლის გაზომვების შედეგად ირკვევა, რომ სითხეებთან შეხების ზედაპირის ფართობი წარმოადგენს $656,9\text{cm}^2$ -ს ანუ 0.065m^2 -ს.

ხრახნული ზედაპირი – წინსვლითი მოძრაობის ხაზის პვალი, რომელიც განლაგებულია ბრუნვის ზედაპირთან კუთხით, იმავდროულად ამ ხაზის ბრუნვით, ბრუნვითი ზედაპირის საკუთარი ღერძის გარშემო.

ხრახნული სხეული – **ხრახნი** – ბრტყელი ფიგურისა (კვადრატი, მართკუთხედი, ტრაპეცია) წინსვლითი მოძრაობის კვალი ბრუნვის ზედაპირის გასწვრივ, იმავდროულად ამ ბრტყელი ფიგურის მოძრაობით, ზედაპირის მოძრაობის მოძრაობით, ზედაპირის მოძრაობის ღერძის გარშემო. საექსტრაციო სპირალების ექსპრიმენტულ ნიმუშად აღებული იქნა მუხის მერქნის ძელაკი იმავე ზომებით, რა ზომებიც აქვს ამერიკულ ინფუზიურ სპირალებს ($\Phi=38,1\text{mm}$ $L=228.6\text{mm}$). უნდა აღინიშნოს, რომ ინფუზიური და საექსტრაციო სპირალების დიამეტრი გამომდინარეობს 225-228 ლიტრიანი, ყველაზე ფართოდ გავრცელებული მუხის კასრების სითხის ჩასასხმელი ნახვრეტების (Bunghole) ზომებიდან.

მერქანი შეიძლება განვიხილოთ როგორც მიკროსკოპიული ფენოვანი არმირებული მილების კონსტრუქცია, რომლებიც ორიენტირებულია ხის ტანის მიმართულებით. მერქნის ნივთიერებას

წარმოაჩენენ როგორც ცელულოზის არმატურას, ჩანერგილს ამორფულ მატრიცაში, რომელიც ლიგნინის და პემიცელულოზისაგან შედგება. მერქანში ბუნებრივ ლიგნინს აქვს სამგანზომილებიანი ბადის სტრუქტურა.



ნახ.19. 75 ვატის სიმძლავრის ლაზერით დამუშავებული
ექსპერიმენტული საექსტრაქციო სპირალი

კომპანია “დაზგა” არის პირველი კომპანია სამხრეთ კავკასიაში, რომელმაც 2005 წლის 19 სექტემბრიდან პირველმა შემოიტანა საქართველოს ბაზარზე კომპიუტერული მართვის ([Epilog](#), [AXYZ](#), [InfoTEC](#), [GRAPHTEC](#)) და სხვა ცნობილი ამერიკული, კანადური და ევროპული კომპანიების მაღალი ხარისხის დაზგადანადგარები ლაზერული ჭრისათვის, გრავირებისა და 3D ფრეზირებისათვის.

სწორედ ამ სისტემის 75 ვატიანი დანადგარის (ნახ. 20) და სპეციალური მოწყობილობის საშუალებით (ნახ. 21) ცილინდრული მუხის დეტალზე მიღებული იქნა ჭრილი ლაზერის დახმარებით სპირალური ხრახნული ჭრილი (ბიჯი 3 მმ). ლაზერის სხივის დიამეტრი 0,25 მმ-ია, ჭრილის სავარაუდო სისქე 0,3-0,6 მმ-ია (300-500 μm), ხოლო სიღრმე 15-18 მმ.


რეალურად ხის ჭრილში იქმნება მაღალი ტემპერატურა, რომელიც უფრო მაღალია ვიდრე ხის სუბლიმაციის ტემპერატურა. შეიძლება ითქვას მერქანი „მომენტალურად ორთქლდება“, სხვა

სიტყვებით რომ გთქვათ სუბლიმირებულ მერქანს გხედავთ ბოლის სახით. შესაბამისად ჭრის ღრებოს სიახლოვეს არსებობს ხის მერქნის თერმული სტრესის მხოლოდ შედარებით დაბალი ფარდობითი კოეფიციენტი [1, 35].



ნახ.20. ლაზერული ჭრის სისტემა **Helix-24 (Epilog laser)**

გეომეტრიული მოდელირების საშუალებით მიღებული იქნა ჩვენს მიერ შერჩეულ ცილინდრულ ზედაპირზე საგარაუდო სპირალური ხრახნის პარამეტრები. ეს პარამეტრები შეუვანილი იქნა ლაზერული დანადგარის მართვის ოპერატიულ სისტემაში და მივიღეთ სასურველი შედეგი. მიღებული სპირალის ზედაპირის სითხეებთან შეხების ეფექტური ფართობი აღმოჩნდა $1616,97 \text{ სმ}^2$ ანუ $0,16 \text{ მ}^2$ -ს.



ნახ. 21. ლაზერული დანადგარის სპეციალური მოწყობილობა ცილინდრული დეტალებისათვის

ერთ-ერთი თანმდევი პროცესი რომელიც ახლავს მერქნის ლაზერით დამუშავებას, ის არის რომ ლაზერის ზემოქმედების ადგილას

წარმოიშობა ნამწვი, რომლის სისქე შეადგენს სულ რამოდენიმე მიკრომეტრს. ნამწვის შესამცირებლად შესაძლებელია ჭრის ზონაში შექვანილ იქნას ნახშირორჟანგი (ნახშირორჟანგის გაზი CO₂). ამ შემთხვევაში ნამწვი იქნება გაცილებით ნაკლები და წვის სიმძლავრე არ შემცირდება. თუმცა ალბათ მეღვინე ტექნოლოგების პრეროგატივაა შეაფასონ მუხის მერქნის ზედაპირის შემოწვა, რადგან ცეცხლის ზემოქმედების შედეგად მერქანი იცვლის სტრუქტურას, მასში შემავალი შაქარი კარამელიზდება, ხდება ზოგიერთი არომატული კომპონენტების გამოთავისუფლება, რომლებიც შემდგომ ალკოჰოლურ სასმელებში გამომჟღვნდება ვანილის, ყავის, სხვადასხვა სპეციების გემოებით.

მიღებული შედეგის შეფარდება ამერიკული ინფუზიური სპირალის ზედაპირის სითხეებთან შეხების ფართთან გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული საექსტრაციო სპირალის ეფექტური ზედაპირის ფართობი აღმოჩნდა 146%-ით მეტი ამერიკულ ნიმუშთან შედარებით. თანამედროვე მეცნიერულ კვლევებში გამოყენებული მეთოდები და მოდელები, როგორიცაა: კანტიფიკაცია (რაოდენობრივი აღწერა), პარამეტრიზაცია, მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება, ოპტიმიზაციის ამოცანის მათემატიკური მოდელირება წარმოდგენილ ნაშრომში რამდენადმე მონიშნულია. ეს ეტაპები (დონეები) და „ეფექტური ზედაპირის“ დადგენის მეთოდიკაც ექსპერტული მიღვომის გამოყენების მცდელობაა, რაც ჩვენი აზრით, კვლევების თანამედროვე პარადიგმის შესატყვისია. აღსანიშავია, რომ „ეფექტური ზედაპირის“ გამოანგარიშების ალგორითმი ასევე გულისხმობს ქვალიმეტრიული მიღვომის გამოყენებასაც. სადაც ეფექტური ზედაპირის ჯამური მნიშვნელობა ექსპერტულად დადგენილი „წონების“ (ფასეულობის) ცნების გამოყენებით იანგარიშება. სითხეებთან შეხების საექსტრაქციო ზედაპირის გაზრდისაკენ მისწრაფებას ბუნებრივად მივყავართ ე.წ. ფრაქტალური მოდელირების პრინციპებთან. სპირალური ხაზის, ზედაპირის, (რომლებიც რაღაც დაშვებით ბიონიკური ფორმების - ფრაქტალების ტრიგიალურ შემთხვევად შეიძლება განვიხილოთ, რადგან მათი შექმნის ალგორითმი როგორც წესი რეკურენტული და იტერაციულია) შედარება მონაკვეთთან, ბრტყელ ზედაპირთან ამ

პირველის სასარგებლოდ მეტყველებს. ამისკენ მიგვითითებს ასევე ფრაქტალურ ე.წ. ზომასთან (განუზომელობასთან) ასოცირება. ამ გაგებით მოცემული გაბარიტების ნამზადის ზედაპირის ფართი მნიშვნელოვნად ჩამორჩება სპეციალურად დამუშავებული ნაკეთობის ინფუზიური ზედაპირების ზომას. ეს საკითხი (ფრაქტალური მოდელირების პერსპექტიულობა) დასმულია მხოლოდ ნამზადის გეომეტრიული ფორმის - ფიგურის მსახველების (ტრაქტორიების) არაწრფივობის პრინციპზე დაყრდნობით. მსგავსი ალგორითმით შექმნილი „ორნამენტებით“ ზედაპირის ”ტირაჟირება“ (თუნდაც ე.წ. მეანდრას მოტივებით), თანამედროვე, მომავლის (მოწინავე) ლაზერული ტექნოლოგიების გამოყენების წინაპირობით, სრულებითაც არ არის უტოპიური.

კვლევების შემდგომი მიმართულება განსაზღვრულია სამუშაოს შესასრულებლად დასახულ ამოცანებში, რომლებიც მოცემულია ნაშრომის შესავალ ნაწილში.

2.4. საექსტრაქციო მუხის ნამზადებში სპირტის შეღწევის პროცესის თეორიული კვლევა

საექსტრაქციო მუხის ნამზადების გეომეტრიული ოპტიმიზაციის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია სპირტის შეღწევადობის მაქსიმალური ინტენსივობის უზრუნველყოფა.

ზოგადად, მერქანში თხევადი ნივთიერებების შეღწევის მექანიზმი, მათი თვისებების და მერქანთან ურთიერთქმედების თვალსაზრისით, ძალიან განსხვავებულია. ნივთიერებამ მერქანში შეიძლება შეაღწიოს წმინდა მექანიკური გზით, ადსორბირებით ან ქიმიური რეაქციის შედეგად. ამ შემთხვევაში ფიზიკურ-ქიმიური მოვლენების ხასიათი ძალზე რთული და მრავალფეროვანია, ამიტომ აღნიშნული პროცესი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. უმრავლეს შემთხვევაში მერქანში სითხის შეღწევა არ ხდება ქიმიური რეაქციის ან ადსორბირების გავლენით, ამიტომ ეს პროცესი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთობლიობა შემდეგი ფიზიკური მოვლენების:

- მერქანში სითხის მოძრაობა კაპილარული წნევის მოქმედებით;


- მერქანში სითხის მოძრაობა ჭარბი წნევის მოქმედებით;
- სითხის მოლეკულების ან იონების დიფუზიური გადაადგილება მერქნის უჯრედების არეში.

მერქნის სითხით გაჯერების პროცესი, როგორც წესი, მიმდინარეობს აღნიშნული ფიზიკური მოვლენების ერთდროული მოქმედების პირობებში, მაგრამ რომელიმე მათგანის შეფარდებითი ეფექტურობა შეიძლება იყოს განსხვავებული გაჯერების მეთოდისაგან დამოკიდებულებით. სითხეების შეღწევადობის მიხედვით მერქნის ჯიშები იყოფა სამ ჯგუფად: ადგილად შეღწევადი, ზომიერად შეღწევადი და ძნელად შეღწევადი. მუხის მერქანი მიეკუთვნება ძნელად შეღწევად ჯგუფს.

2.4.1. მერქანში სითხის მოძრაობა მოლეკულური

ძალების გავლენით

სითხის მყარ სხეულთან შეხების ადგილზე მისი ზედაპირი წარმოქმნის გარავაულ θ კუთხეს (ნახ.22), რომელიც მახვილია ზედაპირის დამასველებელი სითხეებისათვის (ნახ.22,ა,ბ) და ბლაგვი არადამასველებელისათვის (ნახ.22,გ).



ნახ.22. კაპილარებში მენისკის წარმოქმნის სქემები

სითხის, მყარი სხეულის და აირის ზღვარზე სითხის თავისუფალი ზედაპირის ფორმა დამოკიდებულია სითხისა და მყარი სხეულის მოლეკულების ურთიერთქმედების ძალებზე (აირის მოლეკულებთან ურთიერთქმედება შეიძლება უგულვებელვყოთ). თუ ეს ძალები აღემატება თვით სითხის მოლეკულებს შორის

ურთიერთქმედების ძალებს, მაშინ სითხე ასველებს მყარი სხეულის ზედაპირს. ამ შემთხვევაში სითხე მყარი სხეულის ზედაპირთან წარმოქმნის გარკვეულ მახვილ θ კუთხეს (ნახ. 22,ა,გ), რომელიც დამახასიათებელია მოცემული სითხე-მყარი სხეულის სისტემისათვის.

თუ სითხის მოლეკულებს შორის ურთიერთქმედების ძალები აღემატება მყარი სხეულის მოლეკულებთან ურთიერთქმედების ძალებს, მაშინ θ კუთხე იქნება ბლაგი (ნახ. 22,ბ), რაც ნიშნავს იმას, რომ სითხე არ ასველებს მყარი სხეულის ზედაპირს. სრული დასველების შემთხვევაში $\theta=0$, ხოლო სრული არდასველების შემთხვევაში $\theta=180^\circ$.

კაპილარული მოვლენა ეწოდება სითხის აწევას ან დაწევას მცირე დიამეტრის მილაკებში – კაპილარებში. ნახ. 22,გ-ზე გამოსახულია გარკვეული r რადიუსის მქონე კაპილარული მილაკი, რომელიც ქვედა ბოლოთი ჩადგმულია ρ სიმკვრივის დამასველებელ სითხეში, ხოლო ზედა ბოლო – გახსნილია. სითხის ასვლა კაპილარში გრძელდება მანამ, სანამ კაპილარში სითხის სვეტზე მოქმედი სიმძიმის ძალა F_G არ გაუტოლდება სითხისა და კაპილარის ზედაპირის შეხების ზღვრის გასწვრივ მოქმედ ზედაპირული დაჭიმულობის ძალების მარეზულტირებელ F_T ძალას

$$F_G = mg = \rho h \pi r^2 g, \quad F_T = \sigma \cdot 2\pi r \cdot \cos \theta, \quad F_G = F_T \Rightarrow h = \frac{2\sigma \cos \theta}{\rho g r}$$

ცნობილია, რომ სითხის ზედაპირულ ფენაში მოლეკულური ძალების ტოლქმედი მიმართულია ამ სითხის შიგნით და მისი მოქმედება ანალოგიურია სითხისა და აირის გაყოფის ზღვარზე დაჭიმული დრეკადი აპკის წარმოქმნის. ამ აპკის დაჭიმულობის ძალის შეფარდებას სიგრძის ერთეულთან ეწოდება ზედაპირული დაჭიმულობის კოეფიციენტი ($\sigma_{\text{ლ}}$).

სითხის ზედაპირული ფენის მოლეკულებს შიგა მოლეკულებთან შედარებით აქვთ ჭარბი პოტენციური ენერგია. სითხის ზედაპირის პოტენციური ენერგია პროპორციულია მისი ზედაპირის ფართობის

$$E = \sigma_{\text{ლ}} \cdot S$$

დაჭიმულობის კოეფიციენტის განზომილებაა $\frac{\Delta p}{p} \approx \frac{1}{r}$.

კონიაკის სპირტში ვრტიგალურად მოთავსებული მუხის მერქნის საექსტრაქციო ნამზადის კაპილარში (ნახ. 23) სითხის ასვლა განპირობებულია წნევათა სხვაობით (Δp), რომელიც იქმნება კაპილარული წნევით p_{d} , სითხის სიმძიმის ძალის წნევით p_{b} და კაპილარიდან გამოდევნილი ჰაერის წნევით p_{a} .

$$\Delta p = p_{\text{d}} - p_{\text{b}} - p_{\text{a}} \quad (12)$$


კაპილარში სითხის მოძრაობის ინტენსივობა, რომელიც გამოისახება მისი მოცულობითი სიჩქარით $dV/d\tau$, $\frac{\partial^3 V}{\partial t^3}$, განისაზღვრება პუაზელის განტოლებით

$$\frac{dV}{d\tau} = \frac{\pi r^4}{8\mu l} \Delta p, \quad (13)$$

სადაც r - კაპილარის რადიუსია, მ;

l - კაპილარის სიგრძე, მ;

μ - სითხის დინამიკური სიბლანტეა, პ.წ.მ.



ნახ.23. ნამზადის კაპილარებში სპირტის მოძრაობის საანგარიშო სქემა

კაპილარული წნევა ცილინდრულ კაპილარში განისაზღვრება ფორმულით

$$p_{\text{d}} = \frac{2\sigma_{\text{g}} \cos \theta}{r} \quad (14)$$

კაპილარში სითხის ასვლის წყდება როდესაც კაპილარული წნევა აბსოლუტური სიდიდით გაუტოლდება სიმძიმის ძალის წნევას. სითხის ასვლის მაქსიმალური სიმაღლე შეიძლება განისაზღვროს ფორმულით

$$\delta_{\max} = \frac{2\sigma_{\varphi} \cos \theta}{r\rho g}, \quad (15)$$

სადაც ρ - სითხის სიმკვრივეა;

g - თავისუფალი ვარდნის აჩქარება.

მოცემულ შემთხვევაში, როდესაც ნამზადები მთლიანად არის მოთავსებული სპირტში, სიმძიმის ძალის წნევა პრაქტიკულად არ ახდენს გავლენას სითხის მოძრაობის სიჩქარეზე. მაგრამ კაპილარულ წნევას წინააღმდეგობას უწევს კაპილარებში არსებული ჰაერის $p_{\text{ა}}$ წნევა. ამ შემთხვევაში წნევათა სხვაობა, რომელიც იწვევს სითხის მოძრაობას კაპილარებში შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ტოლობით.

$$\Delta p = p_{\text{ა}} + p_0 - p_{\text{ა}}, \quad (16)$$

სადაც p_0 - ნამზადის გარემომცველი არეს წნევაა, პა.

ლიტერატურული მონაცემებით სპირტისათვის ზედაპირული დაჭიმულობის კოეფიციენტი $\sigma_{\varphi} = 0,022$ ნ/მ [34]; კაპილარში მენისკის მახვილი კუთხე $\theta = 30..60^{\circ}$; კაპილარებში არსებული ჰაერის წნევა $p_{\text{ა}} = (1,05..1,1) p_0$; მუხის მერქნის კაპილარის საშუალო რადიუსი $r = 0,0002$ მ [27]. კაპილარული წნევა (14) ფორმულიდან იქნება

$$p_{\text{ა}} = \frac{2\sigma_{\varphi} \cos \theta}{r} = \frac{2 \cdot 0,022 \cdot \cos 30^{\circ}}{0,0002} = 195 \text{ პა};$$

მოცემულ შემთხვევაში ნამზადის გარემომცველი არეს წნევა p_0 განისაზღვრება ნამზადის საფეხურების ზედა და ქვედა ზედაპირებს შორის პიდროსტატიკირი წნევების სხვაობით, ანუ საფეხურის l სიგრძით (ნახ. 23). აღნიშნული სიდიდე შეადგენს 10 მმ-ს, რაც შეესაბამება დაახლოებით 100 პა პიდროსტატიკური წნევების სხვაობას. აქედან გამომდინარე კაპილარებში არსებული ჰაერის წინააღმდეგობის წნევა ტოლი იქნება

$$p_{\text{ა}} = (1,05..1,1) p_0 = 1,1 \cdot 100 = 110 \text{ პა.}$$

(16) ფორმულით განისაზღვრება წნევათა სხვაობა, რომელიც იწვევს სითხის მოძრაობას კაპილარებში

$$\Delta p = p_j + p_0 - p_i = 195 + 100 - 110 = 180 \text{ პა.}$$

კაპილარში სითხის ასვლის მაქსიმალური სიმაღლე

განისაზღვრება (15) ფორმულით

$$\delta_{\max} = \frac{2\sigma_g \cos \theta}{r\rho g} = \frac{2 \cdot 0,022 \cdot \cos 30^0}{0,0002 \cdot 990 \cdot 9,81} = 0,0196 \text{ მ} = 19,6 \text{ მმ.}$$

ამრიგად ჩვენს მიერ შერჩეული ნამზადის საფეხურების სიგრძე (10 მმ) სრულად უზრუნველყოფს სითხის სწრაფად შეღწევას მერქანტი ტორსული ზედაპირების მხრიდან.

მთლიანი ნამზადების შემთხვევაში სითხის ასვლის გაგრძელება შესაძლებელია პაერის სპირტში გახსნით და მისი მოლეკულების დიფუზიით კაპილარულ არხებში და გარემომცველ არეში. ეს ძალიან ნელი პროცესია, რომელიც გრძელდება რამოდენიმე წელი.


2.5. მუხის საექსტრაქციო ნამზადების ექსპერიმენტული კვლევა სპირტის დაბველების პროცესში

2.5.1. ექსპერიმენტული კვლევის პროგრამა და მეთოდიკა

ჩვენს მიერ დამუშავებული იყო რამოდენიმე გეომეტრიული მოდიფიკაციის მუხის საექსტრაქციო ნამზადი. ექსპერიმენტული კვლევები ითვალისწინებდა ნამზადების გეომეტრიული პარამეტრების ოპტიმიზაციას, რაც გულისხმობს ექსტრაქციული პროცესების ინტენსივობის ამაღლებას.

კონიაკის სპირტის დაბველება რთული ბიო-ქიმიური და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც რამოდენიმე წელი გრძელდება. ამდენად ექსპერიმენტული კვლევა დაიგეგმა ისე, რომ საექსტრაქციო ნამზადები შეგვეფასებინა არა საბოლოო შედეგით, არამედ სპირტში ექსტრაქციული ნივთიერებების გადასვლის დინამიკით. ერთ-ერთ ასეთ ნივთიერებას წარმოადგენს მთრიმლავი ნივთიერებები, რომლებიც სხვა ნივთიერებებთან შედარებით უფრო სწრაფად გადადიან სპირტში. კვლევებისადმი ასეთი მიდგომა სრულიად აღექვატურია სხვადასხვა კონფიგურაციის ნამზადების შედარებითი შეფასებისათვის.

საცდელი ნიმუშები დამზადებული იყო ერთიდაიგივე ჯიშის მუხის მერქნისაგან ზომებით 27X27X110 მმ, მათგან ერთი იყო მასიური, ხოლო სამი - სხვადასხვა ზომის განივი ჭრილებით, რომლებიც ერთმანეთს შორის წარმოქმნიან საფეხურებს (ნახ.24).



№1 №2 №3 №4

ნახ.24. ექსპერიმენტული მუხის ხის ნიმუშები

ნამზადები ერთმანეთისაგან განსხვავდება მასით და საკონტაქტო ზედაპირის ფართობებით. ნამზადების მასა შეადგენდა 50...65 გ ხოლო საკონტაქტო ზედაპირის ტორსული ფართობები იცვლებოდა 14,6...540 სმ² ზღვრებში. ნამზადების საწყისი ტენიანობა იყო 10 %, ხოლო მორიმლავი ნივთიერებების მასური წილი – 6,0% ნიმუშის მასის მიმართ.

ნიმუშების ზომები და მასა შეადგენდა:

1. მთლიანი მუხის ხის ძელაკი. ზომები: 27X27X110მმ; მასა – 65,1 გ.
2. მუხის ხის ძელაკი დაჭრილი 1,0 მმ-იანი ხერხით. ზომები: 27X27X110მმ; მასა – 62,4 გ.
3. მუხის ხის ძელაკი დაჭრილი CO_2 ლაზერით. ჭრილების სიგანე 0,3-0,8მმ. ზომები: 27X27X110მმ; მასა – 51,7 გ.
4. მუხის ხის ძელაკი დაჭრილი დისკური ხერხით (ჭრილების სიგანე 3,2 მმ); ზომები: 27X27X110მმ; მასა – 50,3 გ.

რამდენადაც ექსტრაქციის პროცესში გაცილებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნიმუშის ტორსული ზედაპირის ფართობი, ამდენად ნიმუშების დასახასიათებლად შემოვიდეთ ნიმუშის ერთეულ მასაზე

მოსული ტორსული ზედაპირის ფართობი, ანუ $F_{\text{ტორ.}} / G_{\text{ნიშ.}}$, $\text{სმ}^2/\text{გ}$. ეს მაჩვენებელი შერჩეული ნიმუშებისათვის შეადგენს; 1. 0,22 $\text{სმ}^2/\text{გ}$; 2. 4,5 $\text{სმ}^2/\text{გ}$; 3. 10,4 $\text{სმ}^2/\text{გ}$; 4. 3,1 $\text{სმ}^2/\text{გ}$.

ნიმუშებზე ჭრილების სიგანე:

1. ნიმუში დაჭრილი 1,0 მმ-იანი ხერხით. ჭრილების სიგანე 1,0 მმ;
2. ნიმუში დაჭრილი CO_2 ლაზერით. ჭრილების სიგანე 0,6 მმ;
3. ნიმუში დაჭრილი დისკური ხერხით. ჭრილების სიგანე 3,2 მმ.

ჭრილებით წარმოქმნილი საფეხურების სიგანე – 5...10 მმ.


მუხის ხის საექსტრაქციო ნამზადების მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური მაჩვენებელია ტორსული ზედაპირების ფართობის შეფარდება ნიმუშის მასასთან ($F_{\text{ტორ.}} / G_{\text{ნიშ.}}$), ანუ ნიმუშის ერთეულ მასაზე მოსული ეფექტური საკონტაქტო ზედაპირი. ტორსული ზედაპირები განაპირობებენ ექსტრაქციული პროცესების ინტენსივობას, ხოლო ნიმუშის მასა – მიზნობრივი ნივთიერებების საჭირო რაოდენობას. აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდეს განსაზღვრავს განივი ჭრილების ზომა. ჭრილების სიგანის შეცვლით (ერთეულ სიგრძეზე, თანაბარი ბიჯის დროს) იცვლება ჭრილების რაოდენობა, შესაბამისად იცვლება ნიმუშის ტორსული ზედაპირის და მასის სიდიდე. ჭრილების სიგანე ასევე განსაზღვრავს ნიმუშის ტორსული და გვერდითი ზედაპირების ფარდობას ($F_{\text{ტორ.}} / F_{\text{გვ.}}$). ცხრილში 2 მოცემულია აღნიშნული პარამეტრების მნიშვნელობები ცალკეული ნიმუშისათვის ჭრილების სიგანის მიხედვით.

ცხრილი 2

საექსტრაქციო ნიმუშების ძირითადი პარამეტრები

ჭრილების ზომა δ , მმ	0	0,6	1,0	3,2
$F_{\text{ტორ.}} / G_{\text{ნიშ.}}$	0,22	10,4	4,5	3,1
$F_{\text{ტორ.}} / F_{\text{გვ.}}$	0,123	5,67	2,46	1,7

ცხრილის 2 მიხედვით აგებული გრაფიკები მოცემულია ნახ.25-ზე.



ნახ.25. ნიმუშების მახასიათებლების $F_{\delta\text{ორ.}}/G_{\delta\text{იმ.}}$ და $F_{\delta\text{ორ.}}/F_{\delta\text{იმ.}}$ დამოკიდებულება ჭრილების δ სიგანეზე

ცდების დროს ნამზადები მოთავსებული იყო 1 ლ ტევადობის ჰერმეტულ მინის ჭურჭლებში, რომლებიც შევსებული იყო 65° -იანი საკონიაკე სპირტით. ოთხ-ოთხ სხვადასხვა ჭურჭლებში ჩაწყობილი იყო ერთი და იგივე ტიპის ნიმუში (ნახ. 26). სპირტის ნიმუშის ანალიზი კეთდებოდა ერთკვირიანი ინტერვალით, ისე, რომ პირველ ჭურჭლებში ვიღებდით ერთკვირიან დაძველებას, მეორეში – ორკვირიანს, მესამეში – სამკვირიანს და ბოლო ჭურჭლებში – ერთოვანი დაძველების სპირტს. სპირტის ნიმუშებში მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობის მიხედვით ხდებოდა როგორც ნამზადების ნიმუშების გეომეტრიული პარამეტრების ოპტიმიზაცია, ასევე ექსტრაქციული პროცესის კინეტიკის შეფასება.

ცდები ტარდებოდა ქ. თბილისის კონიაკის ქარხანა სს „სარაჯიშვილში“ და შპს „ნორმას“ საგამოცდო ლაბორატორიაში. სპირტში მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრა ხდებოდა ბელორუსიის ნაციონალური მეცნიერებათა აკადემიის „სურსათის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში“ დამტკიცებული მეთოდიკის მიხედვით. ამავე მეთოდიკით სარგებლობს შპს „ნორმას“ საგამოცდო ლაბორატორია.



ნახ.26. საცდელი ნიმუშები ქ.თბილისის კონიაკის
ქარხნის ლაბორატორიაში

2.52. ექსტრაქტი მთრიმლავი ნივთიერებების განსაზღვრის მეთოდიკა

1 გამოყენების სფერო

წარმოდგენილი მეთოდიკა ადგენს კონიაკში და კონიაკის სპირტში მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრის მეთოდს, რომელიც უზრუნველყოფს გაზომვის სარწმუნო შედეგების მიღებას ალბათობით $P=0,95$, კონცენტრაციის დიაპაზონით 0,1-დან 1,0-მდე გ/დმ³. მთრიმლავი ნივთიერებების მასური კონცენტრაციის გაზომვის ზღვარი შეადგენს 0,05 გ/დმ³.

მეთოდიკის მეტროლოგიური მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილებში 3 და 4.

გაზომვათა დიაპაზონი, განმეორადობის მაჩვენებლების მნიშვნელობები,
ცხრილი 3

შედეგები და სიზუსტე ალბათობით $P=0,95$

განსასაზ- ღვრი მაჩ- ვენებელი (კომპონენტი)	გაზომვის დიაპაზონი (მასური კონცენტ- რაცია), გ/დმ ³ $\sigma_r, \%$	განმეორა- დობის მა- ჩვენებელი (საშ. კვა- დრატული გადახრა) $\sigma_r, \%$	აღწარმო- ების მაჩ- ვენებელი $\sigma_k, \%$	სისწორის მაჩვენებე- ლი $\pm \Delta_c, \%$	სიზუსტის მაჩვენებე- ლი $\pm \Delta, \%$
მთრიმ- ლავი ნივ- თიერება	0,1 – 1,0	4,9	9,3	3,6	7,7

გაზომვათა დიაპაზონი, განმეორადობის ზღვრების მნიშვნელობები,

ცხრილი 4

შედეგები და სიზუსტე აღბათობით $P=0,95$

განსასაზღვრი მაჩვენებელი (კომპონენტი)	გაზომვის დიაპა- ზონი (მასური კონცენტრაცია), გ/დგ ³ $r, \%$	განმეორადობის მაჩვენებელი (ორი პარალელ- ური შედეგის)	აღწარმოების ზღვარი (ორი გაზომვის შედე- გისათვის)
მთრიმლავი ნივთიერება	0,1 – 1,0	14	26

2. ნორმატივები

გაზომვათა შესრულების წარმოდგენილ მეთოდიკაში

გამოყენებულია შემდეგი ტექნიკური ნორმატიული სამართლებლივი
აქტები ტექნიკური ნორმირების და სტანდარტიზაციის სფეროში:

СТБ 1334-2003 საკვები რეაქტივიცირებული ეთილის სპირტი.

ტექნიკური პირობები.

СТБ 1384-2003 მეღვინეობის მრეწველობის პროდუქტები. მიღების წესები
და ნიმუშის აღების მეთოდები.

ГОСТ 1770-74 ლაბორატორიული მინის მზომი ჭურჭელი. ზოგადი
ტექნიკური პირობები.

ГОСТ 4204-77 რეაქტივები. გოგირდის მჟავა. ტექნიკური პირობები.

ГОСТ 4236-77 რეაქტივები. აზოტმჟავა ტყვია. ტექნიკური პირობები.

ГОСТ 4236-77 რეაქტივები. ნატრიუმის ჰიდრატი. ტექნიკური პირობები.

ГОСТ 6709-72 გამოხდილი წყალი. ტექნიკური პირობები.

ГОСТ 9147-80 ლაბორატორიული ფაიფურის ჭურჭლები და
მოწყობილობები. ტექნიკური პირობები.

ГОСТ 12026-76 ლაბორატორიული გამფილტრაცი ქაღალდი. ტექნიკური
პირობები.

ГОСТ 21490-75 ქიმიურ-ლაბორატორიული მინა. ტექნიკური პირობები.
გამოცდის მეთოდები.

ГОСТ 24104- ლაბორატორიული სასწორი. ტექნიკური პირობები.
2001

ГОСТ 25336-82 ლაბორატორიული მინის ჭურჭელი და მოწყობილობები.
ტიპები, ძირითადი პარამეტრები და ზომები.

ГОСТ 25794.2-83 რეაქტივები. ჟანგვა-ადდგენითი ტიტრირებისათვის.

ტიტრირებული ხსნარების მომზადების მეთოდები .

ГОСТ 29169-91 ლაბორატორიული მინის ჭურჭელი. პიპეტები ერთი
ადნიშვნით.

ГОСТ 29227-91 ლაბორატორიული მინის ჭურჭელი. გრადუირებული
პიპეტები. I ნაწილი. ზოგადი მოთხოვნები.

ГОСТ 29251-91 ლაბორატორიული მინის ჭურჭელი. ზოგადი მოთხოვნები.

3. მეთოდის პრინციპი

მეთოდი ეფუძნება კონიაკის და კონიაკის სპირტების მთრიმლავი
ნივთიერებების ჟანგვას ინდიგოკარმინის ინდიკატორის თანმხლებით და
ტიტრიმეტრული მეთოდით მათ განსაზღვრას.

4. გაზომვის საშუალებები, დამხმარე მოწყობილობები, რეაქტივები

- ზოგადი დანიშნულების ლაბორატორიული სასწორი ВЛР-200 II
კლასი, აწონის უდიდესი ზღვარი 200 გ - ГОСТ 24104;
- ამაორთქლებელი ფინჯანი №3 ტევადობით 100 სმ³ ГОСТ 9147;
- ჭიქა ტევადობით 50, 100, სმ³ ГОСТ 25336;
- ლაბორატორიული ძაბრი ГОСТ 25336;
- მზომი კოლბები ტევადობით 50, 100, 1000 სმ³ ГОСТ 1770;
- კონუსური კოლბები ტევადობით 100, 250 სმ³ ГОСТ 1770;
- გრადუირებული პიპეტი ტევადობით 2, 5, 25 სმ³ ГОСТ 29169;
- ერთდანაყოფიანი პიპეტი ტევადობით 2,10,20,50,100 სმ³ ГОСТ 29169;
- ცილინდრები ტევადობით 10, 100, 250, 1000 სმ³ ГОСТ 1770;
- მინის ლერო ГОСТ 21400;

დასაშვებია გაზომვის სხვა საშუალებების, დამხმარე მოწყობილობების და რეაქტივების გამოყენება ანალოგიური ტექნიკური
მახასიათებლებით.

5. გაზომვის პირობები

ლაბორატორიაში გაზომვების შესრულების დროს დაცული უნდა
იყოს შემდეგი პირობები:

- ჰაერის ტემპერატურა ხსნარების მომზადების და გაზომვების
შესრულების დროს – $(20 \pm 5)^\circ\text{C}$;

- ატმოსფერული წნევა –(84,0-106,7) კპა;
- ჰაერის ფარდობითი ტენიანობა – (65± 15)%.

6. უსაფრთხოების მოთხოვნები

გაზომვების შესრულების დროს დაცული უნდა იყოს ლაბორატორიაში მოქმედი უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქციის მოთხოვნები და შემდეგი დოკუმენტების მოთხოვნები:

- “ქიმიურ ლაბორატორიებში უსაფრთხო მუშაობის წესები”;
- “ელექტროდანადგარების ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების ტექნიკის წესები”;
- “ხანძარსაწინააღმდეგო ზოგადი წესები საზოგადოებრივი ნაგებობებისათვის”.

7. მოთხოვნები ოპერატორის კვალიფიკაციისადმი

გაზომვების შესასრულებლად და შედეგების დასამუშავებლად შესაძლებელია დაშვებული იყოს პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება შესასრულებელი სამუშაოს პროფილით და ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის გამოცდილება.

8. მომზადება გაზომვების ჩასატარებლად

8.1. ინდიგოკარმინის ინდიკატორის მომზადება

ინდიგოკარმინის ნიმუში მასით ($3,0\pm 0,1$)გ გადააქვთ 300 სმ³ რაოდენობის დისტილირებული წყლით მზომ კოლბაში მოცულობით 1 დმ³, მზომი ცილინდრით უმატებენ 105 სმ³ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას, ხუფავენ საცობით, ურევენ და აყოვნებენ 2 სთ მყარი ნივთიერების სრულ გახსნამდე, რასაც ამოწმებენ ვიზუალურად. შემდეგ კოლბის შიგთავსი 20°C ტემპერატურაზე, დისტილირებული წყლით დაჰყავთ ნიშნულამდე, ურევენ და ფილტრავენ სამფენოვანი ქაღალდის ფილტრით. ხსნარის შენახვის ვადა არის 1 წელი ბნელ ადგილზე შენახვის პირობებში.

8.2. ნატრიუმის პიდრატის ხსნარის მომზადება მასური

კონცენტრაციით 150 გ/დმ³³

მინის ჭიქაში წონიან ($150\pm 0,1$)გ ნატრიუმის პიდრატს, გადააქვთ მზომ კოლბაში ტევადობით 100 სმ³, ხსნიან დისტილირებული წყლით, ურევენ სრულ გახსნამდე, დისტილირებული წყლით აჰყავთ

ნიშნულამდე 20°C ტემპერატურაზე. ხსნარის შენახვის ვადა არის 6 თვე პოლიეთოლენის ჭურჭელში შენახვის შემთხვევაში.

8.3. აზოტმჟავა ტყვიის ხსნარის მომზადება მასური

კონცენტრაციით 500 გ/დგ³

100 სმ³ ტევადობის ქიმიურ ჭიქაში იღებენ აზოტმჟავა ტყვიის ნიმუშს ($50,0 \pm 0,1$)გ და ძაბრით გადააქვთ ლაბორატორიულ მზომ კოლბაში ტევადობით 100 სმ³, ასხავენ დისტილირებულ წყალს, ხურავენ კოლბას საცობით და ურევენ ნივთიერების სრულ გახსნამდე, შემდეგ კოლბის შიგთავსი 20°C ტემპერატურაზე, დისტილირებული წყლით დაჰყავთ ნიშნულამდე. ხსნარის შენახვის ვადა არის 1 წელი ბნელ ადგილზე შენახვის პირობებში.

8.4. კალიუმის პერმანგანატის 0,1 ნ ხსნარის მომზადება

0,1 ნ კალიუმის პერმანგანატის ხსნარს ამზადებენ სტანდარტირისგან ამჟღლის შიგთავსის გახსნით 1 დმ³ დისტილირებული წყლით. შემასწორებელ კოეფიციენტს საზღვრავენ ГОСТ 25794.2-83 მიხედვით. ხსნარს ინახავენ მუქი მინის ჭურჭელში 1 წლით.

8.5. კალიუმის პერმანგანატის 0,01 ნ ხსნარის მომზადება

0,01 ნ კალიუმის პერმანგანატის ხსნარს ამზადებენ 0,1 ნ ხსნარისაგან მისი 10 ჯერადი განზავებით დისტილირებულ წყალში. ამისათვის 0,01 ნ კალიუმის პერმანგანატის ხსნარი გადააქვთ მზომ კოლბაში ტევადობით 100 სმ³ და 20°C ტემპერატურაზე, დისტილირებული წყლით დაჰყავთ ნიშნულამდე. გამოიყენება ახალი მომზადებული ხსნარი.

8.6. წყლის აბაზანის მომზადება

ქსელში ჩართვამდე აბაზანაში ასხავენ დისტილირებულ წყალს 2-3 სმ³-ით დაბლა ნაპირებიდან, აცხელებენ წყალს ადუღებამდე და ინარჩუნებენ ამ მდგომარეობას მუშაობის მთელი დროის განმავლობაში.

8.7. ნიმუშის აღება

კონიაკის და კონიაკის სპირტების ნიმუშებს იღებენ СТБ 1384-2003 – ის შესაბამისად.

9. გაზომვების შესრულება

9.1. ნიმუშის მომზადება

ფაიფურის ამაორთქლებელ ჭურჭელში შეაქვთ 100 სმ³ კონიაკის ან კონიაკის სპირტის გამოსაცდელი ნიმუში, აორთქლებენ 30-40 სმ³-მდე. დარჩენილი სითხე გადააქვთ მზომ კოლბაში ტევადობით 100 სმ³, ჭურჭელს გამოავლებენ დისტილირებულ წყალს და ასხავენ იმავე კოლბაში, რომლის შიგთავსი 20°C ტემპერატურის დროს დისტილირებული წყლით დაჰყავთ ნიშნულამდე და ურევენ.

9.2. უანგვითი ნივთიერების საერთო რაოდენობის განსაზღვრა

250 სმ³ ტევადობის კონუსურ კოლბაში შეაქვთ 2,0 სმ³ პ.9.1-ის მიხედვით მომზადებული ნიმუში, ცილინდრით – 80 სმ³ დისტილირებული წყალი, პიპეტით – 2,0 სმ³ ინდიგოკარმინის ხსნარი და აკეთებენ ტიტრირებას 0,01 ნ კალიუმის პერმანგანატის ხსნარით ხსნარის ლურჯი შეფერილობის გადასვლამდე დია ყვითელში. ზომავენ კალიუმის პერმანგანატის ხსნარის მოცულობას, რომელიც მოდის უანგვითი ნივთიერების საერთო რაოდენობის ტიტრირებაზე.

9.3. უანგვითი ნივთიერების რაოდენობის განსაზღვრა, რომლებიც არ წარმოადგენენ კონიაკის ან კონიაკის სპირტის მორიმლავ ნივთიერებებს

100 სმ³ ტევადობის მზომ ქილაში შეაქვთ პ.9.1-ის მიხედვით მიღებული 50 სმ³ ნიმუში, წვეთებით უმატებენ 1-2 სმ³ ნატრიუმის პიდრატის ხსნარს და 1-2 სმ³ აზოტმჟავა ტყვიას, ურევენ და აყოვნებენ 5-10 წთ. კოლბის შიგთავსი, წარმოქმნილი ნალექით, დისტილირებული წყლით დაჰყავთ ნიშნულამდე, ურევენ და ფილტრავენ ორფენოვანი ფილტრით.

250 სმ³ ტევადობის კონუსურ კოლბაში პიპეტით შეაქვთ 4,0 სმ³ ფილტრატი, ამავე ჭურჭელში ცილინდრით არწყავენ 80 სმ³ დისტილირებულ წყალს, პიპეტით უმატებენ 2,0 სმ³ ინდიგოკარმინის ხსნარს და ახდენენ ტიტრირებას 0,01 ნ კალიუმის პერმანგანატის ხსნარით ხსნარის ლურჯი შეფერილობის გადასვლამდე დია ყვითელში. ზომავენ კალიუმის პერმანგანატის 0,01 ნ ხსნარის მოცულობას

რომელიც მოდის ჟანგვითი ნივთიერების ტიტრირებაზე, რომლებიც არ წარმოადგენენ მთრიმლავ ნივთიერებებს.

10. შედეგების დამუშავება

მთრიმლავი ნივთიერებების მასურ კონცენტრაციას გ/დმ³-ში ანგარიშობენ ფორმულით

$$x = \frac{0,00068.(V_1 - V_2).K.1000}{V},$$

სადაც $0,00068 - 1$ სმ³ კალიუმის პერმანგანატის 0,01 ნ ხსნარით

დაუანგული მთრიმლავი ნივთიერებების რაოდენობა, გ/სმ³;

V - პ.9.1-ით მომზადებული დასაუანგი ნიმუშის მოცულობა, სმ³;

V_1 - ყველა ნივთიერების დასაუანგად გამოყენებული კალიუმის პერმანგანატის ხსნარის მოცულობა, სმ³;

V_2 - კალიუმის პერმანგანატის ხსნარის მოცულობა, იმ ნივთიერებების დასაუანგად გამოყენებული, რომლებიც არ წარმოადგენენ მთრიმლავ ნივთიერებებს;

K - კალიუმის პერმანგანატის 0,1 ნ ხსნარის შემასწორებელი კოეფიციენტი;

$1000 - 1$ დმ³-ზე გადასაანგარიშებელი კოეფიციენტი.

გამოთვლებს აწარმოებენ 0,0001 სიზუსტით. გაზომვების საბოლოო შედეგად იღებენ ორი პარალელური განსაზღვრის საშუალო არითმეტიკულს, რომელთა შორის დასაშვები გადახრა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს

$$|x_1 - x_2| \leq 0,01 \bar{x} r,$$

სადაც x_1 და x_2 - პარალელური განსაზღვრით მიღებული მთრიმლავი

ნივთიერებების მასური კონცენტრაციებია, გ/დმ³;

\bar{x} - მთრიმლავი ნივთიერებების მასური კონცენტრაციების ორი პარალელური განსაზღვრის საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა, გ/დმ³;

r - განმეორადობის ზღვარი, % (ცხრილი 2);

აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში ანალიზს იმურებენ.

გამოცდის ისეთი შედეგების მიღების შემთხვევაში, რომლებიც გამოდიან გაზომვათა დიაპაზონიდან, აწარმოებენ ნიმუშის კონცენტრირებას ან მის განზავებას. ამისათვის კონიაკის ან კონიაკის სპირტის ნიმუში, აორთქლებული 30-40 სმ³-დე პ.9.1-ის მიხედვით, გადააქვთ სხვა ტეგადობის კოლბაში: 50 სმ³ (კონცენტრირების შემთხვევაში) და 200 სმ³ (განზავების შემთხვევაში). მიღებულ შედეგებს ყოფენ (კონცენტრირების შემთხვევაში) ან ამრავლებენ (განზავების შემთხვევაში) კოეფიციენტზე 2.

11. შედეგების გაფორმება

გაზომვის შედეგები წარმოდგენილია შემდეგი სახით

$$\bar{x} \pm \Delta,$$

სადაც \bar{x} - გაზომვის შედეგების საშუალო მნიშვნელობაა, გ/დმ³;

Δ - სიზუსტის მაჩვენებელი, რომელიც მოყვანილია ცხრილში 1.

თუ გაზომვის მნიშვნელობა ნაკლებია გაზომვის მეთოდიკის ზღვარზე, მაშინ აწარმოებენ გაზომვის შედეგების ცალმხრივ შეფასებას

$$\bar{x} < L,$$

სადაც \bar{x} - გაზომვის შედეგების საშუალო მნიშვნელობაა;

L - მეთოდიკის გაზომვის ზღვარია.

12. ცდომილებათა კონტროლი

12.1 განმეორადობის კონტროლი

განმეორადობის კონტროლი ხორციელდება პ.10-ის მიხედვით კონიაკისა და კონიაკის სპირტის სამუშაო ნიმუშების ყოველი გაზომვის შესრულების დროს

12.2 აღწარმოების კონტროლი

შიგალაბორატორიული აღწარმოების კონტროლს აწარმოებენ სამუშაო ნიმუშებზე, რომლებსაც უტარდებათ ანალიზი პ.9-ის მიხედვით და ანგარიშობენ გაზომვათა შესრულების პ.10 მეთოდიკით. ანალიზი მონაწილეობს 2 პერსონალი, გაზომვებს ასრულებენ სხვადასხვა დროს.

აღწარმოება ითვლება დამაკმაყოფილებლად, თუ შესრულებულია პირობა

$$|x_1 - x_2| \leq 0,01\bar{x}R,$$

სადაც x_1 და x_2 -მთრიმლავი ნივთიერებების მასური კონცენტრაციებია,

რომლებიც მიღებულია განმეორების პირობებში, გ/დმ³;

\bar{x} - მთრიმლავი ნივთიერებების მასური კონცენტრაციების

საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობაა, გ/დმ³, $\bar{x} = (x_1 + x_2)/2$;

R - აღწარმოების ზღვარი (ცხრილი 2), %.

აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში ანალიზს იმურებენ. განმეორებითი ანალიზის დროს უნდა გამოვლინდეს კონტროლის არაკორექტული შედეგების მიზეზები და ისინი უნდა აღმოიფხვრას.

12.3 სიზუსტის კონტროლი

სიზუსტის კონტროლის ჩატარების დროს იყენებენ სამუშაო ნიმუშს და ნიმუშს განზავებით. ამ უკანასკნელს ამზადებენ 100 სმ³ მოცულობის კოლბაში 20°C ტემპერატურის პირობებში: შეაქვთ 10 სმ³ დისტილირებული წყალი, 10 სმ³ ეთილის სპირტი, შემდეგ კოლბის მოცულობა დაჰყავთ ნიშნულამდე კონიაკის ან კონიაკის სპირტის სამუშაო ნიმუშით 20°C ტემპერატურის პირობებში. აწარმოებენ ორივე ნიმუშის ანალიზს ორჯერადი განმეორებით პ.9-ის მიხედვით და ანგარიშობენ პ.10-ის მიხედვით.

სამუშაო და განზავებული ნიმუშების ანალიზით გაზომილი შედეგების სიზუსტეს მიიჩნევენ დამაკმაყოფილებლად შემდეგი პირობის შესრულების შემთხვევაში

$$|x_1 - \eta x_2| \leq 0,01 \cdot 1,6 \cdot x_1 \cdot \Delta,$$

სადაც x_1 - მთრიმლავი ნივთიერებების მასური კონცენტრაციების ორი

პარალელური განსაზღვრის შედეგების საშუალო

არითმეტიკული მნიშვნელობაა სამუშაო ნიმუში, გ/დმ³;

x_2 - მთრიმლავი ნივთიერებების მასური კონცენტრაციების ორი

პარალელური განსაზღვრის შედეგების საშუალო
არითმეტიკული მნიშვნელობაა განზავების ნიმუშში, გ/დმ³;
η - განზავების კოეფიციენტია, რომელიც ტოლია 1,25;
Δ - სიზუსტის მაჩვენებელი, რომელიც მოყვანილია ცხრილში 1.
შენიშვნა: განზავების ნიმუშში მთრიმლავი ნივთიერებების
შემცველობა არ უნდა გამოვიდეს გაზომვათა შესრულების მეთოდიკის
დიაპაზონის გარეთ.

2.5.3. მუხის ხის საექეტრაქციო ნამზადებში მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრის მეთოდიკა

მუხის ხის საექეტრაქციო ნამზადებში მთრიმლავი ნივთიერებების
ექსტრაქციის პროცესის კინეტიკური კანონზომიერებების დასადგენად
განისაზღვრა ნამზადებში აღნიშნული ნივთიერებების საწყისი
შემცველობა.

ექსპერიმენტული კვლევებისათვის გამოყენებული იყო უკრაინის
აგრარული მეცნიერებების ეროვნული აკადემიის, აგროეკოლოგიისა და
ბუნებათსარგებლობის ინსტიტუტის, მედვინეობის ნედლეულის
რესურსების მონიტორინგის ლაბორატორიის მიერ დამუშავებული
მეთოდიკა.

კვლევის მეთოდი დაფუძნებულია გამოსაკვლევი ნიმუშიდან მუხის
კომპონენტების მაქსიმალურ ექსტრაქციაზე წყლით და სპირტით და
შემდგომში მათში მთრიმლავი ნივთიერებების კომპონენტების
გაზომვაზე.

მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრისათვის
მუხის მერქანი წინასწარ ქუცმაცდება ნაწილაკების ზომით 0,3-0,45 მმ.
მიღებული წვრილ დისპერსული მასალიდან 10 გ ფრაქცია გადააჭვთ
250 სმ³ ტევადობის მზომ კოლბაში და მას ესხმება 75 სმ³ მოცულობის
20°C ტემპერატურის წყალი. ამავე ტემპერატურაზე ხდება მიღებული
ნაყენის დაყოვნება 4 სთ-ის განმავლობაში და გაფილტვრა. ამის
შემდეგ მიღებულ ექსტრაქტს ემატება 75 სმ³ მოცულობის 75°C
ტემპერატურის წყალი. ამავე ტემპერატურაზე ხდება მიღებული

ექსტრაქტის დაყოვნება 5 სთ-ის განმავლობაში და გაფილტვრა. შემდეგ მიღებულ ექსტრაქტს კვლავ ემატება 75 სმ³ მოცულობის 20°C ტემპერატურის წყალი, ხდება 1 სთ-ით დაყოვნება იმავე ტემპერატურაზე და გაფილტვრა. სამჯერადი ფილტრაციის შედეგად მიღებული ექსტრაქტების ფრაქციები ერევა ერთმანეთს და განისაზღვრება წყალში ხსნადი მთრიმლავი ნივთიერებების კონცენტრაცია.

წყლით ექსტრაქციის შემდეგ დარჩენილ დაქუცმაცებულ მუხის მერქნის მასას ესხმება 60%-იანი სპირტი 50 სმ³ მოცულობით და ხდება დაყოვნება 24 სთ-ით 65°C ტემპერატურაზე. ფილტრაციის შემდეგ განისაზღვრება სპირტში ხსნადი მთრიმლავი ნივთიერებების კონცენტრაცია.

მთრიმლავი ნივთიერებების კონცენტრაცია მუხის მერქანტი განისაზღვრა СФ-46 სპეციალურობით დახმარებით ДСТУ 4112.41:2003 -ის შესაბამისად. მთრიმლავი ნივთიერებების ჯამურმა რაოდენობამ, წარმოდგენილი ნიმუშების მასალაში, შეადგინა დაახლოებით 6,0% აბსოლუტურად მშრალ მასასთან მიმართებაში

2.5.4. ექსპერიმენტული კვლევის შედეგები

ექსპერიმენტული კვლევის შედეგები სხვადასხვა პარამეტრების მუხის ხის საექსტრაქციო ნიმუშებისათვის წარმოდგენილია ცხრილში 5 ცხრილი 5

ექსპერიმენტული კვლევის შედეგები

ნიმუშის №	მასა, გ	მოცულობა, დგ ³	$F_{\text{ტორ.}} / G_{\text{ნიმ.}}$, სმ ² /გ	ჭრილის ზომა, მმ	კვირათა რაოდენობა				
					1	2	3	4	
					მთრიმლავი ნივთიერებები, გ/დგ ³				
1	65,1	0,080	0,22	0	0,200	0,396	0,560	0,740	
2	62,4	0,077	2,50	1,0	1,130	1,900	2,420	2,760	
3	51,7	0,064	10,4	0,6	1,800	2,490	2,756	2,850	
4	50,3	0,062	3,10	3,2	1,360	2,070	2,430	2,630	

2.1. პარაგრაფში ნაჩვენები იყო, რომ მუხის მერქნიდან მთრიმლავი ნივთიერებების ექსტრაქციის პროცესს აქვს ექსპონენციალური ხასიათი და იგი ექვემდებარება შემდეგ განტოლებას

$$C_{\text{თ.ფ.}} = \frac{G_{\text{ა.ფ.}} c_{\text{ა.ნ.}}}{V_{\text{თ.ფ.}} + V_{\text{ა.ფ.}}} \left(1 - e^{-k\tau}\right) \frac{\partial/\partial \theta^3}{\partial \theta^3}, \quad (17)$$

სადაც $C_{\text{თ.ფ.}}$ - თხევადი ფაზის მიმდინარე კონცენტრაციაა, $\text{გ}/\text{დ}^3$;

$G_{\text{ა.ფ.}}$ - მყარი ფაზის (ნიმუშის) მასაა, გ;

$c_{\text{ა.ნ.}}$ - მყარ ფაზაში მიზნობრივი ნივთიერების შემცველობაა, %

ნიმუშის მასის მიმართ;

$V_{\text{თ.ფ.}}$ - თხევადი ფაზის (სპირტის) მოცულობაა, დ^3 ;

$V_{\text{ა.ფ.}}$ - მყარი ფაზის (ნიმუშის) მოცულობაა, დ^3 ;

k - ექსტრაქციის პროცესის კონსტანტაა, $1/\text{კვირა}$;

τ - პროცესის ხანგრძლივობაა, კვირა.

ცხრილი 5-ის მონაცემების მიხედვით, ექსპონენციალური განტოლებიდან (17) განისაზღვრა ნიმუშების კონსტანტების მნიშვნელობები (ცხრილი 6) ფორმულით

$$k = \frac{1}{\tau} \ln \left(\frac{G_{\text{ა.ფ.}} c_{\text{ა.ნ.}}}{G_{\text{ა.ფ.}} - C_{\text{თ.ფ.}} (V_{\text{თ.ფ.}} + V_{\text{ა.ფ.}})} \right) \quad (18)$$

ცხრილი 6


ნიმუშების კონსტანტების მნიშვნელობები

ნიმუშის №	1	2	3	4
კონსტანტა k , 1/კვირა	0,057	0,395	0,960	0,650


ცხრილის 5,6 მონაცემებით და (17) ფორმულით სხვადასხვა ნიმუშისათვის აიგო ექსპონენციალური გრაფიკები (ნახ. 27...ნახ. 30) შემდეგი მონაცემებისათვის:

- მყარი ფაზების (ნიმუშების) მასები ($G_{\text{ა.ფ.}}$): 65,1; 62,4; 51,7; 50,3 გ;
- მყარ ფაზაში მიზნობრივი ნივთიერების მასური წილი $-c_{\text{ა.ნ.}} = 6,0\%$;


- თხევადი ფაზის მოცულობა $V_{\text{ფ.ფ.}} = 1,0 \text{ ლ}\cdot\text{მ}^3$;
- მყარი ფაზის (ნიმუშების) მოცულობები ჭრილებით დაბავებული მოცულობების გამოკლებით ($V_{\text{გ.გ.}}$): 0,08; 0,077; 0,064; 0,062 ლ $\cdot\text{მ}^3$;
- ექსტრაქციის ხანგრძლივობა $\tau = 1\ldots 4 \text{ გვირა}$.




ნახ. 27. მთლიანი ნიმუშის ექსტრაქციის
ექსპონენციალური გრაფიკი



ნახ. 28. 1 მდე ჭრილებიანი ნიმუშის ექსტრაქციის
ექსპონენციალური გრაფიკი



ნახ. 29. ლაზერით დამუშავებული 0,6 მმ ჭრილებიანი
ნიმუშის ექსტრაქციის ექსპონენციალური გრაფიკი



ნახ. 30. 3,2 მმ ჭრილებიანი ნიმუშის ექსტრაქციის
ექსპონენციალური გრაფიკი

მთლიანი ნიმუშის შემთხვევაში (ნახ. 27) მყარ და თხევად ფაზებს
შორის წონასწორული კონცენტრაცია შეადგენს

$$C_{\text{внеш.}} = \frac{G_{\text{внеш.}} c_{\text{внеш.}}}{V_{\text{внеш.}} + V_{\text{внутр.}}} = \frac{65,1 \cdot 0,06}{1 + 0,08} = 3,6 \text{ } \delta/\delta\theta^3.$$

ცხრილის 5 მონაცემებით, მოცემული ნიმუშიდან ოთხი კვირის
განმავლობაში გამოიყო მხოლოდ 0,74 გ მთრიმლავი ნივთიერება,
მაშინ როდესაც საწყის ნიმუშში აღნიშნული ნივთიერება შეადგენს 3,9
გ. ეს კარგად ჩანს გრაფიკიდანაც, სადაც მრუდი მოცემული დროის
განმავლობაში არ გადადის ასიმპტოტურ უბანზე. ეს აიხსნება იმით,
რომ მთლიან ნიმუშში მცირეა სპირტის შეღწევადობა და შესაბამისად
დაბალია ექსტრაქციის მაჩვენებელი. გარდა ამისა, ამ ნიმუშისათვის

ძალზე დაბალია ტორსული ზედაპირის ფართობის შეფარდება ნიმუშის მასასთან, რომელიც შეადგენს 0,22-ს.

1,0 მმ ჭრილებიანი ნიმუშის შემთხვევაში (ნახ.28) მყარ და თხევად ფაზებს შორის წონასწორული კონცენტრაცია შეადგენს

$$C_{\text{წონ.}} = \frac{G_{\text{აფ.}} c_{\text{ან}}}{V_{\text{თ.ა}} + V_{\text{აფ.}}} = \frac{62,4 \cdot 0,06}{1 + 0,077} = 3,5 \text{ გ/დმ}^3.$$

ცხრილის 5 მონაცემებით, მოცემული ნიმუშიდან ოთხი კვირის განმავლობაში გამოიყო მხოლოდ 2,76 გ მთრიმლავი ნივთიერება, მაშინ როდესაც საწყის ნიმუშში აღნიშნული ნივთიერება შეადგენს 3,74 გ. ე.ი. ნიმუშში დარჩა 0,98 გ. გრაფიკიდან (ნახ. 28) ჩანს, რომ მრუდს პირველი ნიმუშისაგან განსხვავებით აქვს გამოხატული გადახრა ასიმპტოტური უბნისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ნიმუშში საგრძნობლად არის გაზრდილი ტორსული ზედაპირის ფართობის შეფარდება ნიმუშის მასასთან (4,5), 4 კვირიანი ექსტრაქცია არ არის საკმარისი მთრიმლავი ნივთიერებების სრულად გამოსაყოფად.

დაახლოებით ანალოგიური სურათი იკვეთება მეოთხე ნიმუშის შემთხვევაში 3,2 მმ-იანი ჭრილებით. ამ ნიმუშისათვის კონცენტრაციული წონასწორობა შეადგენს

$$C_{\text{წონ.}} = \frac{G_{\text{აფ.}} c_{\text{ან}}}{V_{\text{თ.ა}} + V_{\text{აფ.}}} = \frac{50,3 \cdot 0,06}{1 + 0,062} = 2,85 \text{ გ/დმ}^3.$$

ცხრილის 5 მონაცემებით, მოცემული ნიმუშიდან ოთხი კვირის განმავლობაში გამოიყო მხოლოდ 2,63 გ მთრიმლავი ნივთიერება, მაშინ როდესაც საწყის ნიმუშში აღნიშნული ნივთიერება შეადგენს 3,0 გ. ე.ი. ნიმუშში დარჩა 0,37 გ. გრაფიკიდან (ნახ. 30) ჩანს, რომ მრუდს აქვს გამოხატული გადახრა ასიმპტოტური უბნისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ნიმუშში პირველ ნიმუშთან შედარებით გაზრდილია ტორსული ზედაპირის ფართობის შეფარდება ნიმუშის მასასთან (3,1), 4 კვირიანი ექსტრაქცია არ არის საკმარისი მთრიმლავი ნივთიერებების სრულად გამოსაყოფად. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის, რომ ჭრილების სიგანის 1,0-დან 3,2 მმ-დე გაზრდით, ერთიდაიგივე ზომების ნიმუშისათვის, მისი მასა დაახლოებით 23%-ით მცირდება, შესაბამისად მცირდება მიზნობრივი ნივთიერების რაოდენობაც, რაც


მეორე ნიმუშთან შედარებით აისახება ექსტრაქციით გამოყოფილი ნივთიერების რაოდენობაზე.

ცხრილიდან 5 და ნახ. 29-დან ჩანს, რომ ყველაზე კარგი შედეგი მივიღეთ მესამე ნიმუშის შემთხვევაში, რომლის ჭრილები შესრულებულია ლაზერული ჭრით 0,6 მმ სიგანით. კონცენტრაციული წონასწორობა ამ შემთხვევაში შეადგენს

$$C_{\text{წონ.}} = \frac{G_{\text{აფ}} c_{\text{ან}}}{V_{\text{თ.}} + V_{\text{აფ}}} = \frac{51,7 \cdot 0,06}{1 + 0,064} = 2,92 \text{ g/დმ}^3.$$

ცხრილის 5 მონაცემებით, მოცემული ნიმუშიდან ოთხი კვირის განმავლობაში გამოიყო ყველაზე მეტი 2,85 გ მთრიმლავი ნივთიერება, მაშინ როდესაც საწყის ნიმუშში აღნიშნული ნივთიერება შეადგენს 3,1 გ. ე.ი. ნიმუშში დარჩა ყველაზე მცირე 0,25 გ. გრაფიკიდან (ნახ. 29) ჩანს, რომ მრუდს აქვს მკვეთრად გამოხატული გადახრა ასიმპტოტური უბნისაკენ. მცირე ზომის ჭრილების გამო მოცემულ ნიმუშში (0,6 მმ) სხვა ნიმუშებთან შედარებით მკვეთრად არის გაზრდილი ტორსული ზედაპირის ფართობის შეფარდება ნიმუშის მასასთან (10,4), მაგრამ თანაბარი სიგრძის ნიმუშების შემთხვევაში ჭრილების ზომის შემცირება 0,6 მმ-მდე თანაბარი ბიჯის დროს იწვევს მათი რაოდენობის საგრძნობლად გაზრდას და ნიმუშის მასის შემცირებას დაახლოებით 20%-ით. მიუხედავად ამისა, მოცემული ნიმუშის 4 კვირიანი ექსტრაქცია იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგს, თუმცა როგორც გრაფიკიდან ჩანს 1-2 კვირით პროცესის გახანგრძლივებით შედეგი უმნიშვნელოდ კიდევ გაუმჯობესდება. მთრიმლავი ნივთიერებების სრული ექსტრაქცია ბუნებრივია ვერ მოხდება, რადგან მყარ და თხევად ფაზებს შორის დამყარდება კონცენტრაციული წონასწორობა და პროცესი შეწყდება.

მერქნის ფიზიკიდან ცნობილია, რომ სითხის მოძრაობის სიჩქარე ბოჭკოების გასწორივ 50-150-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე განივი მიმართულებით. აქედან გამომდინარე ექსტრაქციული ნივთიერებების გამოყოფა გაცილებით ინტენსიურია ტორსული ზედაპირებიდან. აღსანიშნავია, რომ მუხის კასრების ტკეჩებს არ გააჩნიათ სითხესთან საკონტაქტო ტორსული ზედაპირები, აქ ექსტრაქცია ხდება მხოლოდ გვერდითი ზედაპირებიდან. ეს გარემოებაც ადასტურებს კასრებში მუხის ნამზადების შეტანის ეფექტურობას.



ნახ. 31. $F_{\text{өнн.}}/G_{\text{өнд.}}$ სმ²/გ სიდიდის გავლენა
ექსტრაქციული პროცესის ინტენსივობაზე

მუხის ნამზადებში ტორსული ზედაპირების გაზრდა
შესაძლებელია მხოლოდ განივი ჭრილების შესრულებით. მაგრამ განივი ჭრილების გაზრდა ერთდროულად იწვევს ნამზადის მასის და მასში არსებული სასარგებლო ნივთიერებების დანაკარგს, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ამ ორი ფაქტორის ოპტიმიზაცია.

ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ $F_{\text{өнн.}}/G_{\text{өнд.}}$ სიდიდე 4 სმ²/გ დონეზე პრაქტიკულად აღწევს მაქსიმუმს (ნახ. 31, მრუდი 4).


ნიმუშების ოთხკვირიანი ექსტრაქციის ბოლოს, მთრიმლავ ნაერთებთან ერთად განისაზღვრა სპირტში საერთო ექსტრაქტის დონე. შედეგები მოყვანილია ცხრილში 7.

ცხრილი 7

საერთო ექსტრაქტის გამოსავალი ნიმუშების მიხედვით

$F_{\text{өнн.}}/G_{\text{өнд.}}$, სმ ² /გ	0,22	3,10	4,50	10,4
საერთო ექსტრაქტი $C_{\text{ჯ.}}$, გ/დმ ³	0,80	2,30	3,20	3,96

ნახ. 32-ზე წარმოდგენილია ცხრილი 7-ის გრაფიკული გამოსახულება.



ნახ. 32. საერთო ექსტრაქტის გამოსავლის დამოკიდებულება ნიმუშების $F_{\text{диаг.}}/G_{\text{нод.}}$ მაჩვენებელზე ოთხკვირიანი ექსტრაქციის დროს

მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ საერთო ჯამური ექსტრაქტის გამოსავალი უმნიშვნელოდ აღემატება მთრიმლავი ნივთიერებების გამოსავალს. ეს აიხსნება იმით, რომ მუხის შემცველი სხვა ნივთიერებების გამოყოფისათვის ოთხკვირიანი ექსტრაქცია მცირე დროა, თუმცა დინამიკა მთრიმლავი ნივთიერებების ანალოგიურია.

ჩატარებულმა კვლევებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა მუხის კასრებში საკონიაკე სპირტის დაძველების დროს მიმდინარე ექსტრაქციულ პროცესში სპირტის მერქანტში შეღწევადობის სიდიდე, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც კასრების, ასევე მუხის ნამზადების ტექნოლოგიური რესურსის მაქსიმალურ გამოყენებაში.

ექსპერიმენტების დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ (4 კვირა) ხდებოდა ნიმუშების აწონვა. წონათა სხვაობა გვაძლევს ნიმუშების მიერ შთანთქმული თხევადი ფაზის მასას, რომელიც სითხის სიმკვრივის გათვალისწინებით გადაგვყავს მოცულობაში $W_{\text{თ.ფ.}}$. შედეგები მოყვანილია ცხრილში 8.

მერქნის სიღრმეში სპირტის შეღწევის სიდიდეს (x) კსაზღვრავთ ფორმულით

$$[a^2 - (a - 2x)^2]h = W_{\text{თ.ფ.}},$$

სადაც a - ნიმუშის კგადრატული კვეთის გვერდის სიგრძეა;

h - ნიმუშის სიმაღლე.

მიღებული შედეგები (ცხრილი 9) შეძლება მივიღოთ საშუალო მიშვნელობებად, რამდენადაც სითხის შეწოვა ნიმუშებში ხდება როგორც ტორსული, ასევე გვერდითი ზედაპირებიდან.

ცხრილი 8

ნიმუშების მასები ექსპერიმენტის დაწყებამდე და შემდეგ

საცდელი ნიმუშები	ნიმუშების მასა ექსპერიმენტის დაწყებამდე G_0 , δ	ნიმუშების მასა ექსპერიმენტის დამთავრების შემდეგ G_1 , δ	თხევადი ფაზის მასა $\Delta G = G_0 - G_1$, δ
მუხის საცდელი ნიმუში № 1	65,155	69,166	4,00
მუხის საცდელი ნიმუში № 2	62,402	92,965	30,57
მუხის საცდელი ნიმუში № 3	51,692	98,846	47,15
მუხის საცდელი ნიმუში № 4	50,333	84,824	34,50


ცხრილი 9

მუხის ნიმუშებში სპირტის შეღწევის სიდიდე

ნიმუშის №	1	2	3	4
სპირტის შეღწევის სიდიდე x , მმ	0,34	2,9	4,8	3,3

აღსანიშნავია პირველ ნიმუშში სპირტის შეღწევის დაბალი დონე,
რაც განპირობებულია იმით, რომ ამ ნიმუშში გვერდითი ზედაპირის
ფართობი გაცილებით დიდია ტორსული ზედაპირების ფართობზე,
მაშინ როდესაც სხვა ნიმუშებში გვაქვს საწინააღმდეგო სურათი.

ნახ. 33-ზე წარმოდგენილია $F_{\text{ტორ.}} / G_{\text{ნიმ.}}$ სმ²/გ სიდიდის გავლენის
გრაფიკი მუხის ნიმუშებში სპირტის შეღწევის სიდიდეზე ოთხკვირიანი
დაყოვნების შემდეგ. როგორც გრაფიკიდან ჩანს სპირტის შეღწევა
მუხის მერქნის ნიმუშებში ინტენსიურია $F_{\text{ტორ.}} / G_{\text{ნიმ.}} = 5$ სმ²/გ სიდიდემდე.
ამ სიდიდის შემდგომი ზრდა არსებითად არ ცვლის სპირტის
შეღწევადობის სიდიდეს.



ნახ. 33. $F_{\text{жер.}}/G_{\text{нед.}}$ სმ²/გ სიდიდის გავლენა მუხის ნიმუშებში სპირტის შეღწევის სიდიდეზე ოთხკვირიანი დაყოვნების შემდეგ

2.6. მუხის საექსტრაქციო დეტალების სანედლეულო ბაზის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება

ალკოჰოლური პროდუქციის თანამედროვე მსოფლიო ბაზარი, მათ შორის საქართველოც, ხასიათდება მუხის ხის ჭურჭელში დაძველებულ ღვინოსა და კონიაკზე სტაბილურად მაღალი მოთხოვნილებით. ასეთი ღვინის და კონიაკის პროდუქციის ხარისხის ფორმირების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს მათი გამდიდრება მუხის მერქანში არსებული სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების (ტანინები, ლიგნინი და სხვა) მეშვეობით მისი ხანგრძლივი შენახვის მთელ პერიოდში.

აღნიშნული მაღალხარისხიანი და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოებათვის ყურძნის ხარისხთან და მისი გადამუშავების ტექნოლოგიასთან ერთად, გადამწყვეტი ადგილი უკავია მუხის სათანადო ნედლეულის მოპოვებას და შემდგომ მუხის კასრების დამზადებას, რომლებსაც გარკვეული რესურსი გააჩნიათ და ექსპლოატაციის პერიოდში ხდება მათი გამოფიტვა. საკითხი უფრო მძიმდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგადად გამოსადეგი მუხის კორომები და მათი მარაგები ტერიტორიულად შეზღუდულია, რისი თვალნათელი მაგალითია საქართველო, სადაც მუხის კორომების ფართობი შეადგენს მთლიანი ფართობების 10,3% და მარაგი 5,5%, ხოლო მუხის ათეული სახეობიდან, კასრების დასამზადებლად მხოლოდ რამდენიმე შეიძლება იქნას გამოყენებული [13].

ბოლო წლებში გლობალურ სამომხმარებლო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა დვინის პროდუქციაზე, რომლებსაც ახასიათებთ მკვეთრად გამოხატული მუხის ხის მკაფიო ტონი, გემო და არომატი. ისეთ ქვეყნებში სადაც კარგად არის განვითარებული მედვინეობა, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვ., წარმოებული დვინის 40% მუხის კასრებშია დავარგებული. მსოფლიოში კი მხოლოდ დვინის 5% ხვდება მუხის კასრებში. გასათვალისწინებელია, რომ მუხის კასრები დვინის ინდუსტრიაში არ არის მხოლოდ ჭურჭელი დვინის პროდუქციის შესანახად, არამედ იგი წარმოადგენს ექსტრაქციული ნივთიერების მნიშვნელოვან წყაროს, რომლებიც დადებითად მოქმედებენ დვინოზე და კონიაკზე და ფაქტიურად განაპირობებენ პროდუქციის ხარისხს.

მიზეზები იმისა, რომ საქართველოში მუხის კასრებში არ ხდება დვინის დავარგება, პირველ რიგში ეკონომიკური არაეფექტურობითაა გამოწვეული. ერთ-ერთი მიზეზია დავარგების პროცესის დიდი ხანგრძლივობა. ასევე აღსანიშნავია მუხის ხის კასრების ძალიან მცირე რაოდენობა და მოძველებული პარკი.

ამ მხრივ აქტუალური ხდება ახალი ტექნოლოგიების დამუშავება, რომელიც მოახდენს დაძველების და დავარგების პროცესების ინტენსიფიკაციას, ეფექტური მეთოდების გამოყენებით. ეს უზრუნველყოფს დვინოპროდუქტებისა და კონიაკის ხარისხის გაზრდას და მათ კონკურენტუნარიანობას.

მსოფლიოში იზრდება მოთხოვნილება დვინოზე და კონიაკზე, შესაბამისად იზრდება მოთხოვნილება მწარმოებლებში მუხის კასრებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მუხის კასრების დასამზადებლად გამოიყენება მუხის სამი ჯიში, ესენია: ორი ფრანგული სახეობის მუხა (Quercus petraea, Quercus robur) და ერთი ამერიკული მუხა (Quercus alba). სითხის ტევადობის და ხარისხის მიხედვით ფრანგული კასრების ფასები მერყეობს 850-3600 დოლარის ფარგლებში, ხოლო ალიერის და ტრონსკანის მიდამოებში დამზადებული მუხის კასრების ფასმა შეიძლება 4000 დოლარს გადააჭარბოს. ამერიკული მუხისგან დამზადებული კასრების ფასი აშშ-ში 300-500 დოლარამდე მერყეობს.

აღმოსავლეთ ეკროპაში (უნგრეთი) დამზადებული მუხის კასრების ფასები მერყეობს 560-700 ლიტრის ფარგლებში.

შექმნილი კითარებიდან გამომდინარე მსოფლიოს თითქმის ყველა ალკოჰოლური პროდუქციის მწარმოებელ ქვეყანაში აქტიურად განიხილება 4 პრობლემა:

1. არსებული მუხნარი კორომების პროდუქტიულობის ამაღლების და მათი დაცვის ღონისძიებები;
2. მუხის საეციალური სამრეწველო დანიშნულების პლანტაციების შექმნა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია დროის ხანგრძლივ პერიოდთან (საშუალოდ 70 წელი);
3. მუხის ხის დამზადების და გადამუშავების შედეგად მიღებული მერქნის რაციონალური და ეფექტური გამოყენება, მუხის ხის კასრების დამზადების პროცესში;
4. ნარჩენებიდან საექსტრაქციო დეტალების წარმოების და გამოყენების გზით, მუხის კასრების ტექნოლოგიური რესურსის გახანგრძლივება.



ნახ. 34. მუხის მერქნიდან კასრების გამოსავლიანობის ილუსტრაცია:

1 მ³ მუხის მორიხაგან გამოსავლიანობაშეადგენს 0,2 მ³ ტექნიკურად შეიძლება დამზადდეს 225 ლიტრიანი 2 კასრი და კასრის ორი თავსახური (კასრის დამზადების ფრანგული მეთოდის შემთხვევაში).

ამჟამად მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აქტიურად განიხილება და პრაქტიკულად ხორციელდება მუხის კასრების ტექნოლოგიური რესურსის გახანგრძლივებაში მუხის დეტალების გამოყენება, რომლის დამზადებაში შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ძირითადი მერქანი, ასევე მუხის კასრის ტკებების წარმოების პროცესში

წარმოქმნილი მუხის გადამუშავების ნარჩენები. მუხის ხის
გადამუშავების ნარჩენების ტექნიკური ვარგისიანობის და
საექსპლოატაციო თვისებების შესწავლას ჯერ-ჯერობით სათანადო
ადგილი არ უკავია, ყოველ შემთხვევაში ამ მიმართულებით
პუბლიკაციები ნაკლებად მოიპოვება. თუმცა მუხის დეტალების
საექსპლოატაციო მოხმარების მასშტაბები ეროვნულ მეურნეობის
დონეზე დაკავშირებულია შემდეგ ასპექტებთან:

- მუხნარი ტყის რესურსების ეკონომიკა, რომელიც მიიღწევა მუხის
მერქნის დამზადების მოცულობების შემცირებით;
- მუხის და შესაბამისად მუხის გადამუშავების ნარჩენების
გადასამუშავებელი საწარმოების გეოგრაფიული გადაადგილების
გაფართოვება;
- დამზადებული მუხის მერქნის გამოყენების რენტაბელობის
გაზრდა.

აღნიშნული ასპექტები დღის წესრიგში აყენებს მრავალ საკითხს,
რომლებიც დაკავშირებულია მუხის ნარჩენების ნედლეულის
სამრეწველო გამოყენების ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე და
შედეგობრივ შეფასებაზე, რომელიც მოითხოვს ორი რთული
პრობლემის გადაწყვეტას:

1. მუხის ნარჩენების დეტალების გადამუშავების ოპტიმალური
ტექნიკური პარამეტრების დადგენა, რაც ჩვენს შემთხვევაში
თეორიულად განსაზღვრული და ცდების სახით პრაქტიკულად
დამტკიცებულია.

2. მუხის გადამუშავების ნარჩენების დეტალების სამრეწველო
გამოყენების მიმართულებების ეკონომიკური შეფასების მექანიზმის
დამუშავება, რომელიც ამ კვლევის ძირითადი საკითხია და
წარმოადგენს ხუთი კერძო პრობლემის ერთობლიობას:

- მუხის გადამუშავების ნარჩენების დეტალების სამრეწველო
გამოყენების ეკონომიკური უფექტიანობის კრიტერიუმების დადგენა;
- მუხის გადამუშავების ნარჩენების დეტალების შეგროვების,
ტრანსპორტირების და მუხის საექსპლოატაციო დეტალების
გადამუშავების ეკონომიკური შეფასება;
- საბოლოო პროდუქტების შეფასება;

- მუხის გადამუშავების ნარჩენების დეტალების როგორც
სამრეწველო გადამუშავების ნედლეულის შეფასება;
